საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №314 (2687) სამშაბათი, 16 დეკემბერი, 1997 წელი. ფასი 60 თეთრი, თბილისს გარეთ – 65 თეთრი.

პარლამენტი

კანონმდებელთა საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტები

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო ამერიკის ახალგაზრდა პოლიტიკურ ლიდერთა საბჭოს დელეგაცია.

როგორც ბატონმა ზურაბ ჟვანიამ შეხვედრაზე აღნიშნა, საქართველოში, სადაც პარლამენტსა და აღმასრულებელ სტრუქტურებში მრავლად არიან წარმოდგენილნი ახალგაზრდა პოლიტიკოსები, რომელთაც მნიშვნელოვანი და პასუხსაგები თანამდებობები უკავიათ, ახალგაზრდა ამერიკელ კოლეგებთან შეხვედრა და დიალოგი განსაკუთრებულ შინაარსს იძენს, თუმცა ამჯერად, პარლამენტის თავმჯდომარეს ძირითადად სტუმრების მრავალ შეკითხვაზე მოუწია პასუხის გაცემა საქართველოში მიმდინარე შიდა პოლიტიკურ პროცესებთან და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით. ბატონ ზურაბ ჟვანიას შეფასებით, საქართველო-ამერიკის ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობის პრინციპებზე იგება და საქართველოში ყოველთვის აფასებდნენ იმ თანადგომას, რომელიც ამერიკის ხელისუფლებამ მას ურთულეს პერიოდში აღმოუჩინა.

სტუმრების შეკითხვაზე საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებთან დაკავშირებით, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, რომ საქართველოს, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უნიკალური ურთიერთობები აქვს როგორც თურქეთთან, ასევე ირანთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან. მისივე შეფასებით, სამწუხაროდ რუსეთში არსებობენ ძალები, რომელთაც კვლავაც იმპერიული ამბიციები აქვთ და ვერ აცნობიერებენ ახალ პოლიტიკურ რეალიებს და სამწუხაროდ ამ ძალებს მოსკოვში საგრძნობი გავლენა აქვთ. პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ნატოსთან თანამშრომლობა და საქართველოში საკანონმდებლო საქმიანობის ევროსტანდარტებთან ჰარმონიზაცია საპარლამენტო საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტია.

შეხვედრის დასასრულს, სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს პარლამენტის თავმჯდომარეს საინტერესო საუბრისათვის და იმედი გამოთქვეს, რომ მათი საქართველოში ვიზიტი იქნება კიდევ ერთი პოზიტიური შტრიხი საქართველო-აშშ-ს ორმხრივი ურთიერთობების მთელს სპექტრში.

რიგგარეშე სხდომა — 16 დეკემბერს

გამართა საქართველოს პარლამენტის ბიუროს რიგგარეშე სხდომა, რომელზეც განიხილეს სადეპუტატო ინიციატივა პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე, იმსჯელეს სხდომის დღის წესრიგზე.

გადაწყდა, რომ 16 დეკემბერს, 11 საათზე გაიმართება პარლამენტის რიგგარეშე სხდომა.

პარლამენტის პრესსამსახური.

კონტაქტები

„აბრეშუმის დიდი გზის" ახალი კონტურები

იაპონიის საქმიანი წრეები საგნობრივად ინტერესდებიან ტრასეკისა და ინოგეიტის პროგრამებით, აქედან გამომდინარე, — საქართველოთი, და უკვე რეალურად მოიაზრებენ „ამომავალი მზის ქვეყანას" ტრანსკონტინენტური „აბრეშუმის დიდი გზის" შემადგენელ ნაწილად.

ამ პერსპექტივის, აგრეთვე, საქართველო-იაპონიის ეკონომიკური ურთიერთობის პრაქტიკულ საკითხებზე მოლაპარაკების მიზნით საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის ხელმძღვანელობით დღეს ტოკიოს მიემგზავრება ჩვენი ქვეყნის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობისა და ვაჭრობის მინისტრი კონსტანტინე ზალდასტანიშვილი, საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია, გაერთიანებული ქართული ბანკის პრეზიდენტი ვანო ჩხარტიშვილი.

დაგეგმილია შეხვედრები კორპორაცია „იტოჩუს", იაპონიის ექსპორტ-იმპორტის ბანკის ხელმძღვანელობასთან, იაპონიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროებში, ტოკიოს მეტროპოლისის ადმინისტრაციაში, ისეთ მნიშვნელოვან გაერთიანებებთან, როგორიც არის „მიცუბიში", სამეცნიერო-საპროექტო კორპორაცია JGC, დიდმასშტაბიანი პროექტებისთვის სახელმწიფო კრედიტებით უზრუნველყოფის სამთავრობო ორგანიზაცია OECF და სხვა.

საქართველოს დელეგაცია იაპონიაში კორპორაცია „იტოჩუს" ხელმძღვანელობამ მიიწვია.

ხვალ

გამოვაქვეყნებთ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებს

მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ

ყოფილ სსრკ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული ფიზიკური პირების კუთვნილი სახსრების ანაზღაურების წესის შესახებ

ვიზიტი

„ჩვენ გულწრფელად გვსურს, აღვადგინოთ ყველაფერი, რაც ისტორიულად აერთიანებდა ჩვენს ხალხებს..."

ბულგარეთის ქალაქ პლოვდივიდან ოცდაათიოდე კილომეტრით დაშორებულ სოფელ ბაჩკოვოში პეტრიწონის მონასტრის მონახულებით დაიწყო 14 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი ბულგარეთის რესპუბლიკაში.

სწორედ თავის მშობლიურ ქალაქ პლოვდივში დახვდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ბულგარეთის პრეზიდენტი პეტარ სტოიანოვი. პლოვდივის აეროპორტში გამართული დახვედრის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ საქართველოსა და ბულგარეთის პრეზიდენტებმა გეზი ბაჩკოვოსაკენ აიღეს.

„ეს საოცარი დასაწყისია. სიმბოლურია, რომ ამ წმინდა ტაძრის მონახულებით იწყება ჩვენი შეხვედრა და მოლაპარაკება. ეს იმის მანიშნებელია, რომ გულწრფელად გვსურს აღვადგინოთ ყველაფერი, რაც ისტორიულად აერთიანებდა ჩვენს ხალხებს, — რწმენა, კულტურა, სულიერება..." — ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ, ცოტა არ იყოს, უჩვეულო გარემოსადმი, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. გარემო კი ნამდვილად უჩვეულო იყო და თანაც ძალზე ემოციური, რადგან აქ, ბაჩკოვოში, ქართველისათვის ემოციათა მოჭარბების საფუძველი საკმაოდ სერიოზულია — ცხრა საუკუნეა მართლმადიდებელ ბულგარელთათვის ძვირფას სულიერ ტაძრად დგას აქ წარჩინებული ქართველის, ცნობილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, ბიზანტიის

იხ. მე – 2 გვ.

დოკუმენტებზე ხელმოწერის დროს.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

დოკუმენტი

დეკლარაცია

ბულგარეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ურთიერთობების განვითარების შესახებ

ბულგარეთის რესპუბლიკა და საქართველო, შემდგომში „მხარეებად" წოდებულნი, ხელმძღვანელობენ რა მისწრაფებით მიაღწიონ ორ სახელმწიფოს შორის ყოველმხრივი პარტნიორობის შემდგომ გაღრმავებას, გამომდინარე ბულგარეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის 1995 წლის 19 იანვარს ხელმოწერილი „მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ" ხელშეკრულების ძირითადი პრინციპებიდან,

აცხადებენ რა თავიანთ მზადყოფნას შემდგომშიც დღენიადაგ იზრუნონ ორი ხალხის ისტორიული კავშირებისა და ტრადიციული მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებისათვის,

აღიარებენ რა ორ სახელმწიფოს შორის დემოკრატიის, თავისუფლების, სოლიდარობის და ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპებზე დაყრდნობით ურთიერთობების განვითარების აუცილებლობას,

ევროპასა და მთელს მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით,

ხელმძღვანელობენ რა გაეროს წესდების, ჰელსინკის დასკვნითი აქტის, ახალი ევროპის პარიზის ქარტიის, ბუდაპეშტისა და ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრების დასკვნითი დოკუმენტებისა და ეუთო-ს სხვა დოკუმენტების მიზნებითა და პრინციპებით,

აცხადებენ შემდეგს:

იხ. მე – 2 გვ.

ინფორმაცია

მასშტაბური სამუშაოები – მოკლე ვადაში

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკოლოზ ლეკიშვილმა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ნინო ჩხობაძემ, საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭანტურიამ, მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრმა მერაბ ჩხენკელმა შეკრებილთ დაწვრილებით გააცნეს საქართველოს ტერიტორიის გავლით კასპიის ნავთობის ტრანზიტის „დასავლეთის" ვარიანტის პროექტის განხორციელების ყველა ასპექტი.

ჟურნალისტებს აცნობეს, რომ პროექტი, რომლის საერთო ღირებულება 350 მილიონ ლარს შეადგენს, ითვალისწინებს არსებული ნავთობსადენის რეაბილიტაციას, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრიდან სამტრედიამდე ახალი ხაზის მშენებლობას, სუფსაში ტერმინალის აშენებას და საზღვაო ჩასაძირი მოწყობილობის შექმნას.

როგორც ნიკოლოზ ლეკიშვილმა აღნიშნა, საქართველოში დღემდე არ შესრულებულა ამგვარი მასშტაბური სამუშაოები ასე მოკლე ვადაში და ის, რომ ქართული მხარე მზად არის ამისათვის, ამაღლებს ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტს. მოწმობს იმას, რომ საქართველოში შესაძლებელია უდიდესი საერთაშორისო პროექტების რეალიზაცია.

მეცნიერები – მართლმადიდებლობის მწყემსმთავრის მასპინძელნი

15 დეკემბერს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულმა საერთაშორისო ცენტრმა „თავისუფალი საზოგადოება" სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II აღსაყდრებასთან დაკავშირებით გამართა კონფერენცია თემაზე „რელიგია და საზოგადოება". კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. მოხსენებებით გამოვიდნენ გვანცა კოპლატაძე, პროფესორები რევაზ სირაძე, მერი ჭელიძე, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი მეუფე დანიელი.

რუსეთიც დააფინანსებს

როგორც ბეას კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროში მზადდება პროექტი საქართველოს სამხედრო გზის რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის შესახებ. პროექტის დაფინანსებაში რუსეთის ფედერაციაც მიიღებს მონაწილეობას.

ათვისებულია 2,7 მილიონი დოლარი

იაპონიის მთავრობის მიერ 1997 წლის აპრილში გამოყოფილი 4 მლნ დოლარიანი გრანტიდან, რომელიც გამიზნულია საქართველოს ეკონომიკური სირთულეების დასაძლევად, უკვე ათვისებულია 2,7 მლნ დოლარი.

როგორც ბეას კორესპონდენტს საქართველოს ვაჭრობის და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროსთან არსებული იაპონიის გრანტის მომსახურეობის ბიუროში აცნობეს, გრანტის განაწილების მექანიზმი ისეა შემუშავებული, რომ დადებითად შეფასებული პროექტის მქონე საწარმო არა უმეტეს 350 ათას დოლარს მიიღებს. ამგვარი მექანიზმით ფინანსური დახმარება უკვე შვიდმა ქართულმა საწარმომ მიიღო, მათ საშუალება ექნებათ შეიძინონ მათთვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობა და დანერგონ ახალი ტექნოლოგიები.

ტვირთის გადაზიდვასაც თავისი წესები აქვს

პირველი იანვრიდან ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე არ დაიშვება დაულუქავი საიმპორტო ტვირთის სამგზავრო ავტოტრანსპორტით (ავტობუსებით) გადაადგილება.

„მოამბე-ექს-პრესს" საქართველოს საბაჟო დეპარტამენტიდან აცნობეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ ტვირთის მფლობელი, ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი არ იქნება ადგილზე, ტვირთი შემოწმდება და დაილუქება საბაჟო სამსახურის მიერ მოქმედი საბაჟო წესების შესაბამისად. ტვირთის საბაჟო გაფორმება განხორციელდება მფლობელის ან მისი ნდობით აღჭურვილი პირის გამოცხადების შემდეგ.

საბაჟო დეპარტამენტი იტოვებს საბაჟო კანონით მინიჭებულ უფლებას საჭიროების მიხედვით გადაამოწმოს ტვირთი და მისი თანმხლები დოკუმენტაცია გადაადგილების, ან რეალიზაციის პროცესში.

გაიხსნება საჰაერო დერეფანი

9 დეკემბერს რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის სხდომაზე ხელმოწერილი ოქმის თანახმად, ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის ფარგლებში მხარეთა საავიაციო სამსახურებმა უნდა განიხილონ რუსეთსა და საქართველოს შორის საჰაერო დერეფნის გახსნის საკითხი, სახელმწიფო საზღვრის დაბალ სიმაღლეზე გადაკვეთის მიზნით.

კადრები

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა 15 დეკემბრის ბრძანებით, „პროკურატურის შესახებ" კანონის შესაბამისად, გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ დანიშნა იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი რევაზ ყიფიანი და გაათავისუფლა იგი გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობიდან.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „ბეამ", „მოამბე-ექს-პრესმა", ჩვენმა კორესპონდენტებმა.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 9 დეკემბერი ქ. თბილისი

ქ. ანჯაფარიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ნევროლოგიური განყოფილების გამგე ქეთევან ანჯაფარიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 9 დეკემბერი ქ. თბილისი

ი. მახათაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისათვის აკადემიკოს გრ. რუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი იოსებ მახათაძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

ინტერვიუ ფაქსით

საქართველოს ალგორითმი საბერძნეთში

ვანის ექსპონატები — კულტურული ციკლის გვირგვინი

1997 წლის 1-7 დეკემბერს თესალონიკმა უმასპინძლა სრულიად მსოფლიო ბერძნული დიასპორის პირველ ყრილობას, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ბერძნული დიასპორის დელეგაციაც. რედაქცია დაუკავშირდა საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ალექსანდრე ჩიკვაიძეს და ამ ფაქტის კომენტარი სთხოვა.

იხ. მე – 7 გვ.

პროკურატურა

„ნუ გვაიძულებთ ახალ-ახალი განმარტებების მიცემას"

როგორც ცნობილია, ჯაბა იოსელიანისა და სხვათა სასამართლო პროცესის გახსნამ 1 დეკემბრიდან 16 დეკემბრისთვის გადაიწია. ამ იძულებითი ტაიმ-აუტის დროს, სხვებთან და სხვებთან ერთად, კვლავ გაიჟღერა კითხვამ: დასტურდება თუ არა ჯაბა იოსელიანის ბრალდებები ტერორისტულ აქტებში მისი მონაწილეობის შესახებ? ამის საფუძველი ჟურნალისტებს მისცა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის რევაზ ყიფიანის ორიოდ თვის წინანდელმა ინტერვიუმ ერთ-ერთ გაზეთში, სადაც იგი თითქოსდა ამბობდა, „მხედრიონის" ყოფილი შეფის მიმართ შეკრებილი არ არის საკმარისი მტკიცებულებებიო. სწორედ ამის გასარკვევად ვესტუმრეთ ამჯერად უკვე გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს რევაზ ყიფიანს.

იხ. მე – 7 გვ.

სამართალი

ახალი ურთიერთობა – ახალი კოდექსი

ძალაში შევიდა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომელიც შემუშავებულია კერძო სამართლისათვის დამახასიათებელი საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე და, როგორც სპეციალისტები ამბობენ, სრულყოფილად აწესრიგებს საბაზრო ეკონომიკაზე დამყარებულ ურთიერთობას. ეს ურთიერთობა იმდენად ვრცელია, საკანონმდებლო წესით იმდენი სიახლეა დადგენილი, რომ მისი სრული გადმოცემა ერთ საგაზეთო მასალაში შეუძლებელია. ამიტომ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ კობახიძე მხოლოდ კანონმდებლობის ძირითად სიახლეებზე გვესაუბრება.

იხ. მე – 7 გვ.

უკანასკნელ საათს

ანკარა. აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი. ვიზიტის დროს რუსი პრემიერი და მისი თურქი კოლეგა მესუთ ილმაზი ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას ტუაფსე-სტამბოლის გაზსადენის გაყვანის შესახებ, რომელიც 220 კილომეტრს გაივლის შავი ზღვის ფსკერზე. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების ხელმოწერა. თურქ სახელმწიფო მოღვაწეთა დიდი ნაწილი უარყოფითად ეკიდება ამ გარიგებას და მოითხოვს შეისყიდონ გაზი თურქმენეთში.

მოსკოვი. რუბლიოვის გზატკეცილზე მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლი მოულოდნელად დასკდა და ხანძარი დაიწყო. მობინადრენი გარეთ გამოცვივდნენ და ამით ბეწვზე გადაურჩნენ დაღუპვას. მოსკოვში ყინვების დაწყების შემდეგ უკვე ჩამოინგრა რამდენიმე სახლი.

გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

„საქართველოს რესპუბლიკა" ყოველდღიურად გამოდის და ერთი თვით ღირს 11,25 ლარი — დედაქალაქში, 13,65 ლარი — ქალაქგარეთ. სამი თვით — 33,75 ლარი დედაქალაქში, 40,95 ლარი ქალაქგარეთ, ექვსი თვით — 67,5 ლარი დედაქალაქში, 81,90 ლარი ქალაქგარეთ (შპს „საქპრესის" და ს/ს „მაცნეს" მომსახურების ღირებულების ჩათვლით).

ვინც უშუალოდ გაზეთის გამომცემელ შპს „პრესასთან" პირდაპირი ხელშეკრულებით მოისურვებს „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერას, მას ბევრად იაფი დაუჯდება — ერთი თვით 9 ლარი დედაქალაქში; 10,5 ლარი ქალაქგარეთ; სამი თვით 27 ლარი დედაქალაქში; 31,5 ლარი ქალაქგარეთ; ექვსი თვით 54 ლარი დედაქალაქში; 63 ლარი ქალაქგარეთ. დაგვიკავშირდით: კოსტავას ქ. №14, ტელ: 93-26-99.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა"!

ვიზიტი

„ჩვენ გულწრფელად გვსურს, აღვადგინოთ ყველაფერი, რაც ისტორიულად აერთიანებდა ჩვენს ხალხებს…“

იმპერიის დასავლეთის ჯარების მთავარსარდლის გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ აგებული პეტრიწონის მონასტერი, რომელიც შემდგომში ქართულ და ბულგარულ კულტურათა განვითარების მნიშვნელოვან კერად გადაიქცა. ამ ისტორიულ ძეგლს მეორე დიდი ქართველის – ფილოსოფოსისა და მოაზროვნის იოანე პეტრიწის სახელიც უკავშირდება.

საქართველოს პრეზიდენტის სტუმრობა სრულიად განსაკუთრებულ მოვლენად იქცა, როგორც ეკლესიის მსახურთათვის, ასევე მრევლისთვისაც.

მისმა უწმინდესობამ, აგათონიის ეპისკოპოსმა ნაუმ იღუმენმა ლოცვა აღავლინა საქართველოსა და ბულგარეთის პრეზიდენტების, ქართველი და ბულგარელი ხალხების საკეთილდღეოდ, ორი მართლმადიდებელი ეკლესიის ძმების ბაკურიანისძეების მოსახსენებლად. მისი უწმინდესობის თხოვნით, ედუარდ შევარდნაძემ და პეტარ სტოიანოვმა წარწერები დატოვეს ბიბლიაზე. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მონასტერს წმინდა გიორგის ხატი უსახსოვრა.

გამოთხოვებამდე ედუარდ შევარდნაძე შეხვდა და ესაუბრა მის უწმინდესობას აგათონიის ეპისკოპოსს.

ბაჩკოვოდან ედუარდ შევარდნაძე და პეტარ სტოიანოვი თანმხლებ პირებთან ერთად პლოვდივს გაემგზავრნენ. დავაზუსტებთ: საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის პროგრამის ამგვარი ცვლილება მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტის დაბეჯითებული თხოვნით მოხდა. პეტარ სტოიანოვმა ჯერ კიდევ ევროსაბჭოს სტრასბურგის უმაღლესი დონის სამიტზე გამოთქვა სურვილი, რომ, ვიდრე ორი ქვეყნის ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მოლაპარაკებას შეუდგებოდნენ, ედუარდ შევარდნაძეს სწორედ ეს მშვენიერი ქალაქი მოენახულებინა.

ედუარდ შევარდნაძემ დაათვალიერა პლოვდივის ანტიკური თეატრი, კულტურის მუზეუმი, ძველისძველი, როგორც აქაურები უწოდებენ, პლოვდივური სახლები ქალაქის ყველაზე კოლორიტულ უბნებში.

საღამოს საქართველოსა და ბულგარეთის პრეზიდენტები პლოვდივიდან სოფიაში გაემგზავრნენ. მთავრობის „ბოიანის“ რეზიდენციაში ბულგარეთის პრეზიდენტმა პეტარ სტოიანოვმა ოფიციალური სადილი გაუმართა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

* * *

ბულგარეთის რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის მიზანი ზოგადად ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული კავშირურთიერთობის, ორივე მხარისათვის ხელსაყრელი თანამშრომლობის გააქტიურება და საერთო სტრატეგიული ინტერესების განსახორციელებლად ხელსაყრელი პირობებისა და სათანადო სახელშეკრულებო ბაზის შექმნაა. ეს ედუარდ შევარდნაძემ და პეტარ სტოიანოვმა ვიზიტის დაწყებისთანავე პლოვდივის აეროპორტში განაცხადეს.

აქვე, აეროპორტში, ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა განცხადებები გააკეთეს პრესისათვის.

– მე ჩამოვედი ბულგარეთის პრეზიდენტის მოწვევით, – თქვა ედუარდ შევარდნაძემ. – მთავარი მიზანია, განვაახლოთ, გავაღრმაოთ, გავაფართოოთ ჩვენი ხალხების ტრადიციული ისტორიული კავშირურთიერთობა. ახლა საქართველოც და ბულგარეთიც უკვე რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან და ჩვენ ეს ურთიერთობა ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა თვისებრივად ახალ დონეზე უნდა ავიყვანოთ.

საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეტად პერსპექტიულია ფოთიდან და ბათუმიდან ბურგასისა და ვარნისაკენ უკვე გაყვანილი საზღვაო ტრასები, რომლებიც უმოკლესი გზით უკავშირებენ ერთმანეთს შავი ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროებს. ეს მხოლოდ დასაწყისია, თქვა მან, თუ გავითვალისწინებთ სულ უფრო მზარდი მოცულობის ტვირთზიდვას, ტრანსპორტირებას საქართველოდან და ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოებიდან, ცენტრალური აზიიდან და უფრო მორეული რეგიონებიდან. ფრიად პერსპექტიულია აქ კასპიის ზღვიდან და ყაზახეთიდან ნავთობის ტრანსპორტირება დასავლეთისაკენ. როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, აზერბაიჯანის ადრეული ნავთობის საკითხი გადაწყვეტილია – ფოთის მახლობლად, სუფსაში უკვე შენდება დიდი ტერმინალი. ეს დაახლოებით 7-8 მილიონი ტონაა წელიწადში. პარალელურად, საქართველოს რკინიგზით მიმდინარეობს ყაზახეთის ნავთობის ტრანსპორტირება თენგიზის საბადოდან. ამავე დროს, როგორც გვპირდებიან, 1998 წლის დამდეგს განისაზღვრება მთავარი მარშრუტი, რომლითაც წამოვა „დიდი ნავთობი“. ჩემი აზრით, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, ძირითადი ნავთობის მარშრუტი საქართველოს ტერიტორიაზეც გაივლის, მისი გარკვეული ნაწილი წავა თურქეთში, ბალკანეთის ქვეყნებში დუნაის აუზის გავლით.

პეტარ სტოიანოვმა, უწინარეს ყოვლისა, მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს იმის გამო, რომ დათანხმდა მის თხოვნას და ესტუმრა პლოვდივს. „ეს ჩვენი მეგობრობის, ჩვენი საერთო ქრისტიანული კუთვნილებისა და ისტორიული სიახლოვის გამოვლინებაა“, – განაცხადა ბულგარეთის პრეზიდენტმა და იმედი გამოთქვა, რომ ამ საფუძველზე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ყველა პრაქტიკული ხასიათის პრობლემა ადვილად და სწრაფად გადაწყდება საერთო ინტერესების სასარგებლოდ. „ჩვენ შორის მაღალი დონის ურთიერთნდობაა. ამიტომაც ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც სჭირდება ჩვენი ქვეყნების მომავალს“, განაცხადა პეტარ სტოიანოვმა.

სწორედ ამ განწყობილებით დაიწყო ვიზიტის პირველსავე დღეს საქართველოსა და ბულგარეთის მთავრობათა წარმომადგენლების მოლაპარაკება ორი ქვეყნის კონკრეტულ დარგებში თანამშრომლობის დამყარებისა და შესაბამისი სახელშეკრულებო ბაზის მომზადების თაობაზე.

ამ ფორმატით ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ირაკლი მენაღარიშვილი და ნადეჟდა მიხაილოვა, ბულგარელ კოლეგებთან მოლაპარაკება გამართეს ტრანსპორტის მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა, ვაჭრობისა და საგარეოეკონომიკური ურთიერთობის მინისტრმა კონსტანტინე ზალდასტანიშვილმა, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ, თავდაცვის სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიის, საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა. შეხვედრებზე საბოლოოდ დაზუსტდა ხელმოსაწერად გამზადებული დოკუმენტების ყველა დეტალი.

საერთო სტრატეგიულ ინტერესებთან ერთად ქართველ და ბულგარელ კოლეგათა პოზიციები ერთმანეთს დაემთხვა იმ თვალსაზრისითაც, რომ რაც შეიძლება სწრაფად და მაქსიმალურად სრულად ანაზღაურდეს გაცდენილი დრო, რომელიც პრაქტიკული და სასარგებლო საქმეების სახით დააკლდა ორივე ქვეყანას. ამასვე ისახავდა მიზნად ფოთის მერის ივანე ზოდელავას შეხვედრა ბულგარეთის სანავსადგურო ქალაქის ბურგასის მერთან. მალე ამ ქალაქებს ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ დააკავშირებს საკონსულო წარმომადგენლობები. ამ საკითხზე, ისევე როგორც სოფიასა და თბილისში, საქართველოსა და ბულგარეთის საელჩოების გახსნის თაობაზე, ორ ქვეყანას შორის შეთანხმება სწორედ ვიზიტის დროს იქნა მიღწეული.

15 დეკემბერს დილით მთავრობის „ბოიანის“ რეზიდენციაში გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და ბულგარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პეტარ სტოიანოვის საუბარი, რომელიც პირისპირ მიმდინარეობდა და ერთ საათს გაგრძელდა. შემდეგ ორი სახელმწიფოს მეთაურები თავიანთ ოფიციალურ დელეგაციებს შეუერთდნენ და უკვე გაფართოებული შემადგენლობით განახლდა საქართველო-ბულგარეთის მოლაპარაკება.

შეხვედრაზე მხარეებმა დაადასტურეს, რომ ისწრაფვიან მტკიცე პარტნიორული ურთიერთობა დაამყარონ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ სფეროებში. როგორც პეტარ სტოიანოვმა განაცხადა, საქართველოსთან ბულგარეთის ურთიერთობა დაეფუძნება მხოლოდ ორი ქვეყნის კეთილ ნებას და არანაირ სხვა გარე ფაქტორს არ დაექვემდებარება.

ბულგარეთის პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს პოზიციას ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და კავკასიაში მშვიდობის დამყარების თვალსაზრისით, აგრეთვე, მის მისწრაფებას, გახდეს ევროსაბჭოს და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული სახელშეკრულებო ბაზის სრულყოფისათვის მხარეებმა უნდა გაააქტიურონ მუშაობა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების, ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ შეთანხმების მისაღწევად.

„ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ ყველა ჩვენგანი ეძებს თავის ადგილს საერთაშორისო თანამეგობრობაში, რაც უფრო სწრაფად ჩაებმებიან ჩვენი ქვეყნები მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში, მით უფრო სწრაფად შევძლებთ გავიაროთ ეს ურთულესი გზა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნების მომავლისათვის“, განაცხადა ბულგარეთის პრეზიდენტმა და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღნიშნა მასშტაბურ საერთაშორისო პროექტებთან დაკავშირებულ კონკრეტულ ინფრასტრუქტურათა პროგრამების მნიშვნელობა. მისი განცხადებით, ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებში, როგორიც არის ენერგომატარებლების, სხვადასხვა ტვირთების ტრანსპორტირება, საქართველო და ბულგარეთი შეძლებენ ნაყოფიერი პარტნიორობის დამყარებას. ამავე დროს, მხოლოდ ამ ერთი მიმართულებით თანამშრომლობა არ იქნება საკმარისი ორი ქვეყნის სრული პოტენციალის კონცენტრირებისათვის. ამიტომაც, მისი აზრით, ბულგარეთმა ხელიდან არ უნდა გაუშვას შანსი, დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობა სხვა სფეროებშიც, მათ შორის, ერთობლივი ძალისხმევით შავი ზღვის უსაფრთხოების სისტემის შექმნის, აგრეთვე ტურიზმის, ჰუმანიტარულ სფეროებში.

შეხვედრაზე დადასტურდა, რომ მხარეთა პოზიციები ემთხვევა ერთმანეთს ყველა პრინციპულ საკითხში, ბულგარეთი მხარს უჭერს საქართველოს სურვილს, გახდეს დუნაის აუზის ქვეყნების კომისიის ასოცირებული წევრი. ბულგარეთმა მხარი დაუჭირა საქართველოს ინიციატივას, რომ გაიმართოს ტრასეკას ქვეყნების უმაღლესი დონის ფორუმი. მანამდე, თბილისში ევროკავშირის მონაწილეობით ერთმანეთს შეხვდებიან შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრები. მაისში კი სტამბოლში გაიმართება კონფერენცია, რომელიც განიხილავს კავკასიასა და ცენტრალურ აზიასთან ევროდერეფნების პროექტს. კონფერენციის ორგანიზატორია ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობისა და და განვითარების ასოციაცია. ამ ფორუმებზე საფუძვლიანად იმსჯელებენ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანთან ევროდერეფნების დაკავშირების პერსპექტივებზე. ეს პერსპექტივები კი, შეიძლება ითქვას, ამოუწურავია და ამ დერეფნების მონაწილე სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით ბალკანეთისა და დუნაის აუზის ქვეყნებისათვის, უაღრესად მიმზიდველ შესაძლებლობებს მოიცავს, ვინაიდან ტრასეკასთან ევროპის დერეფნების შეერთება რეალურად გადააქცევს ცენტრალური აზიიდან ატლანტის ოკეანემდე შეუზღუდავი სატრანსპორტო სივრცის იდეას. „ეს იქნება დიდი წარმატება, რადგან ამ ღონისძიებებით ჩვენ დავაკანონებთ იმას, რასაც დღემდე მივაღწიეთ“, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. ამასთან მან მაღალი შეფასება მისცა ორი ქვეყნის სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე რეგიონებსა და ქალაქებს შორის დამყარებულ ურთიერთობებს და განაცხადა, რომ ყოველმხრივ წაახალისებს მათს შემდგომ თანამშრომლობას.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გაიმართა ერთობლივი დოკუმენტების ხელმოწერის ცერემონია. საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარების შესახებ, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანიზაციათა ფარგლებში როგორც ორმხრივი პარტნიორობის, ასევე რეგიონალური და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავების პერსპექტივას.

ორი სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკურ უწყებათა მეთაურებმა ირაკლი მენაღარიშვილმა და ნადეჟდა მიხაილოვამ ხელი მოაწერეს საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკის საკონსულო კონვენციას. ხელმოწერილია სამთავრობათაშორისო შეთანხმებანი ტურიზმის დარგში, სტატისტიკის, აგრეთვე სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ. საქართველოსა და ბულგარეთის ტრანსპორტის მინისტრებმა ხელი მოაწერეს ოქმს ტრანსკონტინენტური კავშირის „ევროპის დერეფანი VIII – ტრასეკის“ რეალიზაციის საქმეში მათი უწყებების თანამშრომლობის შესახებ, ორი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მეცნიერების სფეროში მათი უწყებების თანამშრომლობის შესახებ, ხოლო საარქივო სამსახურების ხელმძღვანელებმა – ოქმს 1997-1999 წლებში ამ სამსახურების თანამშრომლობის შესახებ.

შემდეგ გაიმართა ედუარდ შევარდნაძისა და პეტარ სტოიანოვის ერთობლივი პრესკონფერენცია. მისი გახსნისას ბულგარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი უაღრესად ნაყოფიერი იყო. ჩვენ, თქვა მან, ხელი მოვაწერეთ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს, და მათ შორის ყველაზე მთავარს – დეკლარაციას ჩვენი სახელმწიფოების თანამშრომლობის შესახებ. მე არ ვილაპარაკებ ყველა იმ შეთანხმებაზე, რომლებიც ხელმოწერილი იყო, მაგრამ ვსარგებლობ ძველი ტერმინოლოგიით და მინდა აღვნიშნო, რომ „გეგმა გადაჭარბებით შესრულდა“, რადგან ხელი მოვაწერეთ ერთ ახალ შეთანხმებასაც – ტრანსპორტის შესახებ, რომელიც წინასწარ არ ყოფილა გათვალისწინებული. როგორც პეტარ სტოიანოვმა თქვა, მოლაპარაკებაზე უმთავრესი მომენტი იყო ის, რომ მათი თვალსაზრისი სავსებით დაემთხვა ერთმანეთს არა მარტო ორმხრივი ურთიერთობის საკითხებში, არამედ მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების მიმართ მხარეთა პოზიციებშიც. ბულგარეთი და საქართველო, თქვა მან, დღეს აღიარებენ ერთ, ერთიან ფასეულობათა სისტემას – დემოკრატიულ ღირებულებათა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპთა ერთგულებას, და ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობა სწორედ იმას ისახავს მიზნად, რომ ჩვენ დავეხმაროთ ერთმანეთს ამ ღირებულებათა რეალიზაციაში. მე უკვე მქონდა შესაძლებლობა განმეცხადებინა, რომ ბულგარეთი სავსებით უჭერს მხარს საქართველოს მისწრაფებას, აღადგინოს თავისი ტერიტორიული მთლიანობა და ამით უზრუნველყოს მშვიდობა ამ რეგიონში.

როგორც ხაზგასმით აღნიშნა ბულგარეთის პრეზიდენტმა, მისი ქვეყანა მხარს უჭერს საქართველოს სურვილს, შევიდეს ევროპის საბჭოში და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, მზად არის დაეხმაროს მას ამაში და მხარი დაუჭიროს აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. პრაქტიკულად ჩვენ შევთანხმდით, აღნიშნა მან, ინტენსიურად განვავითაროთ ჩვენი თანამშრომლობა ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის სულიერ სფეროში.

პეტარ სტოიანოვმა განაცხადა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება გაიხსნას საქართველოსა და ბულგარეთის საელჩოები სოფიასა და თბილისში და მათი გენერალური საკონსულოები ფოთსა და ბურგასში. გამართულ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით ბულგარეთის ლიდერმა გამოყო ორი მომენტი. როგორც მან თქვა, ამ მომენტებს ჰქონდა პრაქტიკული, შეიძლება ითქვას, პრაგმატული ხასიათი, რამდენადაც საქართველოს პრეზიდენტთან ერთად ბულგარეთში ჩამოვიდნენ მინისტრები, რომლებიც კონკრეტულ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ თავიანთ ბულგარელ კოლეგებთან. დიალოგის დროს, თქვა მან, ჩვენ ვეძებდით ურთიერთგაგებას მთავარ სტრატეგიულ მიზნებშიც. რა თქმა უნდა, ჩვენ ვითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნების ისტორიულ სიახლოვეს, მათს გეოგრაფიულ მდებარეობას, მაგრამ, ამავე დროს, ვცდილობთ ერთად დავამკვიდროთ, აგრეთვე, თანამედროვე, ახლანდელი ღირებულებანი. სწორედ, ამიტომ ვსაუბრობდით ჩვენ ტრანსევროპული და ტრანსაზიური დერეფნების კავშირის ისეთ შესაძლებლობებზე, რომ შეიქმნას ევრაზიის დერეფანი. ჩვენ განვიხილეთ, აგრეთვე, საკითხი, რომ სატრანსპორტო დერეფანი – VIII დაუკავშირდეს დიდ აბრეშუმის გზას და არა მარტო განვიხილეთ იგი, არამედ განვსაზღვრეთ კიდეც მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის შესაძლებლობანი ამ იდეის განხორციელებისას, რომელიც, როგორც ბულგარეთის პრეზიდენტმა თქვა, საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის.

საქართველოს მეთაურმა გულწრფელი მადლობა გადაიხადა გასაოცარი სტუმართმოყვარეობისათვის. ამასთანავე მან განსაკუთრებით აღნიშნა ის ატმოსფერო, რომელშიც მიმდინარეობდა შეხვედრები და მოლაპარაკება. ედუარდ შევარდნაძემ ერთხელ კიდევ გადაიხადა მადლობა იმისათვის, რომ მიეცა შესაძლებლობა ვიზიტის დაწყებისთანავე გასცნობოდა, როგორც მან თქვა, შესანიშნავ ქალაქ პლოვდივს, მის ისტორიას, იმ წარსულს, რომელმაც გააერთიანა ქართველი და ბულგარელი ხალხები. მე-10 – მე-11 საუკუნეების ის უნიკალური ძეგლები, რომლებიც ჩვენ ვნახეთ, თქვა საქართველოს პრეზიდენტმა, ჩვენი ხალხების ისტორიული მეგობრობის განსახიერებაა, რაც შეეხება ვიზიტის საქმიან მხარეს, როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, ჩვენ ძალიან საფუძვლიანად, ღრმად განვიხილეთ და გავაანალიზეთ ის გზა, რომელიც ჩვენმა ქვეყნებმა განვლეს ტოტალიტარული რეჟიმის დემონტაჟის შემდეგ. ეს რთული და ძნელი გზა იყო, აღნიშნა მან. ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ორივე ჩვენმა სახელმწიფომ, ორივე ხალხმა ღირსეულად გადაიტანა ისტორიის ეს მკაცრი გამოცდა. ედუარდ შევარდნაძის თქმით, ახლა ჩვენ საბოლოოდ დავადექით დემოკრატიული განვითარების გზას, ევროპის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა სტრუქტურებში ინტეგრაციის გზას, ისევე, როგორც მსოფლიო წარმონაქმნებში. იგი მიესალმა მრავალი მიმართულების კონკრეტულ შეთანხმებებს, კერძოდ, გადაწყვეტილებას, რომ საქართველოსა და ბულგარეთის დედაქალაქებში გაიხსნას საელჩოები და სანავსადგურო ქალაქებში – საკონსულოები.

საქართველოს პრეზიდენტი მიესალმა, აგრეთვე, იმას, რომ ბულგარეთი შეუერთდა სარაჰსის შეთანხმებას. ახლა, თქვა მან, უკვე 8 ქვეყანაა ამ შეთანხმების მონაწილე. იგი მიესალმა იმას, რომ ბულგარეთის მხარე გაგებით ეკიდება იმ ამოცანებს, რომლებიც სხვა სახელმწიფოებთან ერთად უნდა გადავწყვიტოთ დიდი აბრეშუმის გზის ასაღორძინებლად. ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, დიდ იმედებს ვამყარებთ ევრაზიის დერეფნის მშენებლობაზე. ბუნებრივია, მხედველობაში გვაქვს ტვირთზიდვა არა მარტო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, არამედ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და პირიქით. ამ თვალსაზრისი ბულგარეთსაც და საქართველოსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ, მათ შეუძლიათ შეასრულონ ძალიან მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კი გადამწყვეტი როლიც ტრასეკას პროექტის რეალიზაციაში. როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, ჩვენ მივაღწიეთ ურთიერთგაგებას პრაქტიკულად ორმხრივი ურთიერთობის ყველა პრობლემასთან დაკავშირებით. ეს არის მეცნიერებაც, ეკონომიკაც და ბიზნესმენთა ურთიერთობაც. ჩვენი თვალსაზრისი სავსებით ემთხვევა ერთმანეთს იმაშიც, რომ საჭიროა შეიქმნას მექანიზმი, რომლის დახმარებითაც უნდა განხორციელდეს ყველა მიღწეული მორიგება და ხელმოწერილი შეთანხმებანი. საქართველოს პრეზიდენტი დაეთანხმა თავისი ბულგარელი კოლეგის იმ აზრს, რომ მათ მიერ ბულგარეთში ხელმოწერილი დეკლარაცია არაორდინარული დოკუმენტია, იგი არა მარტო აჯამებს ბოლო წლებში გაწეული მუშაობის შედეგებს, არამედ კიდევაც განსაზღვრავს საქართველო-ბულგარეთის ურთიერთობის განვითარების დამაიმედებელ პერსპექტივას. ჩვენ, აგრეთვე, შევთანხმდით, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, რომ საჭიროა დავამყაროთ უფრო მჭიდრო კონტაქტები ორი ქვეყნის პრეზიდენტებს შორის, ყოველგვარი ფორმალობის გარეშე ვამენოთ ურთიერთობა იმისათვის, რომ უფრო ოპერატიულად გადავწყვიტოთ ის პრობლემები, რომლებიც ჩვენს სახელმწიფოებს აღელვებს. მან განაცხადა, რომ დიდი კმაყოფილებით შეასრულა ქართველი ხალხის ნება და ბულგარეთის პრეზიდენტი ოფიციალურ ვიზიტად მოიწვია საქართველოში. ვიზიტი, ალბათ, მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება.

ედუარდ შევარდნაძემ და პეტარ სტოიანოვმა უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

შუადღისას საქართველოს პრეზიდენტი ეწვია ბულგარეთის რესპუბლიკის ეროვნულ ასამბლეას, სადაც შეხვდა და ესაუბრა მის თავმჯდომარეს იორდან სოკოლოვს.

იმავე დღეს ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა ბულგარეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ივან კოსტოვს, რის შემდეგაც გაიმართა მისი გამოსათხოვარი შეხვედრა ქვეყნის პრეზიდენტთან პეტარ სტოიანოვთან.

გვიან საღამოს ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს დელეგაციის წევრები თბილისში დაბრუნდნენ.

საქინფორმის სპეციალური
კორესპონდენტები.

დასასრული. დასაწყისი
იხ. პირველ გვერდზე.

დეკლარაცია

ბულგარეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ურთიერთობების განვითარების შესახებ

(პირველი გვერდიდან)

1. მხარეები დარწმუნებული არიან, რომ თანამშრომლობა დაფუძნებული თანასწორობის, დამოუკიდებლობის, ურთიერთდახმარების, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისა და ერთმანეთის სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპებზე, ხსნის ფართო შესაძლებლობებს მხარეების წინაშე მდგომი ამოცანების გადასაჭრელად პარტნიორული თანამშრომლობის ხარისხობრივად ახალი დონის მიღწევის თვალსაზრისით.

2. მხარეები შეთანხმდნენ ქ. თბილისში ბულგარეთის რესპუბლიკისა და ქ. სოფიაში საქართველოს საელჩოების, ისევე როგორც ქ. ფოთში ბულგარეთის რესპუბლიკისა და ქ. ბურგასში საქართველოს გენერალური საკონსულოების გახსნაზე.

3. მხარეები გამოხატავენ თავიანთ განზრახვას ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე გააქტიურონ ორივე მხარის საგარეო-პოლიტიკური უწყებების რეგულარული კონსულტაციები.

მხარეები წაახალისებენ აქტიურ სამუშაო კონტაქტებს ერთობლივი ინტერესის საკითხებზე ინფორმაციისა და შეხედულებების გაცვლით გაერო-ს, ეუთოს-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში.

4. კავკასიაში მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების აუცილებელ პირობად ბულგარეთის რესპუბლიკა მიიჩნევს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ყოველმხრივ მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის ეროვნული პრობლემის გადასაჭრელად.

5. მხარეები თავიანთი საგარეო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად შემდგომშიც მხარს დაუჭერენ ერთმანეთის ინტეგრაციას ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში.

ბულგარეთის რესპუბლიკა მხარს უჭერს საქართველოს სრულუფლებიან წევრობას ევროპის საბჭოსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

6. მხარეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ნდობისა და უსაფრთხოების ატმოსფეროს განმტკიცებას. ორივე მხარე მაღალ შეფასებას აძლევს ევროატლანტიკურ პარტნიორობის საბჭოში სახელმწიფოების თანამშრომლობას.

საქართველო პატივს სცემს თითოეული სახელმწიფოს უფლებას სუვერენულად აირჩიოს მისი ეროვნული უშიშროების გარანტიები, სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებთან მიერთების ჩათვლით.

ამ კონტექსტში მხარეები აღნიშნავენ საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის აუცილებლობას, მათ შორის სამხედრო-ტექნიკურ სფეროში.

საქართველო მიმართავს თხოვნით ბულგარეთის რესპუბლიკას აღმოუჩინოს დახმარება საზღვრების დაცვის სპეციალური ქვედანაყოფების შექმნაში, განვითარებასა და სწავლებაში.

7. მხარეები შეთანხმდნენ აქტიურად ითანამშრომლონ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული პრეპარატების, იარაღის, ტყვია-წამლის, ასაფეთქებელი, შხამიანი და რადიაქტიური ნივთიერებების კონტრაბანდის, ორგანიზებული დანაშაულის, უკანონო მიგრაციისა და ტერორიზმის წინააღმდეგ.

8. მხარეები ადასტურებენ თავიანთ დაინტერესებას შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ეფექტურობის ამაღლებაში კონკრეტული პროექტების რეალიზაციის და მრავალმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების მეშვეობით და ბისეკის რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის საფუძველზე.

9. მხარეები იზიარებენ აზრს და გამოხატავენ თავიანთ მზადყოფნას ბალტიისა და შავი ზღვის ქვეყნების თანამშრომლობაზე ევროპის ორ რეგიონს შორის უფრო მჭიდრო კავშირების დამყარების მიზნით.

10. გამოთქვამენ რა კმაყოფილებას ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ტემპების ზრდით, მხარეებს აუცილებლად მიაჩნიათ განახორციელონ ღონისძიებები ამ პროცესების ინტენსიფიკაციისათვის.

11. მხარეები აღიარებენ, რომ ტრანსპორტის მინისტრების ბურგასის შეხვედრის მემორანდუმის რეალიზაცია, ტრანს-ევრო-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRACECA) პროექტისა და ევროპის სატრანსპორტო სისტემების დაკავშირების იდეის განხორციელების მეშვეობით, ხელს შეუწყობს ევრო-აზიურ სივრცეში ერთიან ეკონომიკურ ინტეგრაციას.

განიხილავენ რა ტრანსკონტინენტალურ კავშირს „კორიდორი-VIII-აზია“ როგორც გლობალური მნიშვნელობის პროექტს, მხარეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ზემოაღნიშნული პროექტის რეალიზაციისათვის ძალისხმევის გააქტიურებას.

პანევროპული სატრანსპორტო სისტემისა და ევროაზიური სატრანსპორტო კავშირის შემდგომი განვითარების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, მხარეები მიზანშეწონილად მიიჩნევენ საქართველოს ჩართვას დუნაის რეგიონსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში არსებული ეკონომიკური და სატრანსპორტო სტრუქტურების მოქმედებაში.

მხარეები აღნიშნავენ თავიანთი ხელსაყრელი სატრანზიტო შესაძლებლობების ოპტიმალური გამოყენების მნიშვნელობას ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირებისათვის.

12. მხარეები გამოთქვამენ კმაყოფილებას ბულგარეთის რესპუბლიკის საზღვაო პორტებს ბურგასსა და ვარნას და საქართველოს საზღვაო პორტების ფოთსა და ბათუმს შორის არსებული საავტომობილო-საბორნე ხაზების ფუნქციონირებით, როგორც ტრანსკონტინენტალური კავშირის „კორიდორი-VIII-აზია“-ს პრაქტიკული განხორციელების კარგ მაგალითს. ისინი აქტიურად იმუშავებენ ვარნა (ბულგარეთი), ფოთი, ბათუმი (საქართველო) და შავი ზღვის სხვა პორტებს შორის სარკინიგზო-საბორნე ხაზის მეშვეობით მრავალმხრივი სატრანსპორტო კავშირის შესაქმნელად.

13. მხარეები ჩაატარებენ ორმხრივ და მრავალმხრივ რეგულარულ კონსულტაციებს ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

14. მხარეები სრულად უჭერენ მხარს „TRACECA“-ს მონაწილე სახელმწიფოების კონფერენციის უმაღლეს დონეზე ჩატარების იდეას და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მის მუშაობაში.

15. მხარეები მიესალმებიან პარლამენტთაშორისო კავშირებს, აგრეთვე, კანონშემოქმედებითი საქმიანობის, დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებისა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარებას.

შესრულებულია ქ. სოფიაში 1997 წლის 15 დეკემბერს ორ ეგზემპლარად, ბულგარულ და ქართულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

ბულგარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი
პეტარ სტოიანოვი

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე

ურჩი გადამხდელების მიზეზით

პენსიების, ხელფასებისა და უმწეოთა დახმარების ფული ბიუჯეტიდან მიზანმიმართულად მიდის, მაგრამ ირიბი კუთხით შეიძლება დავეთანხმოთ ხალხში გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, „რომ ეს ფული პროცენტდება“, – უთხრა სააგენტო „ელიზი-ნიუსის“ კორესპონდენტს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მიხეილ ჭკუასელმა. მისივე განმარტებით, ხელფასებისა და პენსიების დაგვიანების მიზეზი ის ურჩი გადამხდელები არიან, რომლებიც ბიუჯეტში ფულის ჩარიცხვას აგვიანებენ.

ვინ უნდა დააბრუნოს ვალი

„საქართველოს აღებული აქვს საზღვარგარეთული ვალი და, სამწუხაროდ, არ ვიცით, ვის მოვკითხოთ პასუხი მისი არგადახდის შემთხვევაში“, – აცხადებს საპარლამენტო ფრაქცია ეძა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის თქმით კი, სამინისტროს აქვს ყველა იმ ორგანიზაციისა და იურიდიული პირის სია, ვისაც საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ვალები აქვს დასაბრუნებელი, მიხეილ ჭკუასელის თქმით, პირველი დამაიმედებელი ნაბიჯები ვალების ამოღების გზაზე უკვე გადადგმულია.

ბიუჯეტი შესრულდება

„თუ წლის ბოლომდე არ შესრულდა საბიუჯეტო დავალიანება, ქვეყანა დაკარგავს გრანტს 17 მილიონი ეკიუს რაოდენობით“, – ითქვა კოლეგიის სხდომაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. საქართველოს ფინანსთა მინისტრის თქმით, 702 მილიონის დაფარვას დღეის პარამეტრებით, ალბათ, შევძლებთ.

სიახლენი საბაჟო რეჟიმში

პირველი იანვრიდან დსთ ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონელი საბაჟო გაფორმების დროს დაიბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით საერთო რეჟიმის შესაბამისად, საქონლის საბაჟო ღირებულების 20-პროცენტიანი განაკვეთით.

„მოამბე-ექს-პრესს“ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტიდან აცნობეს, რომ იმპორტული საავტომობილო ბენზინისა და თხევადი გაზის საბაჟო გაფორმება ხდება მხოლოდ საქსტანდარტში აკრედიტებული იურიდიული პირის მიერ ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატის წარმოდგენის შემდეგ.

ფიზიკურ პირებს საერთოდ ეკრძალებათ სამკურნალო საშუალებათა ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების წარმოება.

ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი ტრანსპორტით შემოტანილი საქვეკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საიმპორტო ტვირთის საბაჟო გაფორმება ხდება მხოლოდ შესაბამისი საქვეკარანტინო უწყების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გაცემული დოკუმენტის (სერტიფიკატი) წარმოდგენის შემდეგ.

ვარდიკო ნადიბაიძე გამოჯანმრთელდა

„უახლოეს დღეებში საქართველოს თავდაცვის მინისტრის – ვარდიკო ნადიბაიძის ვიზიტი საბერძნეთში არ შედგება, იგი შესაძლოა, მომავალი წლის დასაწყისისათვის გადაიდოს“, – განუცხადა დღეს საინფორმაციო სააგენტო „ელიზი-ნიუსის“ კორესპონდენტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა კობა ლიკლიკაძემ.

მისივე თქმით, მინისტრის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკეთესია, ამ დღეებში მას ექიმების დასკვნას გაეცნობენ და საავადმყოფოდან გამოწერენ, რის შემდეგაც რუსეთის თავდაცვის მინისტრს მარშალ იგორ სერგეევს შეხვდება.

ინფორმაციები მოგვაწოდა „მოამბე-ექს-პრესმა“.

ეკონომიკა

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველკვირეული დამატება | №4. 16 დეკემბერი, 1997

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირგაბმულობა

თუ არ გვეხმარებიან, ხელს მაინც ნუ შეგვიშლიან

„სამცხე-ჯავახეთის მხარეში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს ამ რეგიონის ყველა დასახლებული პუნქტის საქართველოს ტელე-რადიო გადაცემებით უზრუნველყოფა დაევალა. რამდენად მოახერხა მან დავალების შესრულება, ამის თაობაზე გვესაუბრება საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის მოადგილე ოთარ ბიწაძე.

– სამინისტრომ დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულა, – თქვა ბატონმა ოთარმა. – კერძოდ, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და შეიცვალა მორალურად მოძველებული აპარატურა, თანამედროვე ტექნიკა დამონტაჟდა ქამი-ბორჯომი-ახალციხის სარელეო ხაზზე და ასპინძის სატელევიზიო რეტრანსლიატორზე. აღდგა საროს, ვარძიისა და ჭობარეთის დაზიანებული რეტრანსლიატორები, სოფლებში: ტოლოში, დამალასა და ურაველში ახალი რეტრანსლიატორები და ტელეაპარატურა დამონტაჟდა.

ახალციხისა და ახალქალაქის სატელევიზიო გადამცემ სადგურებში სარეზერვო ელექტროკვების დანადგარები უკვე გამართულად მუშაობს. ბორჯომის სატელევიზიო გადამცემ სადგურში რეკონსტრუქცია ჩაუტარდა რადიოსარელეო ხაზის საანტენო-საფიდერო მეურნეობას.

ამის გარდა, სატელევიზიო გადაცემების ხარისხის ასამაღლებლად ბევრი „წვრილმანი" სამუშაო შესრულდა. აი რომ...

ამ ღონისძიებათა მიუხედავად, როგორც ცნობილია, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სატელევიზიო გადაცემების მიღება მაინც ფერხდება. მიზეზი?

– მიზეზი ერთადერთია, სატელევიზიო გადამცემ სადგურებს დაბალი ხარისხის ძაბვის ელექტროენერგია მიეწოდება. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ და სახელმწიფო კომპანია „საქენერგომ" დღემდე ვერ უზრუნველყვეს რეგიონის სატელევიზიო გადამცემი სადგურებისათვის ნორმალური ელექტროენერგიის მიწოდება. ჩვენ ამის შესახებ ბევრჯერ განვაცხადეთ საჯაროდ, პრესითა თუ ტელევიზიით, მაგრამ შედეგი არ ჩანს. უკონდიციო ელექტროენერგიას მწყობრიდან გამოჰყავს დეფიციტური, ძვირადღირებული ტელეაპარატურა. ეს დამატებით სიძნელეებს გვიქმნის.

— ამ საკითხზე მიმართეთ „საქენერგოს" ... გამოდის, რომ იგი პრეზიდენტის ბრძანებულებას არ ასრულებს?

– მიუხედავად ჩვენი არაერთგზის თხოვნისა, ეს საკითხი დღემდე არ გადაწყდა. არსებობს სახელმწიფო კომპანია „საქენერგოს" გენერალური დირექტორის 1997 წლის 8 ოქტომბრის № 181 ბრძანება „ბორჯომში, ახალციხეში და ახალქალაქში განლაგებული რადიოსატელევიზიო გადამცემი სადგურების უწყვეტი ელექტრომომარაგების შესახებ", მაგრამ ის ქაღალდზე დარჩა. ამის გარდა, პრეზიდენტის ბრძანებულების შესრულების მიზნით შემუშავდა სამცხე-ჯავახეთის მხარის სატელევიზიო მაუწყებლობის გაუმჯობესების გეგმა-ღონისძიება, რომლის პუნქტები ენერგოკომპანიებს სრულად არ შეუსრულებიათ. ამიტომაც, რა გასაკვირია, რომ იქაური ტელევიზია ნორმალურად ვერ მუშაობს. თუ ამას ვერ შეძლებენ, ჩვენი თხოვნაა ახალი თანამგზავრული სისტემით გადაცემულ ციფრული ტელევიზიის მიღებას, რომელიც მუშაობას მომავალი წლიდან დაიწყებს, მაინც ნუ შეუშლიან ხელს.

— რადიოგადაცემების გავრცელებას რაღა უდგას წინ. იმასაც დიდი რაოდენობის ელექტროენერგია სჭირდება?

– საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რადიოპროგრამების მიღებაც ელექტროენერგიაზეა დამოკიდებული.

ამ სირთულისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად მაინც ვახერხებთ ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციას და მის შენარჩუნებას. ისიც კი შევძელით, რომ სათანადო გარანტიით, კერძო სტრუქტურების ინვესტიციებით შევიძინეთ 8 სხვადასხვა სიმძლავრის მიმღებ-გადამცემი ულტრამოკლე ტალღაზე მომუშავე სადგურები. მათგან ერთ-ერთი ახალციხეში დავაყენეთ და მხარის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს ის აწვდის რადიოპროგრამას. რესპუბლიკაში ამ დიაპაზონზე მომუშავე რადიოქსელის გამართვა ახლა მიმდინარეობს და ჩვენს ქვეყანას პირველად ექნება ასეთი სიხშირის თანამედროვე სტანდარტებით მომუშავე ლოკალური ქსელი.

— რეგიონს საფოსტო გზავნილებსა და პრესას შეფერხებით აწვდით?

– პრესისა და საფოსტო გზავნილების მიწოდება ამ რეგიონში დღეისათვის ნორმალურია, გაზეთები გამოსვლის დღესვე მიდის მკითხველებამდე. შიდა საარაიონო საფოსტო გზავნილების დროულად მისატანად „საქართველოს ფოსტის" ახალციხის და ახალქალაქის ფილიალებს დამატებით ახალი ავტომანქანები გადავეცით. აქ მალე გაიხსნება „საფოსტო ბანკის" ფილიალები, რომლებიც ხელს შეუწყობს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სტრუქტურების ნორმალურ მუშაობას.

შოთა მაჭარაშვილი.

რეპლიკა

ენერგოელიტა დაემუქრა

ვის? თქვენ წარმოიდგინეთ, სახელისუფლებო ელიტის ცალკეულ „ნებიერებს", რომლებმაც ქვეყანაში შექმნილი დიდი ენერგეტიკული სიდუხჭირის მიუხედავად, ბუზიც არ აიფრინეს, უკანასკნელ წლებში სხვებისთვის ქარბუქიანი და უკუნი ზამთრის ღამეები თვითონ სინათლესა და ღილინ-ღილინში გაატარეს.

„ნებიერებისთვის" ასეთი განცხრომის პირობებში „საქენერგოს" და „თელასის" ერთობლივი განცხადება, მართლაც უპრეცედენტოა. ეს განცხადებას კი არა, უფრო მუქარას ჰგავს: თუ „დენს მიჩვეული" თანამდებობის პირები ენერგეტიკის თავკაცებზე ზეწოლას არ მოიშლიან და კვლავაც მოითხოვენ ელექტროენერგიის უგრაფიკო, პრივილეგიურ მიწოდებას, ეს უკანასკნელნი იძულებული გახდებიან, მათი ვინაობა მასმედიის მეშვეობით მთელ ქვეყანას აცნობონ.

არადა, ხომ ფაქტია, მასმედია თავის დროზე იქით ეძალავებოდა „ენერგეტიკის ქურუმებს" – ემუშავათ ღიად და გახსნილად, ემხილებინათ პირები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მათ ორგანიზებულ შრომაში, დაწესებული გრაფიკის დაცვაში. არაო, გვიმტკიცებდა წლების მანძილზე ჟურნალისტებს „თელასის" მაშინდელი გენერალური დირექტორი (და არა მარტო ის), ზემოდან შეიძლება „ძალადობის მცდელობა" მართლაც იყოს, მაგრამ ეს ჩემს შეუვალ პრინციპებზე გაცლენას ვერ ახდენს, დენი დედაქალაქის ყველა უბანს გრაფიკის ზუსტი დაცვით, მისხალ-მისხალ მიეწოდებაო.

რა თქმა უნდა, მაშინ ზრდილობის გამო, „თელასის" თავკაცისთვის ცნობილი გამოთქმა („იმდენი კბილი ჩამოგძერეს, რამდენსაც ტყუილს ამბობდეო") არ შეგვიხსენებია, მაგრამ როგორც ახლანდელი ენერგოელიტის განცხადებიდან ირკვევა, ეს ტყუილი თურმე ელექტროსისტემას ყოველდღიურად ზედმეტ 1 მილიონ კილოვატსაათად, ანუ 45 ათას ლარად უჯდება.

მადლობა ღმერთს, დღევანდელმა ენერგოელიტამ ეს გაიცნობიერა და სხვებისთვის კანონიერების დამცველებს საკუთარ ოჯახებში წესრიგის დაცვა მოსთხოვა. ისიც მისასალმებელია, რომ დედაქალაქში (და არა მარტო დედაქალაქში) ტრადიციად დამკვიდრებული მოჩვენებითი გრაფიკი რეალურ გრაფიკად იქცა – ახლა ვაკელები და გლდანელები, ვერელები და ვარკეთილელები „გაჭირვების თხილისგულს" თანაბრად ინაწილებენ.

გაგრძელდება ეს „ფერიცვალება" თუ გრაფიკი კვლავ ჩაფლავდება? ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რით იხელმძღვანელებენ ენერგომეურნეობის ახლანდელი თავკაცები – „ახალი ცოცხის" პოლიტიკით (ბევრი ასე ფიქრობს), თუ რეალური პოლიტიკით. მინდა მჯეროდეს, რომ ისინი ამჯერად მაინც აღარ ულალატებენ რეალობას.

ოთარ ხუციშვილი.

გვწერენ

საბიუჯეტო თანხები არავის შემოეხარჯება

ყველა დამეთანხმება, რომ დღეს სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხი ძალიან მწვავე და მტკივნეულად დგას. რომელი საწარმოც უნდა აიღოთ, ყველას ერთნაირად უჭირს, ამიტომაც დღითი დღე ბიუჯეტზე ფიქრი ხალხსაც და მთავრობასაც ერთნაირად აწუხებს.

რა დასამალია, ჩვენი ბიუჯეტი მაშინ იყო მზარდი და მყარი, როდესაც საწარმოებიდან, ბინის, ელექტროენერგიის, ტელეფონის, რადიოსა და სხვა გადასახადებიდან აკრეფილი თანხები შედიოდა ბანკში და შემდეგ ყველას თავისი „ულუფა" ენაწილებოდა, რაც მთავარია კავშირგაბმულობას თავისი ხვედრი არ ეკარგებოდა.

რა ხდება დღეს?

არ ვიცი, ვის, რატომ და რისთვის დასჭირდა, რომ გადასახადების აკრეფა ზოგან საბინაო მმართველობებს დაავალეს (მაგალითად გლდანში). ისინი ფულს კი კრეფენ, მაგრამ ზოგჯერ ხელშივე შემოეჭმებათ ხოლმე, რის გამოც ერთი სამუშაოდან გაათავისუფლეს, ზოგსაც აღრიცხავენ, რომ დაფარონ დავალიანება.

ხალხი ითხოვს, კვლავ შემნახველ ბანკებს დაევალოთ საბინაო გადასახადების მიღება. ამით დაზღვეულები ვიქნებით, არავინ დაუშვებს „შეცდომას", გადასახადები უთუოდ ბიუჯეტში შევა, ფული არავის შემოეხარჯება.

დოდო ზურაბიშვილი.

საახალწლო სამზადისი

სტადიონი... კონტეინერებით გაივსო

საახალწლო სამზადისი ფაქტობრივად დაწყებულია, ითქვა ტრადიციულ შეხვედრაზე, რომელიც დიდუბის რაიონის გამგეობაში ბაზრების, ბაზრობების, სავაჭრო სისტემის წარმომადგენლებთან ყოველ ოთხშაბათს იმართება. საქართველოს ყოველი კუთხიდან ტელხობა უკვე დაიძრა. რა თქმა უნდა, საახალწლო ვაჭრობას მარტო ბაზრები და ბაზრობები ვერ დაიტევს, მაგრამ, როგორც აქ აღინიშნა, უნდა შევძლოთ ყველაფერი ეს როგორმე მოვაწესრიგოთ, ბაზრების მიმდებარე ტერიტორიებზე რაღაც ჩარჩოებში მოვაქციოთ. თბილისურ ფირმებსაც უნდა მივცეთ საშუალება ივაჭრონ, მაგრამ უფრო ორგანიზებულად, თანაც ისე, რომ ფალსიფიცირებული პროდუქციის გაყიდვა მთლიანად აღკვეთონ.

შეხვედრაზე შეშფოთება გამოითქვა „დინამოს" სტადიონზე შექმნილი სიტუაციის გამო. აქ უკვე დაიწყეს სხვადასხვა პროდუქტებით სავსე კონტეინერების შეტანა, რასაც, რა თქმა უნდა, საახალწლო ვაჭრობისთვის გამოიყენებენ. ამის უფლება, ითქვა შეხვედრაზე, მათთვის არც მერიას მიუცია და არც დიდუბის გამგეობას. თუ ახლავე არ აღიკვეთა, ამას შეიძლება წერეთლის პროსპექტის გადაკეტვა და დედაქალაქის ამ უდიდესი უბნის პარალიზება მოჰყვეს. ის კი, ვისაც ამის აკრძალვა ევალება (სხვათა შორის, სტადიონი რაიონებიდან ჩამოსული ავტობუსებითაც სავსეა), ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მშვიდად მესტუმრის მოელენებს.

საკუთარი ინფორმაცია.

ანტირეკლამა

დედაქალაქის ქუჩებში ფალსიფიცირებული „ბორჯომით", სხვა უხარისხო პროდუქტებით ვაჭრობა ჩვეულებრივ ამბად იქცა. ისინი კი, ვისაც ამის აღკვეთა ევალება, „ვერ ამჩნევენ".

კონფერენცია

ვაშინგტონში კასპიის ნავთობსადენების შესახებ დიალოგი გაიმართა

როგორც ვიუწყებოდით, მიმდინარე წლის 19-20 ნოემბერს ქ. ვაშინგტონში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „კასპიის ნავთობსადენები: ახალი სანავთობო ბუმის გასაღები“. კონფერენციაში, რომლის სპონსორები იყვნენ აშშ-რუსეთის ბიზნეს საბჭო, აშშ-აზერბაიჯანის სავაჭრო პალატა და კემბრიჯის ენერგორესურსების კვლევის ასოციაცია (ასოციაცია კონსულტაციებს უწევს მსოფლიოს ნავთობის უდიდეს კომპანიებს), მონაწილეობდნენ აშშ ენერგეტიკის მინისტრი ფ. პენია, აშშ ვაჭრობის სამინისტროს მრჩეველი და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ენერგეტიკისა და ვაჭრობის სფეროში ომბუდსმენი ი. კალიცკი, კომპანია „თენგიზშევროილის“ პრეზიდენტი ნ. ზანა, აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო კომპანიის პირველი ვიცეპრეზიდენტი ი. ალიევი (პრეზიდენტ ალიევის ვაჟი), რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ვ. გარიპოვი, ყაზახეთის სახელმწიფო კომპანიის „ყაზტრანსოილის“ პრეზიდენტი ნ. კაპაროვი, აშშ-ში თურქმენეთის მისიის ხელმძღვანელი ჩ. ანაბერდიევი, აშშ-ში სომხეთის რესპუბლიკის ელჩი რ. შუღარიანი და ნავთობის კომპანიების წარმომადგენლები.

ფ. პენიამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ყაზახეთი გახდა მე-5 სახელმწიფო, რომელიც მხარს უჭერს ნავთობის ბაქო-ჯეიჰანის მიმართულებით ექსპორტს და ეს მხარდაჭერა პრეზიდენტ ნაზარბაევის ამერიკაში ოფიციალურ ვიზიტად ყოფნის დროსაც დადასტურდა. ამ მიმართულებას მხარს უჭერენ საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქმენეთის და თურქეთის პრეზიდენტები. „რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური ლიდერების სიბრძნე უახლოეს მომავალში ამ ქვეყნების მკვეთრი ეკონომიკური აღმავლობის გარანტიაა“, – აღნიშნა პენიამ. „განხილული იქნება ყველა მიმართულება“, – თქვა მან, – „მაგრამ ბაქო-ჯეიჰანის მიმართულება, რომელიც მრავალმიმართულებიანი მილსადენების სტრატეგიის ნაწილია, ყველაზე მომგებიანია და დასავლეთის მიმართულების სხვა მარშრუტებთან ერთად არ გაივლის ირანის ტერიტორიაზე“.

კომპანია „თენგიზშევროილის“ პრეზიდენტმა ნიკ ზანამ მოუწოდა ნავთობკომპანიებს გაითვალისწინონ ის სირთულეები, რომლებიც რეგიონის ქვეყნებს ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის პროცესში შეექმნათ. „მნიშვნელოვანია ვიმოქმედოთ შექმნის და არა აღების პრინციპით“, – განაცხადა მან. ზანას აზრით, კომპანიებმა არა მარტო მოგებაზე, არამედ შესაბამისი ინფრასტრუქტურების განვითარებაზეც უნდა იზრუნონ.

აშშ-ში სომხეთის რესპუბლიკის ელჩმა რუბენ შუღარიანმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ნავთობსადენების სფეროში თანამშრომლობა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას არ უნდა უკავშირდებოდეს, ვინაიდან ნავთობსადენების თაობაზე გარიგებები „წმინდა კომერციულ ხასიათს ატარებს“. სომხეთი აზერბაიჯანს ნაბიჯ-ნაბიჯ მოქმედებას სთავაზობს, რაც ნიშნავს კონფლიქტის საბოლოოდ მოგვარებამდე ერთობლივი პროექტების განხილვის დაწყებას. შემდეგი ნაბიჯი შესაძლოა გახდეს აზერბაიჯანის მიერ სომხეთისათვის ბლოკადის მოხსნა და მთიანი ყარაბაღის ჯარების აზერბაიჯანის ზოგიერთი ტერიტორიიდან გაყვანა. მშვიდობის მისაღწევად აუცილებელია აზერბაიჯანის ხელისუფლებამ დაიწყოს პირდაპირი მოლაპარაკება „მთიანი ყარაბაღის ლეგალურ მთავრობასთან“, – განაცხადა რ. შუღარიანმა.

აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო კომპანიის (SOCAR) პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა სომხეთის პოზიციას „არარეალური“ უწოდა, მაგრამ დაეთანხმა აზრს რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. ი. ალიევმა კონფერენციის მონაწილეებს შეახსენა, თუ რა ზეწოლისა და საფრთხეების გადატანა მოუხდა აზერბაიჯანს მას შემდეგ, რაც 3 წლის წინათ ბაქოს შუამდგომლობით ხელი მოეწერა პროდუქციის განაწილების კონტრაქტებს. ამ პერიოდში დამტკიცდა, რომ აზერბაიჯანის „ღია კარის პოლიტიკა“ სწორი იყო. ამჟამად აზერბაიჯანს 9 საერთაშორისო კონტრაქტზე აქვს ხელი მოწერილი. ალიევმა, აგრეთვე აღნიშნა, რომ ბაქომ პირველმა განსაზღვრა კასპიის ზღვის თავისი სექტორი და შეუდგა შელფზე ნავთობის ძიებას და ამჟამად ამგვარ პოლიტიკას სხვა სახელმწიფოებიც მიბაძავენ. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რეგიონის სახელმწიფოების უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით აუცილებელია რამდენიმე მიმართულების მილსადენების არსებობა. ადრეული ნავთობის ნოვოროსიისკის მიმართულებით ტრანსპორტირების დაწყებას მან „რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის გარდამტეხი ეტაპი“ უწოდა და, ამავდროულად, ხაზი გაუსვა ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ფუნქციონირების მნიშვნელობას, რომლის ამოქმედებაც მომავალი წლის ნოემბერშია დაგეგმილი.

თურქმენეთის წარმომადგენელმა ჩ. ანაბერდიევმა ისაუბრა იმაზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის მთავრობა ნავთობისა და ბუნებრივი აირის მრეწველობის სფეროების განვითარებას. ამ სფეროებიდან შემოსული მოგება ბიუჯეტის 57 პროცენტს შეადგენს. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მილსადენების ინფრასტრუქტურის განვითარებასაც. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 30 პროცენტია შესწავლილი, თურქმენეთს ენერგორესურსების უზარმაზარი მარაგი გააჩნია. წლეულს, სექტემბერში გამოცხადდა პირველი ტენდერი, რომლის მიზანია თურქმენეთის კასპიის ზღვის შელფის 25 პროცენტის შესწავლა.

ყაზახეთის ახლადშექმნილი კომპანიის „ყაზტრანსოილის“ პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ყაზახეთი ენერგომატარებლების ევროპასა და აზიაში ექსპორტის რამდენიმე მიმართულებას განიხილავს, მაგრამ ყოველ ვარიანტს ეკონომიკური თვალსაზრისით საფუძვლიანი შესწავლა სჭირდება.

რუსეთის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ვ. გარიპოვი შეეცადა დაერწმუნებინა კონფერენციის მონაწილენი იმაში, რომ ყველაზე ეფექტიანი ჩრდილოეთის მიმართულებაა (ბაქო-ნოვოროსიისკი და სამარა-ნოვოროსიისკი, რომელიც ყაზახეთს უკავშირდება). რაც შეეხება ბოსფორის სრუტის პრობლემას, მან განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია ამ პრობლემის რეალურად გადაწყვეტა. გარიპოვის განცხადების თანახმად, რუსეთის ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენების მეშვეობით ნავთობის ექსპორტირება ყველა ალტერნატიულ მიმართულებაზე 4-ჯერ უფრო იაფი დაჯდება. მან აგრეთვე აღნიშნა გროზნოს და ჩეჩნეთის ტერიტორიის გვერდის ავლით გამავალი ნავთობსადენების წარმატებით აღდგენის ფაქტი.

აშშ-ს ვაჭრობის სამინისტროს მრჩეველმა და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ენერგეტიკისა და ვაჭრობის სფეროში ომბუდსმენმა იან კალიცკიმ თავის გამოსვლაში ფართოდ მიმოიხილა როგორც ენერგორესურსების მოპოვებასთან და ტრანსპორტირებასთან, ასევე რეგიონის სახელმწიფოებთან თანამშრომლობის საკითხები. კერძოდ, აშშ-ს „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მიმართულების ნავთობსადენების სისტემის სტრატეგია, მისი თქმით, შემდეგ პრინციპებზეა დაფუძნებული:

- რეგიონის სახელმწიფოებში პროგნოზირებადი, ტრანსპარენტული, იურიდიულად გამართული და საერთაშორისო ნორმების შესაბამისი კომერციული გარემოს შექმნის მიზნით მუშაობის გაგრძელება;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის ჩამოყალიბება და ამ მიზნით რეგიონალური თანამშრომლობის ხელშეწყობა; ტრანსპორტის, კომუნიკაციების და კომერციული ტრანსაქციების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის მრავალმხრივი მექანიზმის გაძლიერება (როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს, სომხეთის და უზბეკეთის ჩათვლით);
- მუშაობა ძირითად მომხმარებელ და სატრანზიტო სახელმწიფოებთან, მ. შ. თურქეთთან, ჩინეთთან, უკრაინასთან, ევროპის სახელმწიფოებთან, პაკისტანთან და ინდოეთთან. ამ ქვეყნებს შეუძლიათ და გაიზიარებენ კიდეც აშშ-ს ინტერესებს კასპიის ენერგორესურსების ექსპორტირების თვალსაზრისით. სხვადასხვა გზებით აშშ-ს სურს აღნიშნული ქვეყნები მონაწილეობდნენ გადაწყვეტილებების მიღებაში;
- ნავთობისა და გაზის სფეროებში ინვესტიციების განხორციელება და ამ სფეროებიდან მიღებული მოგება არ უნდა იყოს საზიანო რეგიონის სახელმწიფოებისათვის, ვინაიდან უეცარი სიმდიდრე შესაძლოა ნგრევისა და დესტაბილიზაციის გამომწვევი მიზეზი გახდეს; ამშ ხელს შეუწყობს სახელმწიფოებს მილსადენებიდან და სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურიდან მრავალმხრივი მოგების გრძელვადიანი გეგმის შემუშავებაში (ამგვარი თანამშრომლობის დადებითი მაგალითებია ინდონეზია და ქუვეითი, ხოლო ნეგატიური მიდგომის – ბირმა და ნიგერია);
- კასპიის კვანძის გადაწყვეტისას ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ისეთი წამახალისებელი მოტივები, რომლებიც ქვეყნებს და კომპანიებს ირანის მიმართ საინვესტიციო და სატრანსპორტო იზოლაციის პოლიტიკას გაატარებინებს. აშშ-მ მხარი დაუჭირა ბაქო-ჯეიჰანის მილსადენს, როგორც მრავალმხრივი მილსადენების სტრატეგიის საკვანძო ნაწილს. ჯეიჰანის მიმართულებით ნავთობის ტრანსპორტირებას ბევრი პოზიტიური მხარე აქვს: ეს მილსადენი გვერდს უვლის ბოსფორის სრუტეს, კავკასიის სახელმწიფოებსა და თურქეთს აძლევს საშუალებას მიიღონ ენერგორესურსების ნაწილი და შეიცავს მნიშვნელოვან პოტენციურ ენერგიას ბუნებრივი აირის მოპოვებისა და მოხმარების თვალსაზრისით. ეს ან სხვა არჩეული ნავთობსადენი კომერციული თვალსაზრისითაც მომგებიანი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, შესაბამისად მშენებლობისა და დაფინანსების მოგებას კერძო სექტორი მიიღებს. აშშ მთავრობის და სავაჭრო-საფინანსო სააგენტოები ხელშემწყობის როლში იქნებიან და ასევე შეუძლიათ იმოქმედონ სხვა მთავრობებსაც. მნიშვნელოვანია, რომ პირდაპირი მოგების მიმღებმა სახელმწიფოებმა (თურქეთმა და სატრანზიტო ქვეყნებმა) განსაზღვრონ, თუ რა უნდა მოიმოქმედონ, რათა ეს პროექტი მიმზიდველი გახდეს პოტენციური ინვესტორებისათვის. ეს შესაძლოა იყოს ტარიფებისა და გადასახადების მოცულობის შემცირება, ფინანსური დახმარება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ერთად და დახმარება აირის შიდა ბაზარზე ადგილის დამკვიდრების თვალსაზრისით.

„აღმოსავლეთ-დასავლეთის“ ნავთობსადენების სისტემის პროექტის განხორციელება ორ მიზანს ისახავს: კასპიის ნავთობისა და გაზის მიწოდება ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ბაზრებზე და მეორე გაცილებით გრძელვადიანი – ჩინეთის, პაკისტანის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მიწოდება.

არც ერთი მიზნის მიღწევა არ გულისხმობს რუსეთის გამორიცხვას, ან იმას, რომ ყველა მილსადენი რუსეთის ტერიტორიაზე გაიოლეს. ფაქტობრივად, უკვე მოქმედებს მრავალმიმართულებიანი სისტემის ორი საკვანძო კომპონენტი, რომლებიც ბაქოდან ადრეული ნავთობის ტრანსპორტირებას (AIOC) და ყაზახეთის თენგიზის საბადოებიდან ენერგორესურსების (CPC) რუსეთის ტერიტორიის გავლით გატანას ითვალისწინებენ. რუსული კომპანიები აქტიურად მუშაობენ აზერბაიჯანსა და ყაზახეთში. აშშ მხარს უჭერს რუსეთის კომპანიების ნავთობის მოპოვებისა და ტრანსპორტირების სფეროებში მონაწილეობის გაგრძელებას.

რუსეთი ენერგეტიკული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ცვლილებების ზღურბლზე დგას, რაც პრივატიზაციას და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლას ითვალისწინებს. აშშ-ს სჯერა, რომ რუსეთს კასპიის ენერგომატარებლებიდან სურს მიიღოს მოგება, როგორც ეკონომიკური, აგრეთვე სტრატეგიული თვალსაზრისით და ის, რომ რუსეთის ბევრი ლიდერი თანდათანობით იზიარებს ამ აზრს.

გადაწყვეტილება ძირითადი ნავთობსადენის გაყვანის შესახებ აზერბაიჯანის საერთაშორისო სანავთობო კომპანიამ მომავალ წელს უნდა მიიღოს. ამგვარი ნავთობსადენის ეკონომიკური მიზანშეწონილობა უფრო აქტუალური ხდება, თუ გავითვალისწინებთ დამატებით ენერგორესურსებს: ყაზახეთის კასპიის შელფზე და ხმელეთზე მოპოვებულ ნავთობს, თურქმენეთისა და აზერბაიჯანის ნავთობს.

უკრაინა და დსთ-ს სხვა მომხმარებელი ქვეყნები, აგრეთვე პერსპექტივაში კასპიის აირის მომხმარებლები არიან. ამის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა მათ მიერ აირის დავალიანების დაფარვაა. უკრაინა და შავიზღვისპირეთის სხვა სახელმწიფოები კასპიის ნავთობის მომხმარებლებიც იქნებიან, რაც შეამსუბუქებს ბოსფორის სრუტის დატვირთვას და მათ ენერგორესურსების მიღების ალტერნატიულ წყაროს მისცემს.

კასპიის ენერგორესურსების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია ბუნებრივი აირის მოპოვებისა და ტრანსპორტირების საკითხი. ნავთობის ძირითად მილსადენთან ერთად გათვალისწინებულია პარალელური გაზსადენი, რომლითაც თურქმენეთის აირი, უფრო ლიმიტირებული უზბეკეთის აირი და შესაძლოა აზერბაიჯანის აირიც გაიგზავნება საერთაშორისო ბაზრებზე. კომპანია „გაზპრომი“ კასპიის აირის ექსპორტის წინააღმდეგია, ვინაიდან იგი დაინტერესებულია საკუთარი აირი გაასაღოს ლიმიტირებულ ევროპულ ბაზრებზე. მიუხედავად ამისა, აშშ მზად არის განიხილოს რუსეთთან ერთად უფრო დიდი გაზსადენის მშენებლობის შესაძლებლობები. ამასთან ერთად, განხილვის საგანია კასპიის აირის თურქეთში მიწოდების პრობლემა. ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობა ბაქომდე და მისი ბაქო-თბილისს შორის არსებულ გაზსადენთან მიერთება, შემდგომ თურქეთის მიმართულებით გაგრძელება თურქმენეთს და პერსპექტივაში აზერბაიჯანს აირის ექსპორტირების საშუალებას მისცემს. ამგვარი გაზსადენის ფუნქციონირებიდან მიღებულმა მოგებამ შესაძლოა ნავთობსადენზე დასახარჯი თანხები საგრძნობლად შეამციროს.

ი. კალიცკიმ, ისაუბრა აგრეთვე, ცენტრალური აზიის რეგიონიდან პაკისტანის და ინდოეთის გავლით ნავთობის ექსპორტირებაზე და რეგიონიდან ჩინეთში აირის ექსპორტირებაზე. მან აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი ვარიანტები შორეულ პერსპექტივას წარმოადგენს. ამასთან ერთად, კალიცკიმ რამდენჯერმე გაუსვა ხაზი იმას, რომ აშშ ირანის ტერიტორიის გავლით მილსადენების მშენებლობის და ქვეყნის ენერგოსექტორის უცხოური ინვესტიციების მეშვეობით განვითარების წინააღმდეგია.

იხ. იე - 6 გვ.

კარგ შემმოწმებელს კარგი გამგონე უნდა

ტრადიცია დამკვიდრდა. საქართველოს კონტროლის პალატის რეგიონულ ბიუროთა და საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციების ერთობლივი სხდომები ნახევარ წელიწადში ერთხელ იმართება. ამ დღეებში ასეთი ერთობლივი სხდომა გაიმართა რუსთავში, რომელიც გახსნა პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში ლევან მამალაძემ. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე დავით ასათიანი. ესწრებოდნენ რუსთავის მერი და მხარის ექვსი რაიონის გამგებლები, საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელები, სამინისტროებისა და დეპარტამენტების პასუხისმგებელი მუშაკები. მოხსენებით გამოვიდა კონტროლის პალატის ქვემო ქართლის ბიუროს უფროსი გურამ გაბუნია.

როგორც ბატონმა გურამ გაბუნიამ თქვა, მხარის ქალაქებისა და რაიონების ნახევარი წლის ბიუჯეტის მთელმა შემოსავლებმა პროგნოზით ნავარაუდევი 10 739 ათასი ლარის ნაცვლად 10551 ათასი ლარი შეადგინა (98,2 პროცენტი). კარგ შედეგს მიაღწიეს მსხვილმა გადამხდელებმა, რომელთაც ქვეყნის ბიუჯეტს 3108 ათასი ლარი შემატეს. გეგმა ამ ნაწილში 102,1 პროცენტით შესრულდა. თუმცა ეს ყველას არ ეხება. ისეთი მსხვილი გადამხდელები, როგორებიც არიან სს „მეტალურგიული კომბინატი“, „აზოტი“, „ქიმიური ბოჭკო“, ცემენტის ქარხანა, მარნეულის პურპროდუქტების კომბინატი და სხვები, სისტემატურად ვერ ასრულებენ საბიუჯეტო დავალებებს. მხარის ოთხ რაიონში განთავსებულმა მსხვილმა საწარმოებმა დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადახდა მხოლოდ 18,4 პროცენტით შეძლეს. მოგებისა – 35,1 პროცენტით. ამ ორი მაჩვენებლის შეუსრულებლობით ბიუჯეტს 1583 ათასი ლარი დააკლდა.

მოცემულ პერიოდში როგორ იმუშავეს მხარის საქალაქო და რაიონულმა საგადასახადო ინსპექციებმა? მთლად გამართულად ვერა. მათ მიერ აკრეფილია 7443 ათასი ლარი, ნაცვლად გათვალისწინებული 7697 ათასისა (96,7 პროცენტი) – ბიუჯეტს 254 ათასი ლარი დააკლდა. არ შესრულებულა დღგ (88 პროცენტი), გარემოზე ზემოქმედების გადასახადი (73,5), ფიზიკურ პირთა გადასახადი (72), სახელმწიფო ბაჟი (94) და მიწის გადასახადი (85).

ამის მიუხედავად, საერთო მაჩვენებლებით, ბიუჯეტის შემოსავლების გეგმები შეასრულეს: რუსთავმა – 101 პროცენტით, გარდაბნის რაიონმა – 108, დმანისის – 109, თეთრიწყაროს – 140, წალკის – 111 პროცენტით. ჩამორჩნენ მარნეულისა და ბოლნისის რაიონები.

ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების მაჩვენებლები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად კატეგორიებს მიეკუთვნება და სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული საფინანსო და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების ძალისხმევა. სამწუხაროდ, თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, ეს ასე არ ხდება.

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებს რეგიონში დააკლდა 1914 ათასი ლარი (გეგმა შესრულდა 71,8 პროცენტით, ძირითადად ჯარიმა-საურავის ხარჯზე), ამან კი გამოიწვია ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში დაგეგმილი ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგების არასაკმარისი დაფინანსება, როგორიცაა ეროვნული მეურნეობა, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, მეცნიერება, თავდაცვა, კულტურა. ამ მიმართულებებით დაგეგმილი თანხების მხოლოდ 47-75 პროცენტი გამოიყო.

ამან დიდი უხერხულობა შექმნა. ჯერ კიდევ პირველი ივლისისათვის განათლების მუშაკებს მიუღებელი ჰქონდათ 194,4 ათასი ლარი (გასაცემი ხელფასის 61 პროცენტი). მარნეულის რაიონში დიდი იყო იმ მენარჩენეთა რიცხვი, რომლებიც ამჟამად იურიდიული პირები არ არიან, მაგრამ საგადასახადო ინსპექციამ დავალიანებები არ გადააწერა მათ სამართალმემკვიდრეებს. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ბოლომდე დაუფინანსებელი დარჩა კულტურა, ჯანმრთელობა. არა მარტო ხელფასები, ხშირ შემთხვევაში პენსიებიც კი გაუცემელია.

კიდევ უფრო გამწვავდა მდგომარეობა მხარეში ბიუჯეტის შესრულების 10 თვის შედეგების მიხედვით.

მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ ამჯერად დავალება მხოლოდ 66 პროცენტით შეასრულა. ბიუჯეტმა ვერ მიიღო კუთვნილი 1684 ათასი ლარი. სამწუხაროდ, 10 თვეში ბიუჯეტში დაგეგმილი შემოსავლების ჩარიცხვა ვერც რუსთავისა და მსხვილი რაიონების საგადასახადო ინსპექციებმა შეძლეს. მათ საერთო ჯამში ბიუჯეტს 1416 ათასი ლარი დააკლეს.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად იმუშავეს ნარჩენი თანხების აკრეფაზე, რომლის საერთო რაოდენობამ მხარეში 9 მილიონ ლარს მიაღწია – თითქმის ნახევარწლიურ ბიუჯეტს.

არადა, როგორც სხდომაზე ითქვა, დიდი რეზერვებია ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში დასაქმებულ გადამხდელთა შემოსავლების ზუსტად დადგენისა და აკრეფის თვალსაზრისით. ამის მაგალითად დაასახელეს პურის საცხობები, სადაც მარტივი გაანგარიშებითაც კი დგინდება, რომ აქედან შემოსავლების გაორმაგება შეიძლება.

მხარის სამრეწველო ორგანიზაციების მიერ 10 თვეში რეალიზებულია 121 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების პროდუქცია. აქედან სხვადასხვა გადასახადების სახით სულ მცირე 10-12 პროცენტი რომ ყოფილიყო ბიუჯეტში შეტანილი – ეს 10 მილიონი ლარი იქნებოდა, მაგრამ, ფაქტობრივად მხოლოდ 3,3 მილიონი ლარი შევიდა. სახელმწიფო მნიშვნელოვან თანხებს კარგავს ბაზრობების, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, ბენზინგასამართი სადგურების შემოსავლებიდან.

ყოველივე ეს პირდაპირი შედეგია იმისა, რომ გადასახადის გადამხდელ საწარმო-ორგანიზაციებში ხშირ შემთხვევაში მოშლილია აღრიცხვა-ანგარიშგება, რაც დასტურდება კონტროლის პალატის ბიუროს მიერ მოწყობილი შემოწმებებითაც. ამ გზით დამატებით ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხულია 5,3 მილიონი ლარი. მარტო საშემოსავლო გადასახადების სახით ბიუჯეტში დამატებით დარიცხულია 93,5 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფის ფონდის სასარგებლოდ – 1.595,6 ათასი ლარი, ჯანმრთელობის ფონდის ხაზით – 344 ათასი ლარი, დასაქმების ფონდში – 94,9 ათასი ლარი.

წლეულს 10 თვეში მხარეში წარმოების მოცულობა შარშანდელთან შედარებით გაზრდილია 17,7 პროცენტით, აქედან სამომხმარებლო საქონლის – 47,3 პროცენტით, სასურსათო საქონლის – 26,3 პროცენტით, არასასურსათო საქონლის – 15 ჯერ, ღვინო-არყის და ლუდის – 2 ჯერ. ამავე პერიოდში საცალო და საბითუმო საქონელბრუნვის მოცულობამ ბაზრობების ჩათვლით 40,3 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 14,8 პროცენტით მეტია. სამწუხაროდ, ასეთი მაჩვენებლების ადეკვატური როლი იყო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა. შემოსავლების სახეების მიხედვით ტერიტორიულ ერთეულებში მთლიანად უზრუნველყოფილია მხოლოდ მიწის გადასახადის გეგმის შესრულება. ეს გამოწვეულია იმით, რომ აქ უბრალოდ არ შეიძლება შემოსავლის დამალვა. სხვა შემთხვევაში ეჭვქვეშ დგება საკითხი – თუ გამოშვებული პროდუქციის 95 პროცენტი უკვე რეალიზებულია, რატომ არ ჩაირიცხა ამ პროდუქციის შესაბამისი დღგ, მოგება, საშემოსავლო გადასახადი, რატომ არ შეივსო სოცანარიცხებით ბიუჯეტი, ჯანმრთელობის ფონდი, დასაქმების ფონდი და სხვა.

ბატონ გურამ გაბუნიას აზრით, ეს გამოწვეულია აღრიცხვის მოშლით, შემოსავლების დამალვით, საწარმოთა ხელმძღვანელების საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, გადასახადის ამკრეფთა საშემსრულებლო დისციპლინის დაბალი დონით.

მოხსენების გამო კამათი იყო პრინციპული და პირუთვნელი.

გოჩა ცოფურაშვილი – ბოლნისის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე: არასწორი დაგეგმვა დამანგრეველად მოქმედებს ეკონომიკაზე. სს „მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატს“, მაგალითად, დამატებითი ღირებულების გადასახადი არასწორად დაუგეგმეს, რადგან მისი ნაწარმი მთლიანად საზღვარგარეთ გადის. საკითხი დავსვით, მაგრამ ჩვენი არ გავიდა. დაგვპირდნენ სეკვესტრს, მაგრამ არ შეასრულეს. მომავალში მეტი პრინციპულობით მოვეკიდებით ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზირება-დაგეგმვას.

მერაბ ტყეშელაშვილი – რუსთავის მერი: ქალაქი მეტნაკლებად ასრულებდა ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების დაგეგმილ მოცულობებს, დროულად გასცემდა ხელფასებს, პენსიებს, ფარავდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მრავალ მოთხოვნილებას, მაგრამ ყოველივე ეს არასაკმარისია იმ დიდ ხარჯებთან შედარებით, რომლებიც აუცილებელი ხდება ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოვლა-პატრონობისთვის. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მსხვილი საწარმოები დროულად და სრულად იხდიდნენ გადასახადს.

გოგა ვეფხვაძე – [illegible] სამხარეო სამმართველოს უფროსი: საგზაო პოლიციის მონაცემებით რეგიონში ტექნიკურად გამართული 3600 ავტომანქანა დარჩა. სატვირთო მანქანები მხოლოდ 20 პროცენტით თუ არიან დატვირთული სამუშაოთი. რაც შეეხება მიკროავტობუსებს, ისინი დღეგამოშვებით მუშაობენ და ვერცერთი ვერ აღწევს თვეში 1000-ლარიან შემოსავალს, ამჟამად ვამოწმებთ მდგომარეობას, მალე ზუსტი ცნობები გვექნება.

ავთანდილ ქიმერიძე – მხარის საფინანსო ადმინისტრაციის უფროსი: მრავალი საკითხის ირგვლივ მიღებული დადგენილება შეუსრულებელი რჩება. სოფლის საკრებულოებში ჯერ კიდევ არის დარღვევები, რომლებიც ხელს უშლიან ბიუჯეტში შესატანი გადასახადების აკრეფას. წინათ მეურნეობების დირექტორები გვევლინებოდნენ სოფლის ბატონ-პატრონებად, დღეს კი, სოფლის გამგებლები იჩემებენ ამ პრივილეგიებს. ისინი მოვალენი არიან ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ საგადასახადო სამსახურს.

სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა **ლევან მამალაძემ**.

– გამოვყოფ ორ ძირითად პრობლემას, – თქვა მან, – რომლებიც უშუალო კავშირშია ბიუჯეტის შეუსრულებლობასთან. პირველია არასწორი დაგეგმვა (ქვევიდან და ზევიდან), რაც შეუძლებელს ხდის ბიუჯეტის შესრულებას. ამის მაგალითად გამოდგება ბოლნისის რაიონი. არასწორი დაგეგმვის გამო პრობლემები შეიქმნა რუსთავში, გარდაბანში.

მეორეა ის, თუ რამდენად ეფექტიანად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას საგადასახადო ინსპექციებმა. ისინი სუსტად მუშაობენ, ამაზე მიანიშნებს თუნდაც ის გარემოება, რომ სამრეწველო პროდუქციის მოცულობისა და რეალიზაციის ზრდის მაჩვენებლები საბიუჯეტო შემოსავლების არაადეკვატურია. აუცილებელია ზუსტი აღრიცხვის დამკვიდრება ტრანსპორტზე, ვაჭრობაში, ბაზრობებზე, ეკონომიკის ყველა სფეროში. მაგრამ პასუხისმგებლობა ბიუჯეტის შესრულებისათვის ეკისრება არა მარტო საგადასახადო სამსახურებს. საქალაქო და რაიონული მართვის ორგანოები ვალდებულნი არიან განახორციელონ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი, უზრუნველყონ ბიუჯეტის შესრულება. ამისათვის ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ. •

სხდომაზე მკაცრად გააფრთხილეს საგადასახადო სამსახურების უფროსები, ითქვა რომ ბიუჯეტის წლიური გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში დაისმება მათი პასუხისმგებლობის საკითხი. გვჯერა, რომ საქმე აქამდე არ მივა.

ამირან მითაგვარია.

სურათებზე: მომხსენებელი გურამ გაბუნია; სხდომის მომენტი.

ავტორის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
№314. სამშაბათი. 16 დეკემბერი. 1997 წელი.

კონფერენცია

ვაშინგტონში კასპიის ნავთობსადენების შესახებ დიალოგი გაიმართა

კალიცკიმ მოუწოდა აზერბაიჯანს და თურქმენეთს დააჩქარონ კასპიის ზღვის სტატუსთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტა, აგრეთვე აღნიშნა, რომ კლინტონის ადმინისტრაცია მუშაობს კონგრესთან, რათა მოხსნან აზერბაიჯანის ხელისუფლებისადმი აშშ დახმარების შეზღუდვები (ცნობისათვის: წელს ნოემბრის პირველ ნახევარში აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც ითვალისწინებს 1998 წელს საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის დახმარების გაწევას. აღნიშნული კანონი კვლავ ზღუდავს აზერბაიჯანისათვის დახმარების გაწევას, სანამ აზერბაიჯანის მთავრობა სომხეთს და მთიან ყარაბაღს ბლოკადას არ მოუხსნის. შეღავათები ეხება მხოლოდ დემოკრატიის მხარდაჭერის პროგრამებს, სავაჭრო და განვითარების სააგენტოების მხრიდან გაწეულ დახმარებას, აგრეთვე, კონფლიქტის მსხვერპლთათვის დახმარებას. აშშ-ს სომხურმა ორგანიზაციებმა კონგრესმენებს ჯონ პორტერს, სონი კელეჰენს და ფრენკ პალონეს მადლობა გადაუხადეს მთიანი ყარაბაღის დახმარებისათვის. აღნიშნულმა კონგრესმენებმა კონგრესში განსახილველად შეიტანეს კანონპროექტი სათაურით 1997 წლის „აქტი“ კავკასიაში აშშ-ს პოლიტიკის შესახებ“. კანონპროექტის წარდგენისას ფ. პალონემ განაცხადა, რომ „აშშ უნდა გახდეს ობიექტური შუამავალი მთიან ყარაბაღსა და აზერბაიჯანს შორის“. კანონპროექტი სომხეთის ბლოკადის გამო გამორიცხავს აზერბაიჯანის მთავრობისადმი შეერთებული შტატების, როგორც ეკონომიკურ, ასევე სამხედრო დახმარებას.

ექსპერტების აზრით, 1998 საფინანსო წელი შესაძლოა ამერიკულ-აზერბაიჯანული ურთიერთობის გაუარესების წელი გახდეს და ზიანი მიაყენოს აშშ-ს ინტერესებს რეგიონში. ამასთან ერთად, კანონში აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად მთიანი ყარაბაღის მოხსენიებამ შესაძლოა პრეცედენტი შექმნას. სავარაუდოა, რომ აზერბაიჯანის მთავრობა ვაშინგტონს კანონის ბლოკირებას, ხოლო ბ. კლინტონს ვეტოს უფლების გამოყენებას მოსთხოვს).

სანდრო ჭელიძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. მეოთხე გვერდზე.

ექსპერიმენტი

ტერიტორიული მუნიციპალიტეტი: გეგმები და კონკრეტული საქმეები

ამ ხუთიოდე თვის წინათ საინტერესო სიახლე დაიბადა საბურთალოს რაიონში — თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებით ექსპერიმენტის სახით შეიქმნა დიდი დიღმისა და ვაშლიჯვარის მუნიციპალიტეტი. მმართველობის ამ ახალი რგოლის მიზნებსა და ამოცანებზე მოსაზრებები გაგვიზიარა მისმა თავმჯდომარემ დავით ბაისონაშვილმა.

— რაიონის ტერიტორია საკმაოდ დიდია, ამასთან, საგრძნობლად არის დაშორებული ცენტრიდან. მარტო დიდ დიღომსა და ვაშლიჯვარში 60 ათასამდე მოსახლეა. ბუნებრივია, დღევანდელ გაჭირვებულ ყოფაში მათ უამრავი პრობლემა აწუხებთ. მუნიციპალიტეტიც იმისთვის შეიქმნა, რომ ადგილზე, ჩვენი ძალებით მოვაგვაროთ ბევრი რამ, რაც ჩვენს შესაძლებლობებს არ აღემატება. ეს უპირველესად ეხება რაიონის ინფრასტრუქტურის, ტერიტორიული სპეციფიკის, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. სწორედ ჩვენ უნდა მივხედოთ ელექტროენერგიით მომარაგებას, საცხოვრებელ სახლებს, სისუფთავეს, სკვერებსა და გაზონებს. ერთი სიტყვით, საქმე ბევრია. აპარატის შტატი გამოყო და დაამტკიცა რაიონის გამგეობამ. თითქმის ყველა სამსახურს ჰყავს თავისი წარმომადგენელი და ისინი დარგების მიხედვით საქმიანობენ.

უპირველესი, რაც მოვიმოქმედეთ, მოსახლეობასთან შეხვედრა და გულახდილი საუბარი იყო. მათ მიერ წამოჭრილი საკითხები საფუძვლად დაედო მუნიციპალიტეტის სამუშაო გეგმას, რომელიც რაიონის გამგეობამ დაამტკიცა. უბნებისა და დასახლებების მიხედვით საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოვაყალიბეთ საკონსულტაციო და მრჩეველთა საბჭოები. მათში შედიან დიდი დიღმისა და ვაშლიჯვარის მოსახლეობის წარმომადგენლები.

უკვე შეგვიძლია კონკრეტულ საქმეებზე ლაპარაკიც. სწორედ ჩვენი ინიციატივით მე-3 და მე-4 მიკრორაიონებში მოიხრეშა მისასვლელი გზები, დაწყებულია მოასფალტება. გაკეთდა გარე განათება, გადაწყდა მაღლივ კორპუსებში წყლის მიწოდების პრობლემაც. ყველაზე მტკივნეული ამჟამად ელექტროენერგიით უზრუნველყოფაა, რასაც შესაბამის სამსახურებთან მუდმივი კონტაქტით მოვაგვარებთ.

ამჟამად ქალაქის მერიის ინიციატივით დიდ დიღომში ტროლეიბუსის ხაზის მშენებლობა მიმდინარეობს.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს: პოლიციის განყოფილებასთან ერთად ვიზრუნებთ მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.

ვფიქრობთ, დიდ სიკეთეს მოგვიტანს დიდი დიღმისა და ვაშლიჯვარის აღორძინების ფონდისა და სახაზინო საწარმოს შექმნაც. მოსახლეობის მომსახურების გასაუმჯობესებლად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავხსნით შემნახველ ბანკს. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში გვექნება ბიუჯეტის შესრულების საკითხები, აგრეთვე სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სრულყოფის ღონისძიებები. მოზიდული თანხების გარკვეულ ნაწილს ისევ ჩვენი პრობლემების გადაწყვეტას მოვახმართ. ჩანაფიქრის ხორცშესხმაში აქტიურად გვეხმარება რაიონის გამგეობა, პარლამენტში ჩვენგან წარგზავნილი მაჟორიტარი დეპუტატი.

ასე, რომ სამომავლოდ ბევრი საინტერესო ჩანაფიქრი გვაქვს. მართალია, მუნიციპალიტეტი დიდი გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ახალგაზრდა კადრის მონდომება იმის იმედს გვაძლევს, რომ საქმეს მოვერევით. უახლოეს ხანში ამას მოსახლეობაც თვალნათლივ დაინახავს.

ესაუბრა
სერგო ხარაზიშვილი.

გზა

ვინ იცის, როგორი ზამთარი იქნება

თერჯოლის საგზაო სამმართველო, რომელსაც ამ საქმის კარგი მცოდნე ამირან ჩხ. ცვაძე ხელმძღვანელობს, 208 კილომეტრი სიგრძის გზის მონაკვეთს ემსახურება. ამ გზებს მუდამ ეტყობა მზრუნველი პატრონის ძლიერი ხელი.

წლეულს ამ ორგანიზაციამ შიდასახელმწიფოებრივ გზაზე, რომლის სიგრძე 21,5 კილომეტრია, 59,9 ათასი ლარის სამუშაოები შეასრულა, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შეკეთება, რომლის სიგრძე 187 კილომეტრია, 52,4 ათასი ლარი დაჯდა.

ასფალტ-ბეტონის ავტომატიზებულმა ქარხანამ წლეულს 5 ათას ტონაზე მეტი ასფალტი მიაწოდა ხარაგაულის, ზესტაფონის საგზაო განყოფილებებს.

ახლა ზამთრისათვის ემზადება სამმართველო. ვინ იცის, როგორ გაავდრდეს და როგორი მიხედვა დასჭირდეს გზას. სწორედ ამისთვის 7,5 ათასი ლარი შემოინახეს. მზადყოფნაშია ზამთრის მექანიზმები — ექსკავატორები, ბულდოზერები, გრეიდერი და ტრაქტორი თოვლსაწმენდით. მალე, ალბათ საწვავსაც შემოიტანენ და გზის მშენებელთა 30-კაციანი სამი ბრიგადა მომზადებული შეხვდება ზამთარს.

ჰენრი შარიქაძე.

პრეზენტაცია

სოციალური ორგანიზმის ანატომია

წლეულს მკითხველმა მიიღო ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ნოდარ ჭითანავას მონოგრაფია „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, რომელიც ავტორმა ეროვნული გმირის ჟიულ შარტავას ხსოვნას მიუძღვნა.

— ეს წიგნი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მრავალწლიანი პრაქტიკული საქმიანობის, დაკვირვებისა და კვლევის ანალიზია. მასში გამოთქმული მოსაზრებები და დებულებები სრულიად ახლებურად წარმოაჩენს ეკონომიკის არა მარტო სირთულეებს, არამედ მათი გადაწყვეტის გზებსაც, — აღნიშნა ნაშრომის პრეზენტაციაზე საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ქალბატონმა ლია ნადარეიშვილმა. მისი ეს შეფასება თავიანთ გამოსვლებში არაერთგზის გაიმეორეს ცნობილმა მეცნიერებმა ლეო ჩიქავამ, რევაზ ბასარიამ, შოთა ფუთურიძემ, ვლადიმერ კერესელიძემ, დომენტი მოურავიძემ, თემურ შენგელიამ, რევაზ კაკულიამ, მიხეილ მაქსოევმა და სხვებმა. მათი თქმით წიგნში განხილულ პრობლემებზე აქტუალური პრობლემები არ არსებობს. სადაც არ არის ეკონომიკა, იქ კეთილდღეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მონოგრაფიის მთავარი ღირსება ის არის, რომ თეორიის გვერდით მასში მოცემულია კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის კონკრეტული გზებიც. გურამ ყუფუნიამ წიგნს „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდის სოციალური ორგანიზმის ანატომია“ უწოდა.

გამომსვლელებმა გულისტკივილით აღნიშნეს ამ უაღრესად საჭირო წიგნის მცირე ტირაჟი — 500 ეგზემპლარი. არადა, იგი მეცნიერებისა და ნებისმიერი ხელმძღვანელი მუშაკისათვის სამაგიდო უნდა გახდეს, ოღონდ, მთავარია არა მხოლოდ წაკითხვა, არამედ სათანადო გააზრება და ცხოვრებაში გამოყენება.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის რექტორმა, პროფესორმა ოთარ ჟორდანიამ დამსწრეთ ამცნო, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ნოდარ ჭითანავას მონოგრაფია სახელმწიფო პრემიაზე წარადგინა.

ბატონმა ნოდარ ჭითანავამ სამადლობელ სიტყვაში აღნიშნა, რომ წიგნზე მუშაობას კვლავაც აგრძელებს — განზრახული აქვს დაამუშაოს ის საკითხებიც, რომლებმაც, ვითარებათა გამო, ამ ნაშრომში ასახვა ვერ ჰპოვეს.

ელგუჯა ლებანიძე.

საწარმო

აქ შესანიშნავი ოსტატები მუშაობენ

„შრომამ“ დამზადებული ცეცხლგამძლე აგური და, თუ გნებავთ, სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქცია ერთადერთია საქართველოში. წლების განმავლობაში აქ შესანიშნავი მატერიალური ბაზა შეიქმნა, ძველი ღუმელები თანამედროვეთი შეიცვალა, ნახშირი-ბუნებრივი აირით, კეთილმოეწყო საამქროები და მუშების შრომაც გაუმჯობესდა, მაგრამ ქარხანაში ხელმძღვანელთა ხშირმა ცვლამ თითქმის გაანიავა იქ არსებული მანქანა-დანადგარები. დიდთოვლობამ ჩამოანგრია სახურავი. ამგვარ მდგომარეობაში ჩაიბარა საწარმო ზაურ ნებიერიძემ. მას თითქმის ყველაფრის დაწყება თავიდან მოუხდა, მაგრამ არ შედრკა, შემოიკრიბა ძველი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და შეუდგა ქარხნის აღდგენას. ამისათვის, რა თქმა უნდა, ფინანსები იყო საჭირო, საწარმოს მხარში ამოუდგნენ ჰოლდინგური კომპანია „საქსამთომეტალურგის“ სააქციო საზოგადოება, რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება. ერთობლივი ძალისხმევით აღდგა ტექნოლოგიური ხაზი, მოდერნიზებულია წისქვილები, აღადგინეს წნეხები, ელევატორები, კონვეიერები და სხვა. ასე რომ, შეუდგნენ მუშაობას. ძირულაში (ზესტაფონის რაიონი) ჯერ კიდევ 1948 წელს მოპოვებული თიხები დღესაც ძვირფასი ნედლეულია სხვადასხვა სახეობის პროდუქციის გამოშვებისათვის. აქ მალე წელიწადში 18 000 ტონა აგურს დაამზადებენ. მისი თვითღირებულება მსოფლიო საბაზრო ფასებზე ნაკლები იქნება. საწარმოში 150 კაცი დასაქმდება, რომლებიც ქართულ კერამიკას სულს შთაბერავენ, აქ ხომ მეთუნეობის შესანიშნავი ოსტატები მუშაობენ. კონკურენტუნარიანი პროდუქცია მალე მსოფლიო ბაზარზე გავა.

ჰენრი შარიქაძე.

კარიკატურისტის თვალით



ექიმო, მიშველეთ, წელში ვერ ვიმართები...

სარედაქციო საბჭო:
თემურ ბასილია (საბჭოს თავმჯდომარე), ელგუჯა ლებანიძე, თამაზ მაღლაკელიძე, რუსლან რუსია, ზურაბ ტყემალაძე, ნოდარ ჭითანავა, ოთარ ხუციშვილი (რედაქტორი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალი

ახალი ურთიერთობა – ახალი კოდექსი

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ავთანდილ კობახიძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

— პირველ ყოვლისა, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ გაფართოვდა თვით სამოქალაქო სამართლის საგანი, კოდექსით მოწესრიგებული კერძო ურთიერთობის სფერო. სახელდობრ, ახალი სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს არა მარტო ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს, არამედ საოჯახო და საბინაო ურთიერთობებსაც. საოჯახო სამართალი კოდექსში ცალკე ნაწილად (წიგნად) არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, კოდექსი აწესრიგებს მიწის საკუთრებასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, მიწის საკუთრების გამო წარმოშობილ ურთიერთობებს. საერთოდ, განსხვავებულად, სრულყოფილი სახით არის გადმოცემული სანივთო სამართალი, მისი ძირითადი ინსტიტუტები (მფლობელობა, საკუთრება).

მემკვიდრეობის სამართალმა სერიოზული სიახლე განიცადა. ეს ეხება როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობას.

მიწის ნაკვეთის საკუთრებისა და სარგებლობის ურთიერთობის სამართლიანი მოწესრიგების მიზნით კოდექსი ცალკე თავში გადმოგვცემს სამეზობლო სამართალს, რაც ადრე მოქმედი კანონმდებლობით საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული.

სრული სიახლეა სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის სამართლებრივი რეგულირება (აღნაგობა, უზუფრუქტი და სერვიტუტები).

— რა განსხვავებაა აღნაგობას, უზუფრუქტსა და სერვიტუტს შორის?

— აღნაგობაც, უზუფრუქტიც და სერვიტუტიც გარკვეული შეზღუდვით სხვისი საკუთრებით სარგებლობას ნიშნავს. აღნაგობის დროს ხდება მიწის ნაკვეთის გადაცემა გარკვეული ვადით, რაიმე ნაგებობის აგების უფლებით, რომლის დროს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ინარჩუნებს უფლებას ამ ნაკვეთზე, მაგრამ თვით აღნაგობის უფლება შეიძლება გასხვისდეს ან მემკვიდრეობით გადაეცეს. უზუფრუქტის დროს ნივთით სარგებლობა ხდება, მაგრამ მისი განკარგვა მესაკუთრის თანხმობის გარეშე არ დაიშვება. სერვიტუტის დროს კი სერვიტუტში გადაცემული ქონება იქნება გამოყენებული (დატვირთული), რომ უფლებამოსილ პირს მხოლოდ გარკვეული მიზნით შეუძლია ისარგებლოს ამ ნივთით, ანდა თვით ამ ქონების მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება შეიძლება შეიზღუდოს უფლებამოსილი პირის ქონების მიმართ. აღნაგობის უფლება ვრცელდება მხოლოდ მიწის ნაკვეთზე, უზუფრუქტი და სერვიტუტი კი როგორც მიწის ნაკვეთზე, ისე სხვა უძრავ ქონებაზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კოდექსი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად საკუთრების გამოყენებას. სანივთო სამართალი ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა გირავნობა და იპოთეკა.

კოდექსმა შემოიღო სრულიად ახალი ინსტიტუტი — საჯარო რეესტრი, მოაწესრიგა ვალდებულებათა ახალი სახეები, რომლებიც საერთოდ არ იყო გათვალისწინებული ადრე მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით. მათ შორის არის როგორც ხელშეკრულებათა ახალი სახეები, ისე არასახელშეკრულებო კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები. ხელშეკრულებათა ახალ სახეებს განეკუთვნება: ლიზინგი, იჯარა და სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა, ფრენშაიზინგი, ტურისტული მომსახურება, საკუთრების მინდობა, სატრანსპორტო ექსპედიცია, შუამავლობა, კონტოკორენტი, ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულებანი, თამაშობა და სანაძლეო.

კოდექსში ცალკე მუხლი აქვს დათმობილი თამაშის ისეთ გავრცელებულ სახეს, როგორიცაა ლატარეა. 952-ე მუხლის თანახმად ლატარეის ხელშეკრულება ან მსგავსი თამაშობანი ვალდებულებებს წარმოშობენ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი (გათამაშება, წილისყრა, კენჭისყრა) ნებადართულია სახელმწიფოს მიერ.

კოდექსის სრულ სიახლეს წარმოადგენს ისეთი კანონიერი ვალდებულებითი ურთიერთობების მოწესრიგება, როგორიცაა საზიარო უფლებები და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება.

— როგორც ცნობილია, ახალი კოდექსით ბევრი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა უფრო სრულყოფილად, ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად არის მოწესრიგებული. სახელდობრ, „ბევრში" რა ურთიერთობები იგულისხმება?

— უპირველესად ეს ითქმის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე. კოდექსმა მოაწესრიგა არა მარტო ნივთების ყიდვა-გაყიდვა, არამედ უფლების ან სხვა ქონების ნასყიდობა. კოდექსმა განსაზღვრა უნაკლო ნივთის ორი სახე: ნივთობრივად უნაკლო ნივთი და უფლებრივად უნაკლო ნივთი. ნივთობრივად უნაკლოდ ჩაითვლება ნივთი, რომლის ხარისხიც შეესაბამება მხარეთა შეთანხმებას, ანდა ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. უფლებრივად უნაკლოდ ითვლება ნივთი, რომელზეც მესამე პირებს არ შეუძლიათ პრეტენზია წაუყენონ მყიდველს. გარდა ამისა, ნასყიდობის ხელშეკრულების მოწესრიგებისას კოდექსი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას გადახდის განვადებით ნასყიდობაზე, გამოსყიდვის უფლებაზე (რომლის მიხედვით გამყიდველს შეუძლია გამოისყიდოს მის მიერ გასხვისებული ქონება), აგრეთვე უპირატესი შესყიდვის უფლებაზე.

გაფართოვდა და სრულყოფილად მოწესრიგდა გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულება, კონკურსი, დაზღვევა, საბანკო მომსახურება, მიბარება, ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) სამისდღემშიო რჩენა, უსაფუძვლო გამდიდრება და დელიქტური ვალდებულებანი.

სამოქალაქო კოდექსში ცალკე წიგნად არის წარმოდგენილი ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. ამ წიგნში საკმაო სისრულით არის მოწესრიგებული საავტორო სამართალი და სამრეწველო საკუთრება.

— რა მნიშვნელოვანი ცვლილებებია საოჯახო სამართალში?

— კოდექსის მეხუთე წიგნი დათმობილი აქვს საოჯახო სამართალს. ბევრი სიახლეა როგორც დაქორწინების, ისე განქორწინების წესში, შვილად აყვანის სამართლებრივ რეგულირებაში.

სრულ სიახლეს წარმოადგენს მეუღლეთა შორის საქორწინო ხელშეკრულების დადება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების პერიოდში, ისე განქორწინებისას.

საქორწინო ხელშეკრულების დადება ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის ჯერჯერობით უცნაურად გამოიყურება. პრაქტიკულადაც, ალბათ, იშვიათი შემთხვევა იქნება, მაგრამ საბაზრო ეკონომიკა, ახლებური ცხოვრება ამას თანდათან დაამკვიდრებს და უნდა ვიფიქროთ, რომ მნიშვნელოვნადაც შეუწყობს ხელს მეუღლეთა შორის ქონებრივი დავების მოწესრიგებას.

გარკვეული თავისებურებანია გათვალისწინებული ქორწინების შეწყვეტისა და ქორწინების ბათილობის წესებშიც. კოდექსის 1123-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად ცოლის ორსულობისა და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე. მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში განქორწინება შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი მეუღლის დაუსწრებლად სათანადოდ დამოწმებული მისი განცხადების წარდგენით.

კოდექსმა შემოიღო სრულიად ახალი ინსტიტუტი — საჯარო რეესტრი, მოაწესრიგა ვალდებულებათა ახალი სახეები, რომლებიც საერთოდ არ იყო გათვალისწინებული ადრე მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით. მათ შორის არის როგორც ხელშეკრულებათა ახალი სახეები, ისე არასახელშეკრულებო კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები.

კოდექსი ადგენს ქორწინების ნამდვილობის პრეზუმფციას. თუ მეუღლეებმა დაქორწინებისას არ იცოდნენ ქორწინების დამაბრკოლებელი იმ გარემოების შესახებ, რომელიც მათი ქორწინების ბათილობის საფუძველია, ქორწინება წყდება სასამართლოში ამ გარემოების დადგენის მომენტიდან, მაგრამ ამ დრომდე ქორწინება წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს, რასაც ნამდვილი ქორწინება. ადრე მოქმედი კოდექსით ასეთი შედეგი მხოლოდ სასამართლოზე იყო დამოკიდებული, პირდაპირ არ ყოფილა გათვალისწინებული.

ქორწინების ბათილობის მოთხოვნა ორივე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ აღარ დაიშვება.

სიახლეა შვილად აყვანის გაფორმებაში. შვილად აყვანის გადაწყვეტილებას ღებულობს სასამართლო მშვილებლის განცხადებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის შემდეგ. ამასთან, გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია სრულწლოვანი პირის შვილებაც, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შეიძლება ზნეობრივად გამართლებულად ჩაითვალოს.

ახალი კოდექსით საოჯახო სამართალში შეტანილი აღარ არის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის აქტები, რამდენადაც იმ ორგანოების კონკრეტული საქმიანობის წესი და პირობები, რომლებიც ასეთ რეგისტრაციას ახდენენ, განისაზღვრება ცალკეული ინსტრუქციებითა და დებულებებით და კოდექსში მათი შეტანა აღარ გახდა საჭირო.

— კერძო საკუთრების გაფართოება და განვითარება მემკვიდრეობის სრულყოფილ მოწესრიგებას რომ მოითხოვს, ყველაზე უკეთ კანონმდებელმა იცის. ეს „ცოდნა" ახალ კოდექსში როგორ აისახა?

— მემკვიდრეობის სამართალმა სერიოზული სიახლე განიცადა. ეს ეხება როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობას. ამიტომაა, რომ თუ ადრე მოქმედ კოდექსში მემკვიდრეობას მხოლოდ 33 მუხლი ჰქონდა დათმობილი, ახალ კოდექსში ამ ურთიერთობას 99 მუხლი აწესრიგებს.

კოდექსმა იმ გარდაცვლილი პირის აღსანიშნავად, რომლის ქონება გადადის მემკვიდრეობით, ადრე გამოყენებული „სამკვიდროს დამტოვებლის" ნაცვლად შემოიღო ახალი ტერმინი „მამკვიდრებელი". შემოღებულია ე.წ. „უღირსი მემკვიდრის" ცნება. კოდექსის 1310-ე მუხლის თანახმად, უღირსი მემკვიდრეა პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. თუ ეს გარემოებანი დაადასტურა სასამართლომ, ასეთი პირი არ შეიძლება იყოს არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრე.

გაფართოვდა კანონით მემკვიდრეთა წრე. კერძოდ, დაწესდა ასეთ მემკვიდრეთა ხუთი რიგი (ადრე იყო მხოლოდ ორი რიგი). პირველი რიგის მემკვიდრეებს კვლავ მიეკუთვნებიან შვილები, მეუღლე და მშობლები; მეორე რიგის მემკვიდრეებად დარჩნენ გარდაცვლილის დები და ძმები, ხოლო ბებია და პაპა, რომლებიც ადრე მეორე რიგის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ, ახალი კოდექსით მესამე რიგის მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან. ამავე რიგში შევიდნენ ბებიის და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. მეოთხე რიგის მემკვიდრეებს ახალმა კოდექსმა მიაკუთვნა ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები; მეხუთე რიგის მემკვიდრეებად ცნობილი არიან ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო როცა ეს უკანასკნელნი აღარ არიან, მათი შვილები. მეოთხე და მეხუთე რიგის მემკვიდრეები ადრე საერთოდ არ ითვლებოდნენ კანონით მემკვიდრეებად, რაც, ცხადია, უსამართლობა იყო.

კანონმა გამოყო ქონება და უფლება-მოვალეობანი, რომელთა მემკვიდრეობა არ დაიშვება. 1330-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია პირადი ხასიათის უფლება-მოვალეობათა მემკვიდრეობით გადაცემა, რომლებიც მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს, ასევე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ კრედიტორისა და მოვალის სიცოცხლეში და წყდება მათი სიკვდილით, სამკვიდროში არ შედის და მემკვიდრეთა შორის არ გაიყოფა. ეს არის საგვარეულო წიგნები (ან ჩანაწერები), ოჯახური მატიანე, სულის მოსახსენებელი და სხვა საკულტო საგნები და საფლავი. ეს საგნები გადაეცემა მემკვიდრეს საკუთრების უფლებით დამკვიდრებული ჩვეულების მიხედვით. დოკუმენტები, რომლებიც ეხება მამკვიდრებლის პიროვნებას, მის ოჯახს ან მთელ სამკვიდროს, რჩება საერთო საკუთრებად. კოდექსმა დააწესა მემკვიდრეობის ჩამორთმევა სასამართლოს გადაწყვეტილებით იმ მეუღლისათვის, რომელიც სამი წლის მანძილზე აღარ ცხოვრობდა ფაქტობრივად მამკვიდრებელთან ერთად (მუხლი 1341).

სრული სიახლეა ანდერძით მემკვიდრეობაში ე.წ. შინაურული ანდერძი, რომელიც გულისხმობს მოანდერძის მიერ თავისი ხელით ანდერძის დაწერას და მასზე ხელისმოწერას. თუ ადრე მოქმედი კანონმდებლობით სავალდებულო იყო ანდერძის დამოწმება სანოტარო წესით, ახალმა კოდექსმა დასაშვებად ჩათვალა ანდერძის შედგენა წერილობით, როგორც სანოტარო ფორმით, ისე უამისოდ.

კანონი ადგენს ანდერძის საიდუმლოებას, ნოტარიუსს, სხვა თანამდებობის პირს და მოწმეებს უფლება არა აქვთ სამკვიდროს გახსნამდე გაამხილონ ანდერძის შინაარსი. შემოღებულია ე.წ. დახურული ანდერძი, რაც გულისხმობს მოანდერძის სურვილით მოწმეთა მიერ ანდერძის დადასტურებას ისე, რომ არ გაეცნონ მის შინაარსს.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კანონი ანდერძის შედგენის თარიღის მითითებას. ასეთი მითითების არარსებობა იწვევს ანდერძის ბათილობას იმ შემთხვევაში, თუ ვერ გაქარწყლდება მოანდერძის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული ეჭვი.

არსებითად შეიცვალა ანდერძის დროს სავალდებულო წილის უფლება. თუ ადრე მოქმედი კოდექსით, ანდერძის შემთხვევაში სავალდებულო წილი ეკუთვნოდათ მხოლოდ შრომისუუნარო პირველი რიგის მემკვიდრეებს, ახალი კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად, ასეთი წილი ეკუთვნის მამკვიდრებლის ყველა შვილს, მშობლებსა და მეუღლეს, მიუხედავად იმისა, შრომისუუნარიანია ის, თუ არა, ამასთან, სავალდებულო წილი თუ ადრე იმ წილის არანაკლებ 2/3 იყო, რაც მათ მემკვიდრეობის დროს ეკუთვნოდათ, ამჟამად ასეთი წილი კანონით კუთვნილი წილის ნახევარი უნდა იყოს.

კოდექსით სრულყოფილად არის მოწესრიგებული საანდერძო დანაკისრი, ანუ ლეგატი, ანდერძის შეცვლა ან მოშლა, ანდერძის ბათილობა, ანდერძის აღსრულება, სამკვიდროს მიღება და მის მიღებაზე უარის თქმა, სამკვიდროს გაყოფა, მემკვიდრეების მიერ კრედიტორების დაკმაყოფილება, სამკვიდროს დაცვა და სამკვიდრო მოწმობის გაცემა.

— რა სიახლეებია სამოქალაქო სამართლის ზოგად ნორმებში?

— სრულიად ახლებურად არის რეგლამენტირებული სამოქალაქო სამართლის ისეთი ზოგადი ინსტიტუტი, როგორიცაა ხანდაზმულობა. ზოგადად სახელშეკრულებო მოთხოვნებზე დაწესებულია სამწლიანი ხანდაზმულობა, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო მოთხოვნებზე ექვსწლიანი ხანდაზმულობა (ადრე მაქსიმალური ვადა 3 წელი იყო). კანონით აღიარებული იქნა ე.წ. საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით, რაც ძველი კოდექსით არ იყო დაშვებული. კოდექსის 165-ე მუხლით თუ პირი მოძრავ ნივთს უწყვეტად ფლობს ხუთი წლის განმავლობაში, როგორც საკუთარს, ამ ნივთზე საკუთრების უფლებას მოიპოვებს, ხოლო 167-ე მუხლით იგივე წესი მოქმედებს უძრავ ნივთებზე, თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია ამ ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება ამ ქონებაზე, რეგისტრაცია არსებობდა 15 წლის მანძილზე და ფლობდა მას როგორც საკუთარს. ბევრი სიახლეა ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნორმებშიც. აქედან უნდა გამოიყოს კოდექსის 389-ე მუხლი, რომელიც ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას ფულადი ვალდებულების გადახდას ეხება. ამ მუხლის თანახმად თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეულ (კურსი) ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ყურადსაღებია კოდექსის 403-ე მუხლი, რომელიც მიუთითებს, რომ მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი, თუკი კრედიტორს სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია, მაგრამ იქვე ადგენს, რომ დაუშვებელია პროცენტიდან პროცენტის გადახდა.

კოდექსით უფრო სრულყოფილად არის მოწესრიგებული ურთიერთობები, რომელიც ვალდებულებაში კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლეს ეხება.

— ვრცელდება თუ არა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები მის ამოქმედებამდე წარმოშობილ ურთიერთობაზე?

— სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები გავრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა მისი ამოქმედების დროიდან, ე.ი. 1997 წ. 25 ნოემბრის შემდეგ, მაგრამ თუ ურთიერთობა ადრე წარმოიშვა, იგი უნდა მოწესრიგდეს ძველი აქტებით, მხარეთა სურვილისამებრ კი მისი მოწესრიგება ახალი კოდექსითაც შეიძლება.

ესაუბრა
ლეილა კოშკაძე.

ინტერვიუ ფაქსით

საქართველოს ალგორითმი საბერძნეთში

ვანის ექსპონატები — კულტურული ციკლის გვირგვინი

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ყრილობა მეტად წარმომადგენლობითი იყო. — **თქვა ბატონმა ალექსანდრემ**, — აქ შეიკრიბნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, აზიისა და ოკეანიის, აფრიკის ბერძნული დიასპორის წარმომადგენლები, ათენში აკრედიტებული ელჩების აბსოლუტური უმრავლესობა.

სამუშაო ლაიტმოტივი ამ ფორუმისა იყო სრულიად მსოფლიოს ბერძნების ძალისხმევის გაერთიანება მსოფლიო ელინიზმის გადასარჩენად. არანაკლები ყურადღება დაეთმო ბერძნული სათვისტომოების პრობლემატიკაზე საბერძნეთის ხელისუფლების ყურადღების მობილიზებას. მეტად სასიამოვნო კონტექსტში გაიჟღერა საქართველოს ბერძნულ დიასპორასთან დაკავშირებულმა კომენტარმა. აღინიშნა ის სითბო და გულისხმიერება, რომელსაც ქართველი ხალხი, საქართველოს ხელისუფლება და პირადად ბატონი ედუარდ შევარდნაძე იჩენენ ბერძენი მოსახლეობის მიმართ. მსოფლიო ბერძნული ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, საქართველოს ბერძნულ დიასპორას გამოეყო ერთი მილიონი აშშ დოლარი, რაც საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, საქართველოში ბერძნული ენისა და კულტურის შესწავლის კეთილშობილურ საქმეს მოხმარდება.

რა თქმა უნდა, ყრილობის ყურადღების მიღმა არ დარჩა ბერძნული სახელმწიფოებრიობის აქტუალური პოლიტიკური საკითხები. თითქმის ყველა გამომსვლელის საუბარს წითელ ზოლად გასდევდა სრულიად მსოფლიო ბერძნების გაერთიანების აუცილებლობა „საფრთხის ქვეშ" მყოფი ელინიზმის გადასარჩენად.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საბერძნეთის პრეზიდენტი კონსტანტინოს სტეფანოპულოსი და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ჯორჯ პაპანდრეუ.

— ბატონო ალექსანდრე, ცნობილია, რომ თესალონიკი ევროპის 1997 წლის კულტურულ დედაქალაქადაა გამოცხადებული.

— დიახ. ამ მოვლენის ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში იმართება კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით. კულტურული ციკლის — „თესალონიკი ევროპის კულტურული დედაქალაქი" — დასკვნითი ნაწილი ქართული კულტურისა და მეცნიერების წარმოჩენით დაგვირგვინდა — 6 დეკემბერს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საგამოფენო დარბაზში, „ახალ კულტურულ ცენტრში" გამოიფინა ვანის არქეოლოგიური გათხრების ექსპონატები.

თავის ბერძენ კოლეგასთან, ბატონ ევანგელოს ვენიძელოსთან ერთად, გამოფენა საზეიმო ვითარებაში გახსნა საქართველოს კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა. საქართველოს დელეგაციაში იყვნენ ცნობილი ქართველი არქეოლოგი ოთარ ლორთქიფანიძე, ქალბატონი მზექალა შანიძე, ბატონი მიხეილ ქავთარია. ღონისძიებას ესწრებოდნენ თესალონიკისა და ათენის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეცნიერები, მხატვრები, მუსიკოსები, საქართველოს ბერძნული დიასპორის წარმომადგენლები. აქვე აღვნიშნავ, რომ გამოფენის გახსნაში მონაწილეობდა ედუარდ შევარდნაძის ფონდის თავმჯდომარე ნუგზარ ფოფხაძე, რომელიც ამ ღონისძიებაზე დასასწრებად საგანგებოდ ჩამოფრინდა ათენიდან, სადაც სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა.

განსაკუთრებული პეწი შესძინა გახსნის ცერემონიალს ღვაწლმოსილი დირიჟორის ოდისეი დიმიტრიადის მონაწილეობამ, რომლის პიროვნება კარგა ხანია ცოცხალ ლეგენდად იქცა ქართული და ბერძნული საზოგადოებრიობისათვის.

გამოფენის გახსნისას ბატონმა ვალერი ასათიანმა ყურადღება გაამახვილა საუკუნეების სიღრმიდან მომავალ ქართულ-ბერძნულ კულტურულ და რელიგიურ ურთიერთობებზე. სიამოვნებით აღნიშნა, რომ ეს კონტაქტები არათუ ფერმკრთალდება, არამედ სხვა თვისებრივ სიმაღლეზე ადის, რის ერთ-ერთ დასტურადაც მინისტრმა თესალონიკის მთელი წლის სისხლსავსე კულტურული ცხოვრების ვანის არქეოლოგიური გათხრების ექსპონატთა გამოფენით დასრულება მიიჩნია — აღნიშნა ინტერვიუს დასასრულ ბატონმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ.

რედაქციის ფაქსთან
მორიგეობდა
ბონდო მძინარაშვილი.

პროკურატურა

„ნუ გვაიძულებთ ახალ-ახალი განმარტებების მიცემას"

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

— პროკურატურას არ სურს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, ბრალდებულის წინასწარ დადანაშაულება, — თქვა ბატონმა რევაზმა, — მაგრამ ზოგჯერ გვაიძულებენ რაღაც ვთქვათ სიტუაციებში გასარკვევად, საზოგადოებისთვის ზუსტი ინფორმაციის მისაწოდებლად. ასეთი სიტუაცია შეიქმნა ახლაც, ჯაბა იოსელიანისა და სხვათა სასამართლო პროცესის დაწყებისას. განა შეიძლებოდა ჯაბა იოსელიანის საქმის გამომძიებლებს, ან პირადად მე, წამოსცდენოდა, რომ მას ბრალი არ მიუძღვის დანაშაულობებში, რომ მის მიმართ შეკრებილი არ არის საკმარისი მტკიცებულობები? ეს ჩემთვის წარმოუდგენელია!

თემურ ხაჩიშვილმა ყველაფერი აღიარა საქართველოს გენერალური პროკურორის წინაშე. ეს დაკითხვა ჩაწერილია ვიდეოფირზე. იგი ამბობს, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტამდე რამდენიმე დღით ადრე გიორგი გელაშვილთან ერთად ჯაბა იოსელიანს ეწვია აგარაკზე, წყნეთში. მოახსენეს, რომ ყველაფერი მზად იყო აფეთქებისათვის; თუმცა იქვე დასძინეს, რომ აფეთქება არ იძლევა 100-პროცენტიან გარანტიას. იოსელიანმა მათ კატეგორიულად განუცხადა: — 100 კი არა, 50-პროცენტიანიც რომ იყოს, აფეთქება მაინც უნდა მოხდესო. ეს რა, — პატარა ამბავია? ახლა გვეუბნებიან, — ხაჩიშვილმა ეს სიტყვები შემდეგში უკან წაიღოო. მართალია, უკან წაიღო, მაგრამ მისი ეს სიტყვები დადასტურდა სხვა ბრალდებულთა ჩვენებებითაც. ამიტომ ვირწმუნეთ ისინი.

ეს ერთი, ახლა მეორეც: არავის არ სურს, რომ „ჩამშვების" იარლიყი მიიკეროს. თავის დროზე ხაჩიშვილმა განაცხადა, — მე რატომ უნდა ვთქვა ჯაბაზე, თვითონ თქვასო. ხედავთ, რა ხდება? ხაჩიშვილი წინა ჩვენებას უარყოფს, იოსელიანი დუმს, არაფერს ამბობს. რა ქნას გამომძიებამ? შეთქმულება არ ხდება ბაზარში, საერთო კრებაზე. გარიგება მიდის 2-3 კაცში. ძალით ვაღიარებინოთ? ძალას არ მივმართავთ და მაინც გაჰკივიან, — გვაწამებენო, ბოთლზე გვსვამენო. ნამუსიც კარგი საქონელია!

ახლა იარაღი? 3-4 პისტოლეტი კი არა, მთელი არსენალია პარლამენტის შენობაში! ნარკოტიკები? 149 ამპულა „ნორფინი", 500 აბი „კოდეინი"... ეს სხვას ეპატიებოდა? ცხადია, არა! ჯაბა იოსელიანს კი ეს ყველაფერი უნდა ვაპატიოთ, შეღავათები გავუწიოთ! რატომ? — შეუბღალავი წარსული აქვს, სუფთად განვლო ცხოვრება?

გიორგი ჭანტურიას მკვლელობაშიც უცოდველი გამოჰყავთ. ტერაქტის შემდეგ თემურ ხაჩიშვილი და გიორგი გელაშვილი „იმელში" ჯაბა იოსელიანთან მივიდნენ და მოახსენეს, — გიორგი ჭანტურია უკვე მოცილებულიაო. ჯაბამ სინანული გამოთქვა, — კარგი იყო, ირინა სარიშვილიც მომკვდარიყოო. თან ბიჭებს ყურადღების გამახვილებისკენ მოუწოდა, — ფრთხილად იყავით, საქმე არ გაიხსნასო! ამაზეც თვალი დავხუჭოთ?

ჩვენ არ დაგვიზმნებია, რომ სოლიკო ხაბეიშვილის საცხოვრებელ სახლში ლიფტი დანაღმეს. თვითონ აღიარეს. წავედით, ვნახეთ და ამოვიღეთ იმ ლიფტიდან ბომბი. რატომ გია გულუას ლიფტი არ შევამოწმეთ ან გიორგი ჭანტურიასი? არ უთქვამთ და იმიტომ. სადაც თქვეს, იქ წავედით, იქ ვნახეთ. ახლა მიპასუხეთ, — საკაიკაცოდ ჩადეს ის ბომბი? რამდენ ადამიანს იმსხვერპლებდნენ, თუ ჩანაფიქრს განახორციელებდნენ?

ძალა, იარაღი, ტერორი იყო მათი მეგზური. ხობის თათბირზე ჯაბა იოსელიანმა ზუგდიდის კომენდანტად ზაზა პაიჭაძე ძალით გაიყვანა. ბიჭებს ქალაქი სამი დღით „საგულაოდ" უნდა მივცეო, — ესეც თქვა. როცა უკან მოდიოდნენ ნაძარცვით სავსე მანქანების კოლონით, — რუსი სამხედროები მაგან ხერგილზე გააჩუმა. ააწიოკეს მთელი სამეგრელო, გაქურდეს, გადაწვეს. დოდო გუგეშაშვილისა და სხვათა სასამართლო პროცესზე ეს დეტალები სავსებით დაადასტურეს მოწმეებმაც, დაზარალებულებმაც.

და საერთოდ, ზოგიერთს ძალიან მალე ავიწყდება ახლო წარსულის გაკვეთილები. აღარ ახსოვს „მხედრიონის" წევრთა თარეში, შიში, ქაოსი, თავნებობა, განუკითხაობა.. ეს ყველაფერი მათ მიერ დაწერილი „ძალადობის კოდექსის" ჩვეულებრივი მუხლებია, რომელთა მიხედვითაც უნდა გვეცხოვრა, უნდა გვემუშავა. ვიღაც-ვიღაცეებმა ახლა მოინდომეს ცრუ ქომაგობა, ყალბი ქულების დაწერა, თანაც — სენსაციებით, ზღაპრებით. არ გამოვა!

ერთი სიტყვით, ჯაბა იოსელიანის დანაშაულობანი დადასტურებულია გამოძიებისათვის მიცემული პირვანდელი ჩვენებებით, გასაუბრებისას შედგენილი ოქმებით, სხვა ბრალდებულთა, დაზარალებულთა მტკიცებებით. ჩვენ ამაზე წინასწარ ლაპარაკი აღარ გვინდა, — ყველაფერი სასამართლოზე გამოჩნდება, ამიერიდან ნუღარ გვაიძულებთ ახალ-ახალი განმარტებების მიცემას, — თქვა ბოლოს ბატონმა რევაზ ყიფიანმა.

ბონდო გულიაშვილი.

სიტუაცია

უსინათლოთა გასაჭირს ვინ მოთვლის...

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება 1926 წელს შეიქმნა უსინათლო ავთანდილ ციხიშვილის მიერ. მამინდელმა ხელისუფლებამ გულთან მიიტანა ამ ადამიანთა გასაჭირი და 1936 წელს საზოგადოებას ფონიჭალაში 25 ჰექტარი ტერიტორია გამოუყო.

ნელ-ნელა შეიქმნა უსინათლოთა საწარმოები და დასახლება. „ფონიჭალის" სასწავლო-საწარმოო წამოწყება იმ დროიდან საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სათაო დაწესებულებად ითვლება. წლიდან წლამდე ძლიერდებოდა საზოგადოება, რომელიც უსინათლოთა მაქსიმალურ დასაქმებას უზრუნველყოფდა. 1992 წლისთვის საზოგადოება 5000-ზე მეტ უსინათლოს აერთიანებდა. მათ შორის, „ფონიჭალის" სათაო წამოწყებაში მუშაობდა I და II ჯგუფის 465 უსინათლო, ხოლო უსინათლოთა დასახლებასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 300-ზე მეტი უსინათლოთა ოჯახი ცხოვრობდა. მარტო „ფონიჭალის" წამოწყებაში, რომ არაფერი ვთქვათ მთელი სისტემის დანარჩენ 23 საწარმოზე, მზადდებოდა 100-მდე დასახელების საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგანი.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. რესპუბლიკაში შექმნილმა ვითარებამ (სამოქალაქო ომი, კრიმინოგენური მდგომარეობის გამწვავება, კავშირების მოშლა) უსინათლოთა საზოგადოება მძიმე ეკონომიკური პრობლემების პირისპირ დააყენა. საწარმოებში შეწყდა მუშაობა, მოიშალა ყველა ეკონომიკური ბერკეტი. ამას დაემატა მომუშავე უსინათლო ინვალიდებისთვის პენსიის (მანამდე ისინი პენსიასაც და გამომუშავებულ თანხასაც იღებდნენ) და ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათების გაუქმება. ინვალიდებს მოესპოთ ერთადერთი მატერიალური და სულიერი საზრდო, დარჩნენ სოციალურად დაუცველნი. მარტო სასწავლო-საწარმოო წამოწყება „ფონიჭალაში" მომუშავე 465 ინვალიდიდან საწარმო დატოვა 430 უსინათლომ. ბევრი ომისა და შრომის ვეტერანი დღეს მათხოვრობს...

დღეს ყველა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოში შექმნილია ანალოგიური საზოგადოებები, რომელთაც კომუნისტური პერიოდის შეღავათები კი არ მოესპოთ, პირიქით კიდევ სხვა, მანამდე გაუთვალისწინებელი შეღავათებიც დაემატათ.

ნებისმიერი ხელმძღვანელისთვის იმაზე დიდი ტრაგედია არ არსებობს, როცა შენდამი დაქვემდებარებული კოლექტივი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგება და უძლური ხარ რაიმე იღონო. ბევრი უძილო ღამე გადავიტანეთ. კიდევ უფრო გაგვიჭირდებოდა, რომ არა ჩვენი საზოგადოების გამოკვეთილი ლიდერები, რომლებიც მუდამ მზად არიან თანადგომისთვის. ძნელბედობის ჟამს ჩემთან მოვიდნენ I ჯგუფის უსინათლო, „ფონიჭალის" უსინათლოთა ადგილობრივი გამგეობის თავმჯდომარე რეზო ტატალაშვილი და მისი მოადგილე გურამ ურუშაძე.

დიდი სჯა-ბაასის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ დახმარებისთვის კრწანისის რაიონის გამგეობისათვის მიგვემართა. გუმანმა არ გვიღალატა. რაიონის გამგეობისა და მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის აქტიური ჩარევით 1994 წლის მარტში ჩვენთან გაიხსნა უფასო სასადილო, რომელსაც წლეულს ოქტომბრამდე პროდუქტებით საერთაშორისო ორგანიზაცია „ხსნის არმია" ამარაგებდა. ეს რომ არა, ალბათ, ასობით უსინათლო შიმშილის მსხვერპლი გახდებოდა. გვაიმედებს ის ფაქტი, რომ ამგვარი კეთილშობილური მისია დღესაც გრძელდება და ამას რაიონის გამგებელი, ენერგიული, ყურადღებიანი ხელმძღვანელი ირაკლი მეძმარიშვილი, მისი პირველი მოადგილე ნანა ბიჭიაშვილი, მოქალაქეთა კავშირის კრწანისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე კარლო მეზურნიშვილი, სოციალური დახმარების განყოფილების უფროსი ლილი ნოდია, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის კავშირგაბმულობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა წარმართავენ. ახლახან უსინათლოთა დასახლებაში 300 ოჯახს გადაეცა კვების პროდუქტები, მედიკამენტები. ამ დღეებში გვპირდებიან ნავთის შემოტანას.

„ფონიჭალის" უსინათლოთა დასახლების სახელით, ჩვენი გაჭირვების გათავისებისათვის, გულწრფელი მადლობა მათ.

მაგრამ, ბუნებრივია, დახმარების იმედად მუდამ ვერ ვიქნებით. იმედი გვაქვს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტი, მმართველი პარტია, მოქალაქეთა კავშირი, საპარლამენტო უმრავლესობა მეტ გულისხმიერებას გამოიჩენენ უსინათლოების, საერთოდ ინვალიდების მიმართ და მათ შესაძლებლობებს გამოიყენებენ.

კარლო ბარძაია,
საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების „ფონიჭალის" სასწავლო-საწარმოო წამოწყების გენერალური დირექტორი, II ჯგუფის უსინათლო.

ყურადღება!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი შპს „პრესა" სთავაზობს დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის",
„საქართველოს საგადასახადო კოდექსის",
„საქართველოს კონსტიტუციის"
და
მიწის საკუთრების შესახებ კანონის

ბოლო, ოფიციალურ გამოცემებს ყველაზე იაფად, ხელმისაწვდომ ფასებში.

გამსაღებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს დიდი რაოდენობით შესყიდვის შემთხვევაში გაეწევათ შეღავათი.

მისამართი: შ. კოსტავას 14, მე-4 სართული ტელეფონი: 93-26-99.

ქალაქ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ მიმდინარე წლის 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის" მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის" სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია.

წინაპარი



ვლადიმირ ჟუხრაი

სტალინი

სიმართლე და სიცრუე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 308, 309, 313.

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხანაგ
ივანოვისათვის

1940 წლის 3 დეკემბერს ჰიტლერმა მოინახულა ავადმყოფი ფელდმარშალი ფონ ბოკი, რომელმაც ამ შეხვედრასთან დაკავშირებით თავის დღიურში ჩაწერა შემდეგი: „ჩემს ჯანმრთელობაზე რამდენიმე შენიშვნის შემდეგ მან (ჰიტლერმა) მითხრა, რომ აუცილებელია საბჭოთა კავშირი აღიგავოს პირისაგან მიწისა. მაშინ ინგლისი მალე დაკარგავს თავის მსოფლიო მნიშვნელობასა და გავლენას. მე გამაოცა ამ სიტყვებმა და ფრთხილად შევნიშნე, რომ რუსეთის თვალუწვდენელი სივრცეები, ჩვენთვის უცნობი მისი შეიარაღებული ძალები ამ ამოცანის შესრულებას საძნელოს ხდიან ჩვენი შეიარაღებული ძალებისთვისაც კი, ფიურერს სახე ცივი და მკაცრი გაუხდა. მან უხეშად მიპასუხა, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ლაშქრობა გერმანიას თვით ბედისაგან აქვს განწესებული. წასვლის წინ იგი ხელახლა ყურადღებიანი გახდა და იმედი გამოთქვა, გამოვჯანსაღდები და გადამწყვეტ როლს ვითამაშებ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში".

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხანაგ
ივანოვისათვის

ჰიტლერთან თათბირის შესახებ 1940 წლის 5,12 დეკემბერს

ჰიტლერი: „ადრინდელი საომარი კამპანიების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შეტევა უნდა დაიწყოს შესაფერისად ხელსაყრელ მომენტში. ხელსაყრელი დროის შერჩევა დამოკიდებულია არა მარტო ამინდზე, არამედ მხარეთა ძალების შეფარდებაზე, შეიარაღებაზე და ა.შ. რუსები შეიარაღებით ჩამოგვრჩებიან იმავე მოცულობით, როგორც ფრანგები. რუსებს გააჩნიათ თანამედროვე საველე საარტილერიო ბატარეების მცირე რაოდენობა. ყველაფერი დანარჩენი მოდერნიზებული ძველი მატერიალური ნაწილია; ჩვენი ტანკი T-III, 50-მილიმეტრიანი ზარბაზნით (გაზაფხულზე ისინი 1500 გვეყოლება), რამდენადაც გვეჩვენება, აშკარად სჯაბნის რუსულ ტანკს, რუსული ტანკების ძირითად მასას ცუდი ჯავშანი აქვს.

რუსი ადამიანი არასრულფასოვანია".

ამ სიტყვებამდე რომ მივიდა, სტალინმა გვერდზე გადასდო სადაზვერვო პაკეტი და მაგიდაზე დადებული ჰიტლერის წიგნი „მაინ კამფი" (ჩემი ბრძოლა) აიღო. საჭირო გვერდზე გადაშალა და წაიკითხა: „ნებისმიერი საშუალებებით უნდა მივაღწიოთ, რომ მსოფლიო გერმანელებმა დაიპყრონ. თუ ჩვენ გვსურს შევქმნათ ჩვენი დიდი გერმანული იმპერია, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევავიწროვოთ და გავჟლიტოთ სლავი ხალხები (სტალინმა ხაზი გაუსვა სიტყვებს – გავჟლიტოთ სლავი ხალხები) – რუსები, პოლონელები, ჩეხები, ბულგარელები. არ არსებობს რაიმე საფუძველი, რომ ეს არ გავაკეთოთ".*

სტალინმა კვლავ გადაფურცლა ჰიტლერის „მაინ კამფი" და წაიკითხა: „თუ ჩვენ დღეს ვლაპარაკობთ ახალ მიწებსა და ტერიტორიებზე ევროპაში, ჩვენი მზერა, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია რუსეთისაკენ. ეს უზარმაზარი სახელმწიფო აღმოსავლეთში მომწიფებულია დასალუპავად. ჩვენ ბედმა გვარგუნა გავხდეთ მოწმენი კატასტროფისა, რომელიც გახდება რასობრივი თეორიის მართებულობის ყველაზე წონადი დადასტურება".

სტალინმა წიგნი მაგიდაზე დადო, წამოდგა და როგორც ყოველთვის, ნელი ნაბიჯებით მოჰყვა ბოლთის ცემას კაბინეტში.

– და ამ სინდის და ღირსებაგარეცხილ, ცხოველური მორალის ადამიანებს, – გაიფიქრა სტალინმა ჰიტლერელებზე – ჰყოფნის თავხედობა, მოუწოდონ დიდი რუსი ერის, ლენინის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკასა და ჩაიკოვსკის, სეჩენოვისა და პავლოვის, რეპინისა და სურიკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ერის განადგურებისაკენ. ჰიტლერელები, ეშმაკის მსახურნი, თავიანთ თავს რომის იმპერიის მემკვიდრეებს უწოდებენ. ცუდი როდი იქნება თუ გაიხსენებენ მონათმფლობელური რომის ბედსაც: როცა ხალხებმა, რომელთაც რომშელი მონათმფლობელები სიძულვილით ბარბაროსებს უწოდებდნენ, გაერთიანდნენ და დაამხეს „მარადიული" ქალაქი რომი. თუმცა ამგვარი გახსენებებისათვის ჰიტლერელებს ცოდნა არ ეყოფათ. მსოფლიოს ისტორიას ისინი აშკარად არ იცნობენ.

მაგრამ ისე გავს, – განაგრძობდა ფიქრებს სტალინი – ჩვენ უჩვეულო ომის ზღვარზე ვდგავართ. ფაშისტური გერმანიის ჩვენზე თავდასხმის შემთხვევაში საქმე გვექნება, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, საბჭოთა ხალხის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხთან. ჰიტლერელებს სურთ სსრ კავშირის ხალხთან ჰქონდეთ გამანადგურებელი ომი. რა გაეწყობა, თუ გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხმება, ისინი განადგურებული იქნებიან.

სტალინი მაგიდას დაუბრუნდა და კვლავ განაგრძო კითხვა სადაზვერვო პაკეტისა 1940 წლის 5 დეკემბერს გამართულ თათბირზე ჰიტლერის გამოსვლის შესახებ.

წითელ არმიას რომ ახასიათებდა, ჰიტლერმა განაცხადა: „არმიას არ ჰყავს ნამდვილი მეთაურები. მეტად საეჭვოა, რომ მათ უკანასკნელი დროის მანძილზე სერიოზულად შეძლებოდათ არმიაში სამხედრო ხელმძღვანელობის სწორი პრინციპების დანერგვა. რუსეთის არმიის დაწყებული რეორგანიზაცია მას გაზაფხულისათვის ჯერ კიდევ უკეთესს ვერ გახდის. გაზაფხულისათვის ჩვენ აშკარა უპირატესობით გვეყოლება უკეთესი მეთაურთა შემადგენლობა, მატერიალური ნაწილი, ჯარები. რუსებს ყველაფერი ეს, ეჭვგარეშეა, ეყოლებათ გაცილებით დაბალი დონისა. თუ ასეთ არმიას მივაყენებთ ელვისებურ დარტყმას, მისი განადგურება გარდაუვალია.

რუსეთის არმიის წინააღმდეგ შეტევისას ისინი წინ არ უნდა გავირეკოთ, რადგან ეს სახიფათოა. თავიდანვე ჩვენ შეტევა ისე უნდა წარვმართოთ, რომ რუსეთის არმია დავშალოთ ცალკეულ ჯგუფებად და „ტომრებში" მოვგუდოთ".

სტალინმა ამ წინადადებას წითელი ფანქრით ორი ხაზი გაუსვა და ძახილის ნიშანი დასვა.

შემდგომი პაკეტი გალდერის შენიშვნებს ეხებოდა.

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხანაგ
ივანოვისათვის

გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის გენერალ-პოლკოვნიკ გალდერის შენიშვნები (1940 წლის 13 დეკემბერს ჰიტლერთან გამართულ თათბირთან დაკავშირებით):

„ევროპაში ჰეგემონიის საკითხის გადაწყვეტა უკავშირდება რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას. ამიტომ აუცილებელია ომისათვის მზადება, რათა პოლიტიკურმა სიტუაციამ მოითხოვა, გამოვიდეთ რუსეთის წინააღმდეგ. (დაინტერესებული სამსახურებრივი ინსტიტუტები მიიღებენ შესაბამის დავალებებს).

ერთ ფრონტზე ომის წარმოებისათვის ჩვენ (ანუ სახმელეთო ჯარებს) გაზაფხულისათვის (1941 წ.) განკარგულებაში უნდა გვყავდეს 130-140 დივიზია. სამხედრო-საჰაერო ძალებს ელით ორ ფრონტზე ომი, რაც ნიშნავს ქვეყნის ტერიტორიისა და სახმელეთო ჯარების დაცვას ორივე ფრონტზე (დაბომბვის ოპერაციების შეზღუდვით ზაფხულის დღის საათებში).

სამხედრო-საზღვაო ფლოტმა უნდა უზრუნველყოს ბალტიის ზღვის იზოლირება, რათა ომი ვაწარმოოთ ორ ფრონტზე. ჩვენ არ ვეძებთ რუსეთთან კონფლიქტს, მაგრამ 1941 წლის გაზაფხულიდან მზად უნდა ვიყოთ ამგვარი ამოცანის შესასრულებლად".

უკანასკნელ წინადადებებს სტალინმა ორჯერ გაუსვა ხაზი წითელი ფანქრით და გადავიდა შემდგომი სადაზვერვო პაკეტის კითხვაზე.

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხანაგ
ივანოვისათვის

1941 წლის 2 თებერვალს ჰიტლერმა კვლავ მოინახულა გენერალ-ფელდმარშალი ფონ ბოკი, რომელიც ისევ ავადმყოფობდა.

ჰიტლერის ამ ვიზიტთან დაკავშირებით ბოკმა თავის დღიურში ჩაწერა: „პესიმიზმისაგან განსხვავებით, რომელსაც გენერალური შტაბი იჩენს, ჰიტლერი დარწმუნებულია, რომ მოსკოვი მალე იგემებს კრახს. მე ჩავურთე, რომ ჩვენ რუსებს გავანადგურებთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ბრძოლას მიიღებენ. მაგრამ მათთან ძნელი იქნება ვაწარმოოთ რაიმე მშვიდობიანი მოლაპარაკებანი. ფიურერმა მიპასუხა, რომ ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით ჩვენ შესანიშნავ მდგომარეობაში ვიმყოფებით. თუ რუსები გააგრძელებენ წინააღმდეგობას უკრაინისა და მოსკოვის დაკარგვის შემდეგ, ჩვენ უბრალოდ გავისეირნებთ ციმბირამდე. მიუხედავად ამისა, ვუთხარი მე, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ბედის ტრიალისათვის. ამაზე ჰიტლერმა გადაჭრით მიპასუხა: „დარწმუნებული ვარ, მათ მოეჩვენებათ, რომ ისინი ურაგანმა ახვეტა".

გამოჯანმრთელების შემდეგ ფონ ბოკს შეხვედრა ჰქონდა ჰიმლერთან, რომელმაც სსრ კავშირის წინააღმდეგ გერმანიის ომის მიზნებზე უთხრა: „რუსეთის დაყოფა მცირე სახელმწიფოებად და გავლენის გერმანული სფეროს გავრცელება ურალს იქით".

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხანაგ
ივანოვისათვის

1941 წლის 28 თებერვალს გენერალ-მაიორ ტომასთან (გერინგის უახლოესი თანამემწე, გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობასთან არსებული სამხედრო-ეკონომიკური შტაბის უფროსი) გაიმართა თათბირი „ბარბაროსას" გეგმის დამატებით „ოლდენბურგის" შტაბის შექმნის საკითხზე საბჭოთა კავშირის რაიონებისა და ოლქების გაძარცვის მიზნით, რომლებიც ოკუპირებულ იქნებიან საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შემდეგ.

„შესაქმნელი შტაბის მუშაობის დარგების გაყოფა ორ სექტორად:

ა) შეტევის დროს მეწინავე ნაწილებისადმი მიდევნება, რათა თავიდან იქნას აცილებული მარანთა მოსპობა და უზრუნველყოფილ იქნას უმნიშვნელოვანესი ქონების გამოტანა.

ბ) ოკუპირებული სამრეწველო რაიონების მართვა და მათი მოსაზღვრე ეკონომიკური რაიონების შეფასება.

მთავარი ამოცანა: ნედლეულის რეკვიზირება და ყველა მნიშვნელოვანი საწარმოების (მურა ნახშირი, მადანი, ქიმია, ნავთი) დაუფლება.

ეკონომიკის განყოფილებამ განყოფილების ყველა უფროსს და პოდპოლკოვნიკ ლიუტერს თითო ეგზემპლარად წარუდგინოს ახლად დამუშავებული მითითებები რუსეთთან დაკავშირებით".

სრულიად საიდუმლოდ
მხოლოდ ამხანაგ
ივანოვისათვის

ამონაწერები გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის უფროსის დირექტივებიდან.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი

1941 წ. 13 მარტი

სრულიად საიდუმლოდ
№ 21 დირექტივის
(„ბარბაროსას" გეგმის)
დანართი ინსტრუქცია განსაკუთრებული
ოლქების შესახებ

„საომარი მოქმედებების მსვლელობაში დაკავებული რუსული ტერიტორია, როგორც კი ამის საშუალებას მოგვცემს ვითარება, უნდა დაიყოს, სპეციალური მითითებების თანახმად, ცალკეულ სახელმწიფოებად დამოუკიდებელი მთავრობებით".

„სახმელეთო ჯარების მთავარსარდალს უფლება აქვს თავისი ძალაუფლება განახორციელოს ამ ტერიტორიებზე და ამის რწმუნებით აღჭურვოს არმიებისა და საარმიო ჯგუფების სარდლები".

„ეს ტერიტორა მისი მოსახლეობის ეროვნების და, აგრეთვე არმიის ჯგუფების საზღვრების სიახლოვის გათვალისწინებით თავდაპირველად დაყოფილ იქნება ჩრდილოეთის (ბალტიისპირეთი), ცენტრალურ (ბელორუსია) და სამხრეთის (უკრაინა) ოლქებად. ამ ოლქებში პოლიტიკური მმართველობა გადაეცემათ რაიხკომისრებს, რომლებიც იღებენ შესაბამის ინსტრუქციებს ფიურერისაგან".

„საომარი ოპერაციის დაწყებასთან ერთად სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი ხურავს საბჭოთა კავშირ-გერმანიის საზღვარს (შემდგომ საბრძოლო მოქმედებათა რაიონის ზურგის საზღვარს). ყოველგვარი არასამხედრო სამგზავრო მოძრაობისა, საქონელბრუნვისა და საფოსტო-სატელეგრაფო კავშირისათვის".

შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსი კაიტელი.

თარგმნა
ილია რურუამ.

(გაგრძელება იქნება)

---

* ასე აშკარად და ცინიკურად იქნა წამოყენებული, ხოლო შემდეგ პრაქტიკულ საფუძველზე დაყენებული ეგრეთწოდებული „დაბალი რასებისაგან სასიცოცხლო სივრცის გაწმენდის კაციჭამიური ამოცანა". დიდი სამამულო ომის დროს მაინის ფრანკფურტში მცხოვრებ მოკლულ გერმანელ ლეიტენანტს გუსტავ ციგელს უპოვეს ჯარისკაცებისადმი გერმანული სარდლობის ერთ-ერთი მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო: „შენ არ გაგაჩნია გული და ნერვები: ომში ისინი ზედმეტია. ჩაკალ შენში სიბრალული და თანაგრძნობა – მოჰკალ ყოველნაირი რუსი, საბჭოელი, არ შეჩერდე, თუ შენს წინაშე აღმოჩნდება მოხუცი თუ ქალი, გოგონა თუ ბიჭი – მოჰკალ. ამით შენს თავს იხსნი დაღუპვისაგან, უზრუნველჰყოფ საკუთარი ოჯახის მომავალს და სახელს გაითქვამ საუკუნოდ". ახლა უკვე უდავოდ დადასტურებულია, რომ ჰიტლერელებს განზრახული ჰქონდათ მთელი ციმბირი მოეფინათ „ოსვენციმის" ტიპის სიკვდილის ბანაკებით და პრაქტიკულად განეხორციელებინათ თავიანთი განზრახვა საბჭოთა ადამიანების მასობრივი გაჟლეტისა, დაახლოებით 30 წლის განმავლობაში ფიზიკურად მოესპოთ საბჭოთა ხალხის დიდი ნაწილი.

ერთ-ერთ საიდუმლო თათბირზე ჰიტლერმა განაცხადა: „რუსეთს უნდა წავართვათ ყველაფერი, რაც ჩვენი გვჭირდება. უნდა შევიმუშაოთ ტექნიკა უცხო მოსახლეობის შემცირებისა. ვის შეუძლია სადაოდ გახადოს ჩემი უფლება, მოვსპო დაბალი რასის მილიონობით ადამიანი, რომლებიც მწერებივით მრავლდებიან... უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მივაღწიოთ სლავიანური მოსახლეობის შემცირებას".

იუბილე

ჭეშმარიტი მეცნიერი

აკადემიკოს ელენე მეტრეველის დაბადებიდან 80 წლისთავი

თავისი ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების 20 წლის მანძილზე ელენე მეტრეველი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი იყო. ამ თანამდებობაზე მან შეცვალა ინსტიტუტის დამაარსებელი და პირველი დირექტორი ილია აბულაძე — ცნობილი თავისი ფანატიკური სიყვარულით ხელნაწერებისა და თვითონ ხელნაწერთა ინსტიტუტის მიმართ. ამ სიყვარულში ელენე მეტრეველი მისი ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა.

ელენე მეტრეველი დაიბადა თბილისში, პედაგოგების ოჯახში. 1935-1940 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1940-1943 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე. 1946 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1957 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1946 წლიდან იგი მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, იმავდროულად კითხულობდა ლექციებს ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. 1958 წლიდან ელ. მეტრეველი ხელმძღვანელობს ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიულ განყოფილებას, 1968-1989 წლებში ინსტიტუტის დირექტორია. 1974 წელს მას ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1983 წელს – ნამდვილ წევრად.

ელენე მეტრეველი ცნობილი არქეოგრაფი, ლიტერატურათმცოდნე და ფართო დიაპაზონის ფილოლოგია, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა აღნიშნული დარგების განვითარებაში. იგი ავტორია 130-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთაგან 12 მონოგრაფიაა. მრავალფეროვანია მისი შრომების თემატიკა, იგი მოიცავს როგორც სასულიერო, ასევე საერო მწერლობის მრავალ სფეროს.

ელენე მეტრეველის სამეცნიერო პრობლემატიკის ფართო დიაპაზონი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მისი ხანგრძლივი მუშაობით ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც ოდითგანვე ფართოდ იყო გაშლილი არქეოგრაფიული მუშაობა. ელენე მეტრეველი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ხელნაწერთა ინსტიტუტსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებში დაცულ ქართულ ხელნაწერთა მდიდარი ფონდების მეცნიერული აღწერილობების შედგენას. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შედგენილ „აღწერილობათა" 30 ტომიდან ელ. მეტრეველი 9 ტომის თანაავტორია, ხოლო 17 ტომის რედაქტორი.

ხელნაწერებზე მუშაობისას ელ. მეტრეველმა გამოავლინა მეცნიერებისათვის უცნობი არაერთი ძეგლი და ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტი და ფართო ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე ზუსტად განსაზღვრა მათი ადგილი ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარების ისტორიაში.

არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა უძღვნა ელ. მეტრეველმა კლასიკური პერიოდის საერო მწერლობის ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებს – „ვეფხისტყაოსანს", „ამირან-დარეჯანიანს", „აბდულმესიანს". განსაკუთრებულია მისი წვლილი აღორძინების პერიოდის (XVII-XVIII სს.) მწერლობის შესწავლის საქმეში. დიდი გულმოდგინებით იკვლევდა იგი სულხან-საბა ორბელიანის მხატვრულ და ლექსიკოგრაფიულ მემკვიდრეობას. საყურადღებოა ამ მოღვაწისადმი მიძღვნილი მისი ნაშრომები: „ს. ს. ორბელიანის „ქართული ლექსიკონის" უძველესი ავტოგრაფი", „ს. ს. ორბელიანის მთარგმნელობითი მუშაობის შესწავლისათვის „ქილილა და დამანას" მაგალითზე" (ალ. ღვახარიასთან თანაავტორობით), „ს. ს. ორბელიანის შედგენილი 1723 წლის რუკა", „მცხეთური ბიბლიის „იგავთა" წიგნის წყაროები შესწავლისათვის", აგრეთვე პუბლიკაცია „ქილილა და დამანას" აკადემიური ტექსტისა (ალ. ბარამიძესთან ერთად), ახალი გამოცემა „ქართული ლექსიკონისა" (ც. ქურციკიძესთან ერთად).

ელენე მეტრეველის საგანგებო შესწავლის საგანია ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული მოგზაურობის ჟანრი. მან გამოიკვლია და გამოაქვეყნა ამ ჟანრის მნიშვნელოვანი ძეგლები: XVIII ს-ის ცნობილი მოღვაწისა და მწერლის ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა" და ასევე ცნობილი მოღვაწის, დიპლომატისა და მწერლის გიორგი ავალიშვილის „მოგზაურობა თბილისიდან იერუსალიმამდე", რომელიც 1819-1820 წლებში შემდგარ მოგზაურობას ასახავს. დასახელებული პუბლიკაციები სპეციალისტთა შეუნელებელ ინტერესს იწვევენ, ამიტომაცაა, რომ ამჟამად უცხოეთში ინგლისურ ენაზე გამოსაქვეყნებლად მზადდება ტიმოთე გაბაშვილის ხსენებული ნაშრომი.

თვალსაჩინო მკვლევარის აღნიშნული პუბლიკაციები ძირითადად იმ მნიშვნელოვან პრობლემას ეძღვნება, რომელზედაც იგი წლების განმავლობაში მუშაობს. ეს არის ქართული საზღვარგარეთული ლიტერატურულ-საგანმანათლებლო ცენტრებისა (ათონის, პალესტინის, სირიის, სინას მთის) და აქ დაცული ხელნაწერთა კოლექციების შესწავლა, მათი მნიშვნელობის განსაზღვრა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანული კულტურების ურთიერთგამდიდრების საქმეში.

ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგებმა ასახვა პოვა ელ. მეტრეველის წიგნში „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის" (1962 წ.), რომელიც შეიცავს დიდძალ ინფორმაციას პალესტინის ნაკლებად შესწავლილი ან საერთოდ უცნობი ქართული სკრიპტორიუმების შესახებ. სხვათა შორის, ელ. მეტრეველმა ამ წიგნში დაადგინა შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოსახსენებლის თარიღი და პირველმა წარმოადგინა დასაბუთებული მოსაზრება შოთა რუსთაველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იდენტიფიკაციის შესახებ.

ელენე მეტრეველის სახელთან არის დაკავშირებული პალესტინაში – მეპანის უდაბნოში – მანამდე სრულიად უცნობი ქართული სკრიპტორიუმის აღმოჩენა, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ჯვრის მონასტერთან (იხ. ამის შესახებ ელ. მეტრეველის შრომა: „მეპანის უდაბნო – XI საუკუნის ქართული სკრიპტორიუმი", აგრეთვე შრომები: „ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლებით", „პალესტინის მონასტრების – დერტუფასა და დერტავის ხელნაწერების შესახებ", „1902 წლის ექსპედიცია სინას მთაზე და მისი მნიშვნელობა ქართველოლოგიის განვითარებისათვის").

ელენე მეტრეველმა მანამდე უცნობი მეორე ქართული სკრიპტორიუმი სირიაში, შავ მთაზე, აღმოაჩინა. ამასთანავე, მან გაარკვია ამ სამწიგნობრო კერის კულტურული ორიენტაცია და დაადგინა მაშენებელთა და იქ მოღვაწეთა ვინაობა (იხ. მისი ნაშრომი: „შავი მთის სამწერლობო კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში"). ელ. მეტრეველის ეს მიგნება დაადასტურა ამერიკელი მეცნიერის, პროფ. ვ. ჯობაძის მიერ ანტიოქიაში წარმოებულმა გათხრებმა.

ელენე მეტრეველი მრავალი წლის განმავლობაში იკვლევდა და დღესაც იკვლევს ათონის მთის ქართულ სამწიგნობრო კერის ისტორიას. 1976 წლიდან იგი თანამშრომლობს ბიზანტიური ცივილიზაციის ისტორიის შემსწავლელ პარიზულ ცენტრთან, რომელიც ამჟამად ათონის მონასტრის ბერძნულენოვანი აქტების პუბლიკაციებს ამზადებს. ელ. მეტრეველმა გაშიფრა და კომენტარები გაუკეთა ივირონის ბერძნული აქტების მრავალრიცხოვან ქართულ მინაწერებს. უკვე დაისტამბა ივირონის ბერძნული აქტების ოთხი ტომი გამოკვლევითურთ. ამ აქტების გამოცემამ, სხვათა შორის, აშკარა გახადა ის ფაქტი, რომ ათონისა და საზღვარგარეთის სხვა ქართული სამწერლობო კერების ისტორიის გათვალისწინების გარეშე ბიზანტიური ლიტერატურისა და კულტურის შესწავლა სრულფასოვანი ვერ იქნება.

ათონის ივერიონის მონასტრის ისტორიასა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მრავალწლიანი მუშაობის შედეგს წარმოადგენს ელ. მეტრეველის წიგნი „ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან", რომელიც გასულ 1996 წელს გამოქვეყნდა. ამ შრომით ელ. მეტრეველმა გზა გაკვალა ათონის სალიტერატურო სკოლის მონოგრაფიული შესწავლისათვის.

ქართული სასულიერო მწერლობის დარგებიდან ელ. მეტრეველი განსაკუთრებული ინტერესით სწავლობს ადრებიზანტიური პერიოდის ჰიმნოგრაფიას. მასზე მუშაობა მკვლევარმა ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში დაიწყო. 1951 წელს ამ თემაზე გამოქვეყნებულმა მისმა ნაშრომმა „XI საუკუნის ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია", ჩვენში ფაქტობრივად საფუძველი დაუდო ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის შესწავლას.

1971 წ. გამოვიდა ელენე მეტრეველის ფუნდამენტური შრომა „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი (ორი ძველი რედაქცია IX-XI სს. ხელნაწერების მიხედვით)". წიგნში წარმოჩენილია ამ ძეგლის ფორმირების ეტაპები, შესწავლილია მისი მიმართება ბერძნულ ორიგინალთან, გამუქებულია საკითხები, რომლებსაც ბიზანტიური და ქართული პოეზიის სათავეებთან მივყავართ. ყოველივე ამან განაპირობა ის დიდი აღიარება, რომელიც წილად ხვდა ნაშრომს ქართველ და საზღვარგარეთელ მეცნიერთა ფართო წრეებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა ბერძნული ლიტურგიკული, კერძოდ, ჰიმნოგრაფიული ძეგლების ძველი ქართული თარგმანების მნიშვნელობის შესახებ ადრებიზანტიური (V-X სს-ის) იერუსალიმური ღვთისმსახურების პრაქტიკის შესწავლისათვის. ამისი ნათელი დადასტურებაა ელ. მეტრეველის ხელმძღვანელობით ავტორთა კოლექტივის მიერ (ელ. მეტრეველი, ც. ჭანკიევა, ლ. ხევსურიანი) 1980 წ. X საუკუნის ხელნაწერთა მიხედვით „უძველესი ქართული იადგარის" გამოცემა. თავისი უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის გამო ეს წიგნი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა.

ელენე მეტრეველმა დიდი ამაგი დასდო ცნობილი მეცნიერის, ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებლის, ილია აბულაძის ნაშრომების გამოცემის საქმეს. მისი და ც. ქურციკიძის რედაქტორობით მომზადდა და 1973 წელს გამოიცა ილია აბულაძის „ძველი ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი", დაიბეჭდა ილია აბულაძისავე შრომების ოთხტომეული. იმავე 1973 წელს ელ. მეტრეველის რედაქტორობით გამოვიდა მისი და ც. ჭანკიევას მიერ ახალი მასალით შევსებული ილია აბულაძის წიგნი „ძველი ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი".

ხელნაწერი მემკვიდრეობის ღრმა ცოდნამ და სამეცნიერო პრობლემატიკის ფართო ხედვამ შესაძლებლობა მისცა ელენე მეტრეველს, უკვე როგორც ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს, გაეძღოლოდა ინსტიტუტის თითქმის მთელ სამეცნიერო პრობლემატიკას. მისი მცდელობითა და მზრუნველობით გაგრძელდა და ხორცი შეისხა ილია აბულაძის მიერ დასახულმა და დაწყებულმა სამუშაოებმა, კერძოდ, გამოსაქვეყნებლად მომზადდა ძველი აღთქმის წიგნების ქართული რედაქციები (გამოიცა პირველი სამი ტომი), გვიანდელი პერიოდის ქართული ორიგინალური მწერლობის ძეგლები (გამოიცა 2 ტომი), ქართული პალიმფსესტური ტექსტები (გამოიცა პირველი ტომი), ისტორიული დოკუმენტების მიხედვით – „პირთა ანოტირებული ლექსიკონი" (გამოიცა 2 ტომი).

ელენე მეტრეველმა უკვე არსებულთა გვერდით დასახა და დაამკვიდრა ახალი თემები და პრობლემები, რითაც ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკა და კვლევა უფრო ფართო და მასშტაბური გახდა, შეიქმნა ლიტურგიკული და მეტაფრასული ძეგლების, „მრავალთავის" შემსწავლელი ჯგუფები, რომელთაგან ზოგიერთს თვითონ ელ. მეტრეველი ხელმძღვანელობს. დიდი ყურადღება ეთმობოდა ეპიგრაფიკული ძეგლების გამოვლენასა და შესწავლას.

ინსტიტუტის სამეცნიერო პრობლემატიკის გაფართოებას შედეგად მოჰყვა მისი ჩართვა საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამებში: ინსტიტუტი მონაწილეობს გრიგოლ ნაზიანზელისა და მაქსიმე აღმსარებლის თხზულებებისა და აპოკრიფული ტექსტების მომზადებაში საზღვარგარეთ გამოსაცემად.

ელენე მეტრეველის ინიციატივით ინსტიტუტში გაიხსნა სამი ახალი განყოფილება: არქივების, აღმოსავლურისა და დაცვის, აღრიცხვისა და ექსპოზიციისა, ჩამოყალიბდა ე. წ. ინფორმაციის ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ევროპული ენების სპეციალისტებისაგან. ელ. მეტრეველის მცდელობის შედეგად ინსტიტუტში უკვე არსებულ ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის კაბინეტებს შეემატა სხვა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა – ი. აბულაძის, ნ. ბერძენიშვილის, ნინო და კალისტრატე სალიების კაბინეტები – საფრანგეთიდან ჩამოტანილი იქნა დიდძალი უნიკალური სამეცნიერო ლიტერატურა.

როგორც სხვა დროსაც აღგვინიშნავს, ელენე მეტრეველს ასეთი დიდი სამეცნიერო პროდუქცია რომ არ შეექმნა და, როგორც დირექტორს ინსტიტუტისათვის ამდენი რამ რომ არ გაეკეთებინა, ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში მას კეთილი სახელისათვის „ძველი ქართული მწერლობის ძეგლების" სერიის დაარსება და მისი მესვეურობაც ეყოფოდა.

წლების განმავლობაში ტექსტების ფილოლოგიური შესწავლის შედეგად ინსტიტუტში დიდი ოდენობის სამეცნიერო პროდუქცია დაგროვდა. ცხადი იყო, რომ პუბლიკაციის გარეშე იგი მეცნიერებას დიდად ვერ შეეწყობოდა. ეს კარგად უწყოდა ელენე მეტრეველმა, ამიტომ მან ბევრი დრო და ენერგია დახარჯა, ვიდრე 1977 წელს არ დაარსდა აკადემიური სერია – შემოხსენებული „ძველი ქართული მწერლობის ძეგლები". ამ სერიით დაიბეჭდა 9 ტომი, მზადაა მომდევნო 5 ტომი. სამწუხაროდ, საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა მომდევნო ტომების გამოცემა შეაფერხა. ამ გამოცემებში წარმოდგენილია ძველი ქართული მწერლობის ყველა ის დარგი, რა მიმართულებითაცაა გაშლილი ტექსტოლოგიური მუშაობა ინსტიტუტში: ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ჰომილეტიკა, ფილოსოფია, მეტაფრასტიკა, ბიბლიოლოგია. ელ. მეტრეველის დიდი მონაწილეობის გარეშე სერიის თითქმის არც ერთი ტომი არ გამოქვეყნებულა. უფრო მეტიც, აქ გამოცემული ტექსტების ერთ ნაწილს ძველი ქართული მწერლობის ისეთი ძეგლები შეადგენენ, რომელთა უდიდესი მნიშვნელობა ქართული (და არა მარტო ქართული) მწერლობის ისტორიისათვის წინასწარ თვ- თონეე ივარაუდა. სერიის ყვე- წიგნს გზა ელ. მეტრეველმა და- ულოცა თავისი დიდი ყურადღე- ბითა და ქომაგობით. იგი თვი- თონ არის რედაქტორი რამდე- ნიმე ტომისა (III, IV, V, VIII). აღ- ნიშნული სერიის დაარსებით, რო- მელიც თამამად უტოლდება ტიური ლიტერატურის ცნობილ ს- რიალებს, უთუოდ დიდ ეროვნულ საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

ხელნაწერთა ინსტიტუტის მრა- ვალმხრივი საქმიანობის წარ- მატებული ხელმძღვანელობა გა- ნაპირობა ელ. მეტრეველის ფა- რთო მეცნიერულმა თვალსაწი- ერმა, საკვლევ პრობლემების ღრმა და მასშტაბურმა ხედვ- დიდმა ორგანიზატორულმა ნ- ჭმა და პიროვნულმა თვის- ბმა. იგი მთლიანობაში ჭვრ- როგორც მთელი ინსტიტუტ- პრობლემატიკასა და მიმანდ- სახულობას, ასევე ზედმიწევ- აქვს გააზრებული ყოველი ს- კვლევი თემა, მისი ზოგადი დ- კონკრეტული მნიშვნელობა. ელ. მეტრეველი მუდამ იყო გარკვ- ული თითოეული თანამშრომლ- საქმიანობაში, ცდილობდა და- ხმარება გაეწია მათთვის, ნებოდა ეს რჩევით, მივლინებ- გაგზავნით, უცხოეთიდან უახლ- ლიტერატურის მოპოვებით სხვა (სხვათა შორის, უცხოეთ- ყოფნისას თანამშრომელთათ- საჭირო ლიტერატურა მას არ- ერთგზის საკუთარი სახსრებ- მეუძენია და ჩამოუტანია). იმე სირთულეებისა და შეფ- ხების შემთხვევაში იგი თვი- ნაც ერთვებოდა სამუშაოში, ყობდა სისტემატურ მეხვედრ- თანამშრომლებთან, განსაკ- რებით კოლექტიური სამუშ- ების დროს, რაც უთუოდ მე- მარეობის გამოსწორების მაპირობებელი ფაქტორი ბოდა. მის თანადგომას და დით დახმარებას თანაბრად ძნობდნენ როგორც ქართ- ასევე აღმოსავლური ხელნ- რების აღმწერელნი, ქართ- ბერძნული, ქართულ-სპარს- ქართულ-არაბული, ქართულ- მალური ურთიერთობების ლევარნი, ისტორიული დო- მენტების, მოხატული ხელნ- რების და, საერთოდ, ძველი რთული მწერლობისა და ის- რიის ყველა სპეციალისტი.

საგანგებო აღნიშვნის ღირ- ის, რომ ელ. მეტრეველი მ- ნიშნავი აღმზრდელია ახალ- ზრდა კადრებისა, იგი დაჟინ- სწორად წარმართავს მათ მე- ნიერულ მომზადებას და მე- მლად ურჩევს სამუშაო თე-

ელენე მეტრეველი წლებ- ნძილზე იყო სსრკ მეცნიერ- თა აკადემიის არქეოგრაფი- კომისიის წევრი და აქტიურ- ნაწილეობდა ამ კომისიის მ- ობაში. იმავდროულად ხელმ- ვანელობდა საქართველოს მ- ნიერებათა აკადემიის არქ- რაფიულ კომისიას. მისი შრო- დაბეჭდილია საზღვარგარე- ბევრ ქვეყანაში: რუსეთში, ბ- გიაში, საფრანგეთში, გერმან- საბერძნეთსა და ავსტრიაში

ელენე მეტრეველი დღესაც აქტიური მეცნიერული ც- რებით ცხოვრობს: თავმჯდომარეა ინსტიტუტთან არსებ- სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოსი, ხელმძღვ- ლობს ცალკეულ სამეცნიერო ჯგუფებს, მათ შორის, საე- შორისო პროგრამაში ჩართულთ. იგი ამჟამად ინტენსიუ- მუშაობს მონოგრაფიაზე „ათონის სააღაპე წიგნი" (ტექსტი გ- მოკვლევითა და კომენტარებით). ნაშრომი დამთავრების ს- დიაში და, ალბათ, მალე იხილავს დღის სინათლეს.

ინსტიტუტის თანამშრომლები ჩატარებული მუშაობის შ- სახებ კვლავაც აბარებენ ანგარიშს ელენე მეტრეველს და ბულობენ მისგან რჩევებსა და კონსულტაციებს, პირუთ- შეფასებას. ვისურვოთ, რომ ეს ურთიერთობა დიდხანს გა- ძელებულიყოს!

რუსუდან გვარამია, ციალა ქურციკ-
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტ-

საქართველოს რესპუბლიკა
№314. სამშაბათი. 16 დეკემბერი. 1997 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის „რუსლანის“ კატასტროფა, შემთხვევითობა, თუ კანონზომიერება?

სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი ან-124 „რუსლანი“ შეიქმნა კიევის ანტონოვის სახელობის საკონსტრუქტორო ბიუროში. პირველი გაფრენა განხორციელდა 1982 წლის 24 დეკემბერს, თვითმფრინავის ექსპლუატაცია დაიწყო 1986 წლის იანვარში. თვითმფრინავი განკუთვნილია სტრატეგიული სამხედრო-სატრანსპორტო გადაზიდვა-გადაყვანის, მათ შორის, სარაკეტო კომპლექსებისა და დამკვრელი საჯარისო ჯგუფების გადასროლის უზრუნველსაყოფად. ან-124, მსოფლიოში სერიულად გამომავალ თვითმფრინავთაგან ყველაზე დიდი, აბსოლუტურ პირველობას უთმობს მხოლოდ 1988 წელს ორ ეგზემპლარად გამოშვებულ თვითმფრინავს ან-224. „რუსლანის“ მაქსიმალური კომერციული დატვირთვა შეადგენს 120 ტონას, როდესაც სასტარტო წონა 392 ტონაა. ფრთების გაშლილობა — 73,3 მეტრი. ან-124 აღჭურვილია ლოტარევის კონსტრუქციის დ-18 ტ ოთხი ტურბორეაქტიული ძრავით, რომლებსაც ზაპოროჟიეს ქარხანა „სიჩი“ უშვებს. ან-124-100 ავიაკომპანია „ვოლგა-დნეპრის“ სატრანსპორტო პარკის საფუძველია.

რუსეთის თვითმფრინავების უდიდესი კატასტროფები უკანასკნელი ორი წლის მანძილზე:

1996 წლის 29 აგვისტო. სამგზავრო ტუ-154, რომელშიც ისხდნენ რუსი და უკრაინელი მეშახტეები და მათი ოჯახის წევრები, ნორვეგიის შპიცბერგენის კუნძულზე მთას შეასკდა. დაიღუპა 143 კაცი.

1996 წლის 14 ნოემბერი. მოძველებულმა დიპლანმა ან-2 ავარია განიცადა კომის რესპუბლიკაში. დაიღუპა 13 კაცი.

1996 წლის 28 ნოემბერი. რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სატრანსპორტო თვითმფრინავი ილ-76 ციმბირში ჩამოვარდა. დაიღუპა 23 კაცი.

1996 წლის 17 დეკემბერი. ფსკოვის მახლობლად მდებარე სამხედრო აეროდრომის ასაფრენ ზოლზე ჩამოვარდა სამხედრო თვითმფრინავი ან-12. 17 დაღუპულს შორის იყო ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდალი.

1997 წლის 18 მარტი. კატასტროფა განიცადა ან-24 სამგზავრო თვითმფრინავმა, რომელიც ჩარტერულ რეისს ასრულებდა თურქეთში. დაიღუპა 50-ზე მეტი კაცი.

1997 წლის 6 დეკემბერი. სატრანსპორტო თვითფრინავი ან-124 „რუსლანი“ დაეცა ქალაქ ირკუტსკ-2-ის საცხოვრებელ სახლს. *დაღუპულთა რიცხვი 50 კაცს აღემატება.*

როგორც ვხედავთ, ექვსი კატასტროფიდან თითო მოდის ტუ-154 და ილ-76 თვითფრინავებზე, ხოლო ოთხი — *ანტონოვის კონსტრუქციის მანქანებზე.*

ვაუჩერი როგორც გამდიდრების წყარო

დადგენილია იმ იდუმალი კაცის პიროვნება, რომელმაც ორი კვირის წინათ ლონდონის „ლე გავროშის“ რესტორანში სამკაციანი ვახშმის საფასურად 13000 გირვანქა სტერლინგზე მეტი გადაიხადა, წერს „სანდი ტაიმსი“. ამ კაცმა მყისვე მიიპყრო ყურადღება იმით, რომ უარი თქვა ბოთლ ბურგუნდიულ ღვინოზე, რომელიც 5000 გირვანქა ღირდა, ვინაიდან, მისი აზრით, ღვინო არ იყო დავარგებული. ეს იდუმალი უცნობი აღმოჩნდა 34 წლის ჩეხი ბიზნესმენი ვიქტორ კოჟენი, რომელიც იმით არის ცნობილი, რომ 1993 წელს პირადად ჩეხეთის რესპუბლიკა ლამის გაკოტრებამდე მიიყვანა. ერთი კვირის შემდეგ, დაინტერესებული ლონდონის გასაოცრად, კოჟენიმ იმავე რესტორანში ისადილა სამ მეინახესთან ერთად, თუმცა უფრო მოკრძალებულ ფასად — 8 ათას გირვანქა სტერლინგად. კოჟენიმ, რომელსაც ხალხმა პრაღელი მეკობრე უწოდა, თავისი ქონება იმის წყალობით დააგროვა, რომ 850 ათასი ჩეხი დაარწმუნა, მიეყიდათ მისთვის თავიანთი საპრივატიზაციო ვაუჩერები. ხალხს იგი შეჰპირდა ფანტასტიკურ მოგებას — 1000 პროცენტს. პირამიდა ბუნებრივია, დაინგრა, მაგრამ კოჟენს არაფერი უზარალია. პრაღელი მეკობრის ქონება, რომელმაც ბაჰამის კუნძულებზე დაიდო ბინა, 300 მილიონ გირვანქა სტერლინგად არის შეფასებული.

ნიუ-იორკი – იმიგრანტთა ქალაქი

ნიუ-იორკის ესპანურენოვანი მოსახლეობა ქალაქის რიცხოვნობით მეორე ეთნიკური ჯგუფი გახდა, იუწყება როიტერის სააგენტო, რომელიც იმოწმებს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის გამოკვლევას. ამერიკის უდიდესი მეგაპოლისის ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს კვლავინდებურად წარმოადგენს თეთრკანიანი მოსახლეობა. აფროამერიკული წარმოშობის ნიუიორკელები მესამე ადგილზე გადავიდნენ. გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ნიუ-იორკი კვლავინდებურად რჩება იმიგრანტთა ქალაქად, რომლებიც მისი მოსახლეობის მესამედზე მეტს შეადგენენ. საერთოდ კი, ნიუ-იორკის მოსახლეობა კლებულობს და ახლა 7 მილიონ 230 ათასამდე შემცირდა.

ქართველები ყველაფერში „მაგრები“ ვართ



სპეციალისტთა შეფასებით, დსთ ტერიტორიაზე, უპირატესად, რუსეთში, მოქმედებს 700-ზე მეტი „კანონიერი ქურდი“.

ამ დამნაშავეთა ნახევარზე მეტი რუსეთის ფედერაციაში საქმიანობს. მათი ძირითადი ნაწილი მოკალათებულია სოციალურ-ეკონომიკურ ცენტრებში, სადაც განლაგებულია ყველაზე მომგებიანი სფეროები, ისეთები, როგორიც არის საბანკო, საფინანსო, სადაზღვევო და უძრავი ქონების ბაზრები, იუწყება „პრავდა-5“.

გთავაზობთ რუსეთის გენერალური პროკურატურის მონაცემებზე დაყრდნობილ სქემას.

ისლამისტები ვაშინგტონს ორპირობაში სდებენ ბრალს

„ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა შეძლო ერთი დღე გაეტარებინა ეგვიპტის ექსტრემისტული დაჯგუფება „ალ-გამა ალ-ისლამიას“ ბოევიკებს შორის, რომლებმაც იკისრეს პასუხისმგებლობა ლუქსორში 58 ტურისტის მკვლელობისათვის. ბოევიკებმა კორესპონდენტს დაუდასტურეს, რომ ლუქსორის ტერორისტული აქტი არ არის უკანასკნელი და ისინი მზად არიან ახალი გამოსვლებისათვის. ისლამისტთა აზრით, უცხოელ ტურისტთა სიკვდილში ბრალი მიუძღვის ეგვიპტის პრეზიდენტს ჰოსნი მუბარაქს, რომელიც უარს ამბობს, შეასრულოს დაჯგუფების მოთხოვნები და მასთან შეიარაღებულ ბრძოლას ეწევა. ბოევიკებმა, აგრეთვე, ბრალად დასდეს შეერთებულ შტატებს, რომ იგი ორმაგ სტანდარტებს იცავს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უდიდესი სამხედრო ძალები გამოიყენა, რათა ეიძულებინა ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი, შეესრულებინა გაეროს რეზოლუციები, ამავე დროს, ვაშინგტონი თვალს ხუჭავს ისრაელის მიერ გაეროს მოთხოვნების დარღვევებზე. მთლიანად, „ალ-გამა ალ-ისლამიას“ წარმომადგენლები დარწმუნებული არიან, თავიანთ სიმართლეში და ვერ ხედავენ მთელ მსოფლიოში ისლამის გავრცელების ალტერნატივას.

საელჩო — სამეურნეო ანგარიშზე

იმ დროს, როდესაც ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკა განაგების პირას არის მისული, კორეელი დიპლომატები იძულებული არიან მხოლოდ საკუთარი ძალების იმედად იყვნენ, რათა შეინარჩუნონ ადგილი ქვეყნის საზღვარგარეთა წარმომადგენლობებში, წერს „დეილი ტელეგრაფი“. უკანასკნელ წლებში სახსრების უქმარისობის გამო ფხენიანმა ათობით თავისი საელჩო გააუქმა. ხოლო ქვეყნის წარმომადგენლობანი, რომლებიც ჯერჯერობით კიდევ ფუნქციონირებენ საზღვარგარეთ, დიდი ხანია, აღარ იღებენ მთავრობისაგან არავითარ სახსრებს. ჩრდილოეთკორეელ ელჩებს კი ემინიათ, სთხოვონ მთავრობას ფული, ვინაიდან, მაინც არ მისცემენ და საელჩოსაც დაუხურავენ. ამიტომ, ჩრდილოეთ კორეის საელჩოები იძულებული ხდებიან, თავად ეძებონ არალეგალური საშუალებები ფულის საშოვნელად. მაგალითად, დასავლეთში გაქცეულმა ჩრდილოეთკორეელმა დიპლომატმა განაცხადა, რომ ზამბიაში მისი კოლეგები მისდევენ სპილოს ძვლის, მარტორქას რქებისა და ზურმუხტის ვაჭრობას. გარდა ამისა, საელჩოს მუშაკები თავიანთ დიპლომატიურ სტატუსს იყენებენ ქვეყანაში ალკოჰოლიანი სასმელების კონტრაბანდისათვის. კომერციული საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლის მიუხედავად, ჩრდილოეთ კორეის ზამბიის საელჩო სიღატაკის პირას არის მისული. ამიტომ, დიპლომატები იძულებული არიან თავი გაიტანონ და საელჩოს სტუმრებს გაუმასპინძლდნენ თევზით, რომელსაც ანკესით იჭერენ აქაურ მდინარეში.

რუსეთის მთავარი სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორის მ. ავილოვის თქმით, მოსკოვში მიშვებულია სავეტერინარო კონტროლი — შემოდის კონტრაბანდული საქონლის ხორცი ინგლისიდან, აგრეთვე იყიდება ვადაგადაცილებული, დაავადებული იმპორტული და ადგილობრივი ხორცი. როგორ არის ამ მხრივ საქმე ჩვენს ბაზრებში? ამის შესახებ იხ. „სრ“ დამატების „ეკონომიკის“ ერთ-ერთ უახლოეს გამოშვებაში.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „იბერიანას“ მასალების მიხედვით.

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

იუბილე

მისი ცხოვრება... ფეხბურთია!

70 წლის ვლადიმერ ელოშვილი

დიახ ასეა! კაცი, რომელმაც თავისი ცხოვრება ფეხბურთით დაიწყო და ფეხბურთითვე განაგრძობს.

ნაძალადევში დაბადებულმა ფეხის ადგმისთანავე ბურთი შეიყვარა და ერთი დღე არ უცხოვრია მწვანე მინდვრის გარეშე. არანაირი სხვა სამსახური მას არ ჰქონია.

სიყმაწვილეში სხვადასხვა გუნდში თამაშობდა, 1948 წელს კი თბილისის „დინამოში“ მიიწვია ანდრო ჟორდანიამ. თერთმეტი სეზონი — 1959 წლამდე დაჰყო ამ გუნდში და იყო მისი სრულუფლებიანი წევრი, კაპიტანი და თავდადებული [illegible].

ვოვა ელოშვილი საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში 4-ჯერ შეიყვანეს (1952, 1953, 1956, 1957 წლები). მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიმკვიდრა შემტევი სტილის მცველის სახელი.

მიხეილ იაკუშინი თავის წიგნში — „ფეხბურთის მარადი საიდუმლოება“ — წერს: „... ვლადიმერ ელოშვილი იყო კავშირში ერთ-ერთი პირველი მცველი, რომელმაც დაიწყო შეტევაში ჭკვიანურად ჩართვა. მისი გამოჩენა მოულოდნელი იყო მოწინააღმდეგისათვის. იგი საოცარი სისწრაფითა და სიზუსტით მიჰქროდა ბურთიანად „მგრის“ კარისაკენ და თავის რეიდებს ან კარში დარტყმით ამთავრებდა, ან კი მოწინააღმდეგის საჯარიმოზე ჰკიდებდა ზუსტად, თანაგუნდელთა მისამართით. შემდგომში მისი ეს გამოგონება ბევრმა გადაიღო...“

ყოველკვირეული გაზეთის „ფუტბოლის“ ერთ-ერთ დამატებაში „ვინ ვინ არის მსოფლიო ფეხბურთში“, სახელგანთქმულ ფეხბურთელებს შორის ვოვა ელოშვილის სპორტული ბიოგ[illegible]ვრების შემდეგ, 1960 წლიდან დღემდე ვ. ელ[illegible]ლის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის დირექტორია.

მისი ხელმძღვანელობით აქაურმა ფეხბურთელებმა ორჯერ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის პირველობა — 1966 და 1972 წლებში.

ეს უდიდესი წარმატება იყო, თუ გავითვალისწ[illegible] ოსტატთა გუნდების შემდეგ ეს ყველაზე სერიოზულ ტურნირად ითვლებოდა (მასში ხუთასამდე კოლექტივი მონაწილეობდა).

წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებს და მრავალ გამარჯვებასაც მიაღწია. 1973 წელს მისმა ბიჭებმა „იმედის“ საკავშირო თასი მოიპოვეს.

ამ სკოლის აღზრდილები არიან სხვადასხვა თაობის ცნობილი ფეხბურთელები: ბიჭი ჭელიძე, დათო გოგია, ფირუზ კანთელაძე, ძმები მაჩაიძეები, ვლადიმერ გუცაევი, საშა ჩივაძე, ვახტანგ კოპალეიშვილი, თამაზ სტეფანია, თემურ ჩხაიძე, დავით ცომაია, მამუკა მაჭავარიანი...

ვოვა ელოშვილი, შესანიშნავი აღმზრდელი და გულისხმიერი პედაგოგი, მრავალი მოზარდისა და ჭაბუკის გზაზე დამყენებელი და მოამაგეა.

... როდესაც სახლში დავურეკე და შეხვედრის დროსა და ადგილზე მოლაპარაკება ვთხოვე, მითხრა:

— პირველ საათზე „დინამოს“ სტადიონზე ვიქნები, სამზე კი ფიზკულტურის ინსტიტუტის მოედანზე, თამაში მაქვსო.

— *ვერ შეელიე ხომ სტადიონს?*

— ვერა, და არც ვაპირებ!

„დინამოს“ სტადიონზე, ვეტერან ფეხბურთელთა ოფისში ვსაუბრობთ. დროდადრო შემოდიან — მიშა ჯოჯუა, აჩიკო კილაძე, ილია დათუნაშვილი, გივი ხოჭოლავა...

ვოვა ძველებურად „ფორმაშია“ — თხელი, მსუბუქი, მოძრავი, მომღიმარი.

— *ახლა არ მითხრა, ფეხბურთს ვთამაშობო...*

— აბა! ვეტერანებში. ხშირად ვიკრიბებით. ბოლო თამაშში ხელი ვიტკინე და, ალბათ, რამდენიმე თამაშს გამოვტოვებ, — მეუბნება ღიმილით.

— *ესე იგი, ძველებურად ჯანზე ხარ?*

— ეჰ, სადღაა. ჯანზე მაშინ ვიყავი, ორი დღე ზედიზედ რომ ვთამაშობდი — ძირითადშიც და სათადარიგოშიც...

— *ეს როგორ?*

— ერთი პერიოდი „დუბლების“ თამაში, ძირითადთა მატჩის მეორე დღეს იმართებოდა. ვითამაშებდი ძირითადში, მეორე დღეს მწვრთნელს ვთხოვდი მათამაშე სათადარიგოში-მეთქი. მხოლოდ ამჯერად ცენტრალურ თავდამსხმელად ვთამაშობდი. ვოვასაც უყვარდა, მარღანიას, ცხონებულს, „დუბლებში“ წინ თამაში.

ერთ დღეს კი დამსაჯეს — დამამგვრიეს და მწვრთნელებმაც ამიკრძალეს ექსპერიმენტების მოწყობა.

— *ყველაზე მეტად ვის წინააღმდეგ გიჭირდა თამაში?*

— ყველასთან მიჭირდა! ოსტატთა გუნდებში იოლად „მოსაგლელი“ თავდამსხმელი არავინ იყო!

— *ამბობენ, ვლადიმერ დიომინთანო...*

— კი, შედარებით! მახსოვს, 1951 წელს დიომინი საუკეთესო ფორმაში იყო. 1:3 ვაგებდით მოსკოველ არმიელებთან, ერთი ბურთი დიომინმა შეაგდო. გავმწარდი! ერთ-ერთი შეტევისას საჯარიმო დაინიშნა ჩვენს სასარგებლოდ. ავთო ჭყასელი მივიდა დასარტყმელად. მარჯვნივ ვარ-მეთქი, შევეხმიანე. გამიგორა ბურთი. რაც შემძლო ძლიერად დავარტყი და... გოლი. ერთმანეთს გადავეხვიეთ. ამ დროს დიომინმაც მოირბინა: მაინც გადამიხადე ხომ სამაგიერო! — მითხრა და მხარზე ხელი დამკრა.

— ფეხბურთის თამაშისთვის თავი კარგა ხნის დანებებული მქონდა. მოსკოვში სასტუმრო „უკრაინასთან“ ვიდექი მეუღლესთან ერთად. ვხედავ — ანატოლი ილინი მოსეირნობს, ისიც ცოლთან ერთად. მოვიკითხეთ ერთმანეთი. იგი მეუღლეს ეუბნება: თამაშის მერე რომ მეკითხებოდი ხოლმე, ფეხებს ვინ გილურჯებსო, აი, ეს იყო, ეს ოხერი. „არა, ბიჭო, საჯარიმოზე „გაგულავებდი“-მეთქი, ვუპასუხე.

— *[illegible] ან ჭყასელასთან ერთად იყავი ოთახში?*

— ავთო ჭყასელთან! განუყრელი მეგობრები ვიყავით, როცა ვთამაშობდით მაშინაც და მერეც. მისი სახით უახლოესი მეგობარი დავკარგე. თუ მეტის საშუალება იყო, ანდრო ზაზროშვილი, გივი ხოჭოლავა და ახალგაზრდა შოთა იამანიძეც გვიერთდებოდნენ. ეს იყო ჩვენი „პულკა“.

მახსოვს, 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებიდან ახალი დაბრუნებულია ავთო. პრესამ საყვედურებით აავსო მიხეილ იაკუშინი, გამოუცდელი ჭაბუკი ჭყასელი დააყენა ძირითადშიო.

ჰოდა, ვწევართ მე და ავთო, შემოვიდა „მიხაია“ ოთახში, ჩამოუჯდა ავთოს, ეუბნება — ხომ ხედავ, რაებს წერენ ჩვენზე, მე შენი იმედი ყოველთვის მქონდა, მოდი, სხვებსაც დაუმტკიცე შენი სიძლიერეო.

მეორე დღეს „ცსკა“-სთან გვქონდა თამაში. ავთომ ორი ბურთი გაიტანა და ის სეზონი ბრწყინვალედ წარმართა, მატჩს არ ამთავრებდა უგოლოდ.

— *ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ვის თამაშს მოუხდენია შენზე?*

— მესხის, მიშა მესხის, რამდენი ევროპისა და მსოფლიო პირველობა მინახავს, ბევრსაც დავსწრებივარ, ვისთან არ მითამაშია! მიშასთანა გარემარბი არ მინახავს. მოელვა იყო!

— *დღევანდელ პირობებში სკოლას არ უჭირს?*

— ბუნებრივია, ჩვენც ისეთ დღეში ვართ, როგორც ყველა, მაგრამ კეთილი ადამიანების დახმარებით ფეხზე ვდგავართ.

დიდ დახმარებას გვიწევს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი. შეიძლება ითქვას, რომ მისით გვიდგას სული. გულისყურით ეკიდება იგი მისივე ინიციატივით ჩამოყალიბებულ ვეტერანთა საბჭოს, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ.

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელებს მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს, აგრეთვე, თბილისის „დინამოს“ დირექტორატი კლუბის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას ხელმძღვანელობით. ყოველთვის, უწინაც და დღესაც გვერდზე გვიდგას გენერალი დემურ მიქაძე და კიდევ ბევრი სხვა, მათ შორის ჩემი აღზრდილებიც: ჩემი 70 წლის აღნიშვნას სხვებთან ერთად ისინიც აპირებენ...

გურამ გომართელი

P. S. მოგვიანებით შევიტყვე, რომ იმ დღეს, როცა ვოვას ვეწვიე, ვეტერან ფეხბურთელთა შეკრება გამართულა.

კრებაზე საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტად ერთხმად აურჩევიათ ვლადიმერ ელოშვილი.

შესანიშნავი საიუბილეო საჩუქარია!

ჭადრაკი

დაწინაურდა გალიამოვა

გრონინგენში პრეტენდენტ ქალთა ტურნირი, ეტყობა, ნელ-ნელა „ფორმაში შედის“. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ მეხუთე ტურში მხოლოდ იოსელიანი-პენის პარტიამ აღინიშნა ყაიმი, დანარჩენი შეხვედრები შედეგიანი აღმოჩნდა: გალიამოვამ მოუგო მარიჩს, ჩიბურდანიძემ — გურიელს, კრამლინგმა — არახამიას, სე ჟუნმა — კახიანს.

ამრიგად, ხუთი ტურის შემდეგ გალიამოვას 4 ქულა აქვს, ჩიბურდანიძეს — 3,5, იოსელიანსა და სე ჟუნს — 3 (თითოეულს).

ზურაბი წინ მიიწევს

მას შემდეგ, რაც ზურაბ აზმაიფარაშვილმა გზიდან ჩამოიცილა რომან სლობოდიანი, მესამე წრეში მას — 24 წლის ბელორუსი ალექსეი ალექსანდროვი (რეიტინგი 2660) შეხვდა. პირველი პარტია თეთრებით ქართველმა დიდოსტატმა მოიგო და მეოთხე წრეში გასვლის დიდი შანსი გაუჩნდა. აქ კი მისი შესაძლო მეტოქეების — რუსი ევგენი ბარეევისა (2670) და პოლონელი მიხაილ კრასენკოვის (2645) მესამე წრის პირველი პარტია პოლონელის გამარჯვებით დამთავრდა.

მეორე ქართველი დიდოსტატი გია გიორგაძე, როგორც გულშემატკივრებმა იციან, მეორე წრეში დამარცხდა 26 წლის ინგლისელ მ[illegible] ანგარიშით 0:2 და [illegible] ბრძოლას გამოეთიშა. საჩუქრად 12 ათასი დოლარიღა ერგო.

რუბიკონი გადალახეს

საფრანგეთის ქალაქ კანში გრძელდება 10, 12 და 14 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა შვეიცარიული სისტემით 11 ტურად. შეხვედრებში საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობენ. ექვსი ტურის შემდეგ საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი მხოლოდ რამდენიმე მათგანს დარჩა. ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს ევროპის წლევანდელ ჩემპიონს თელაველ ანა მათნაძეს (მწვრთნელი ნონა გაფრინდაშვილი), რომელიც თოთხმეტწლიანთა ტურნირს 5,5 ქულით ლიდერობს.

თორმეტწლიანებში 5 ქულა მოაგროვა სოფიკო ხუხაშვილმა, რომელიც მეორე-მეხუთე ადგილებს იყოფს. ანალოგიური მდგომარეობა აქვს 10 წლის დათო ბარამიძეს. რაც შეეხება ამ ასაკში ევროპის წლევანდელ ჩემპიონს ნანა ძაგნიძეს, მას ხუთი ტურის შემდეგ 4,5 ქულა ჰქონდა, მაგრამ მეექვსეში დამარცხდა და მედლებისთვის ბრძოლის შანსი გაიუარესა. თუმცა, პირველობის დამთავრებამდე ჯერ კიდევ ხუთი ტურია დარჩენილი და ყველაფერია მოსალოდნელი.

„ტექნიკური უნივერსიტეტი“ ჩემპიონია

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 1997 წლის საქართველოს გუნდური პირველობა, რომელშიც 9 კოლექტივი მონაწილეობდა.

ბოლო ტურის წინ შეჯიბრების ლიდერებს — ტექნიკური უნივერსიტეტის მოჭადრაკეებს ჩემპიონობისთვის ქულაც კი ჰყოფნიდათ ცხინვალის „ლიახვთან“ შეხვედრაში. მათ პროგრამა მინიმუმი შეასრულეს — ქულა-ნახევარი „აართვეს“ მეტოქეს და პირველობა გაინაღდეს, სამაგიეროდ, „ლიახვს“ ლიდერებიან მოპოვებულმა 4,5 ქულამ საბოლოოდ 35,5 ქულა მოაგროვებინა, ანუ იმდენივე, რაც ფოთის „კოლხეთს“ (ამ უკანასკნელმა ბოლო ტურში „ვახტანგ-2“ გაანადგურა — 6:0) და ამ ორმა გუნდმა მეორე-მესამე ადგილები გაინაწილა.

მომდევნო ადგილებზე არიან: „ვახტანგ-1“, — 26 ქულა, „ვერა“ (თბილისი) — 23,5; „მესხეთი“ (ახალციხე) — 18, „ზარზმა“ (ადიგენი) — 14,5 „ცისარტყელა“ (თბილისი) — 13,5, „ვახტანგ-2“ — 12,5.

ვაჟა დანელია.

ფეხბურთის ამბები

ყოველი მატჩისათვის — მილიონი ფრანკი

ფიფამ გამოაცხადა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მონაწილეთათვის ფინანსურად მხარდასაჭერი თანხის რაოდენობა: ფინალური სტადიონის ყოველი მატჩისათვის თითოეული ნაკრები მიიღებს მილიონ შვეიცარულ ფრანკს (დაახლოებით 714 ათას დოლარს), ამას გარდა, ეროვნული ფედერაციები მიიღებენ 750-750 ათას ფრანკს (535 ათას დოლარს) იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რომელსაც ისინი ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გაიღებენ.

ჩემპიონატი — მკაცრი გრაფიკით

უეფამ ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციებს გაუგზავნა 2000 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის დებულება, რომლის მიხედვითაც ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართება ძალზე მკაცრი გრაფიკით. ყველა ნაკრებმა თავისი ათი (თუ რვა) შეხვედრა ჯგუფში უნდა ჩაატაროს ზუსტად დანიშნულ დღეს და არავითარი გამონაკლისი არავისთვის არ დაიშვება. რაც მთავარია, ყველა ეს სათამაშო დღე დაიყოფა ხუთ პერიოდად, რომლის დროსაც თითოეულმა გუნდმა ზედიზედ უნდა გამართოს ორი მატჩი, ხოლო ერთ შემთხვევაში (ბოლო ტურებში) სამი შეხვედრაც კი ორი-სამი დღის ინტერვალით.

აი როგორი განრიგი დაგეგმა საფეხბურთო ასოციაციების ევროპის კავშირმა 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისათვის:

I დღე – 1998 წლის 5 ან 6 სექტემბერი.
II დღე – 1998 წლის 10 ან 11 ოქტომბერი.
III დღე – 1998 წლის 13 ან 14 ოქტომბერი.
IV დღე – 1999 წლის 27 ან 28 მარტი.
V დღე – 1999 წლის 30 ან 31 მარტი.
VI დღე – 1999 წლის 5 ან 6 ივნისი.
VII დღე – 1999 წლის 9 ივნისი.
VIII დღე – 1999 წლის 4 ან 5 სექტემბერი.
IX დღე – 1999 წლის 7 ან 8 სექტემბერი.
X დღე – 1999 წლის 10 ან 11 სექტემბერი.

სათამაშო დღეების რიგი შეესაბამება ამ მომენტისათვის ამა თუ იმ ნაკრების მიერ ნათამაშევი მატჩების რაოდენობას. თუმცა ეს არ შეეხება იმ ჯგუფებს, სადაც ექვსი კი არა, ხუთი გუნდი იქნება. აქედან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — უეფა ცდილობს, მაქსიმალურად შეამციროს ის დრო, როცა ნაკრების წევრი ფეხბურთელი მოწყდება თავის კლუბს — იმათ ხომ ხშირად უჭირთ მოთამაშეების ნაკრებში გაშვება.

შესარჩევი ტურნირის კენჭისყრა მოეწყობა მომავალი წლის 18 იანვარს ბელგიის ქალაქ გენტში.

უძღვება
ანზორ ბასილაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა იმპორტიორის, საგარეო-სავაჭრო ურთიერთობაში მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირის საყურადღებოდ

საბაჟო დეპარტამენტი კიდევ ერთხელ შეახსენებს ყველა იმპორტიორს, ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ვინც ჩართულია საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში, რომ სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაციის, საიმპორტო ტვირთის (საქონლის) საბაჟო კონტროლის შემდგომი სრულყოფის მიზნით ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საიმპორტო ტვირთის დაბეგვრის წესები **შეღავათებს** ითვალისწინებს მხოლოდ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა არ იბეგრება ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ყოველი შემოსვლისას შემოტანილი 50 კილოგრამამდე საერთო წონის ტვირთი, აგრეთვე ერთი პირისათვის საჭირო ოდენობით განკუთვნილი სამკურნალო პრეპარატები და სამედიცინო დანიშნულების საგნები საქართველოს პარლამენტის 1996 წლის ივნისის №273 დადგენილების — „ფიზიკური პირის მიერ საქართველოში შემოტანილი საქონლის დაბეგვრის წესისა და დაბეგვრისაგან განთავისუფლებული საქონლის ნუსხის შესახებ“ — შესაბამისად (იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ № 118 (2232) 1996 წლის 19 ივნისი).

ყველა სხვა შემთხვევაში ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანილი ნებისმიერი სახის ტვირთი (საქონელი, პროდუქტი) დაბეგვრას ექვემდებარება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთებით.

ამასთან დაკავშირებით:

1998 წლის 1 იანვრიდან იმპორტიორის მიერ საზღვარგარეთიდან შემოტანილი ყველა საიმპორტო ტვირთის (საქონლის) საბაჟო გაფორმებისათვის აუცილებელია, რომ ყველა იმპორტიორი, ტვირთის მფლობელი, რეგისტრირებული იყოს საგადასახადო სამსახურში, როგორც გადამხდელი. ეს მოთხოვნა ვრცელდება ნებისმიერი სახის (საავტომობილო, საჰაერო, სარკინიგზო, საზღვაო) ტრანსპორტით შემოტანილი ტვირთის მფლობელზე.

საბაჟო პროცედურების ოპერატიული შესრულების მიზნით მეწარმე სუბიექტმა (როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიულმა პირმა) უნდა უზრუნველყოს ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტული ტვირთის დალუქული წესით შემოტანა.

1 იანვრიდან ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე არ დაიშვება დაულუქავი საიმპორტო ტვირთის (საქონელი, პროდუქტი) სამგზავრო ავტოტრანსპორტით (ავტობუსებით) გადაადგილება:

— სამგზავრო ავტობუსებით შემოტანილი საიმპორტო და სატრანზიტო ტვირთის (საქონლის) სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ, საბაჟო ზონაში მოხდება მისი ზუსტი აღრიცხვა და საბაჟო გაფორმება კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ ტვირთის მფლობელის ან მისი ნდობით აღჭურვილი პირის თანდასწრებით. იმ შემთხვევაში, თუ ტვირთის მფლობელი ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი არ იქნება ადგილზე, ტვირთი შემოწმდება და დაილუქება საბაჟო სამსახურის მიერ მოქმედი საბაჟო წესების შესაბამისად. ტვირთის საბაჟო გაფორმება ჩატარდება მფლობელის ან მისი ნდობით აღჭურვილი პირის გამოცხადების შემდეგ.

— სატვირთო ავტომანქანით შემოტანილი დაულუქავი საიმპორტო და სატრანზიტო ტვირთი (საქონელი) მოწმდება საბაჟო ზონაში, ილუქება საბაჟო სამსახურის მიერ მოქმედი საბაჟო წესების თანახმად და იგზავნება მიმღები საბაჟოს ან საბაჟო ტერმინალის მისამართით საბაჟო გაფორმებისათვის.

— ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე დაულუქავი საიმპორტო და სატრანზიტო ტვირთის (საქონელი) მოძრაობა განიხილება მოქმედი საბაჟო წესების დარღვევად და გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.

საბაჟო დეპარტამენტი იტოვებს საბაჟო კანონით მინიჭებულ უფლებას საჭიროების მიხედვით გადაამოწმოს ტვირთი და მისი თანმხლები დოკუმენტაცია გადაადგილების ან რეალიზაციის პროცესში.

საბაჟო დეპარტამენტი შეგახსენებთ, რომ 1998 წლის 1 იანვრიდან — „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ — საქართველოს კანონის შესაბამისად დსთ ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონელი საბაჟო გაფორმების დროს დაიბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით საერთო რეჟიმის შესაბამისად საქონლის საბაჟო ღირებულების 20-პროცენტიანი განაკვეთით.

იმპორტული საავტომობილო ბენზინისა და თხევადი გაზის საბაჟო გაფორმება ხდება მხოლოდ საქსტანდარტში აკრედიტებული იურიდიული პირის მიერ ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე გაცემული შესაბამისობის სერთიფიკატის წარმოდგენის შემდეგ.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამკურნალო საშუალებათა და ტექნიკურ ნაკეთობათა ტვირთის იმპორტს ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული სამეურნეო საქმიანობის სუბიექტები ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

ფიზიკურ პირებს საერთოდ ეკრძალებათ სამკურნალო საშუალებათა ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების წარმოება.

ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი ტრანსპორტით შემოტანილი საქვეკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საიმპორტო ტვირთის (საქონელი, პროდუქტი) საბაჟო გაფორმება ხდება მხოლოდ შესაბამისი საქვეკარანტინო უწყების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გაცემული დოკუმენტის (სერტიფიკატი) წარმოდგენის შემდეგ.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ცნობებისა და კონკრეტული განმარტებისათვის მიმართეთ საბაჟო დეპარტამენტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს — ტ. 969-621, 738-525, 941-692, 983-948.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი

ხსოვნა

ჟორა გვათუა

გარდაიცვალა განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ჟორა ვლადიმერის ძე გვათუა.

დაიბადა 1931 წელს. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჯერ გალის, მერე ცხაკაიას რაიონების საშუალო სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1974 წელს ჩაირიცხა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში და იმავე წელს დაიცვა დისერტაცია პედაგოგიკის თეორიაში. შემდგომ პერიოდში იგი შესანიშნავ ორგანიზატორულ თვისებებს ავლენს, მუშაობს ხელმძღვანელ თანამდებობებზე განათლების სისტემის სამეცნიერო დაწესებულებებში. არის მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, დირექტორი; ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

იგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისებური, პიროვნული მგზნებარებით, გულიანობით, საქმის ზედმიწევნითი ცოდნით, დიდი მინაგანი პასუხისმგებლობით, თანაგრძნობის განსაკუთრებული ნიჭით. როგორც მეცნიერი დაჯილდოებული იყო ღრმა ანალიტიკური განსჯის უნარით, გადასაწყვეტი პრობლემისადმი ფართო, მასშტაბური მიდგომით. იგი ჭეშმარიტი პროფესიონალი იყო.

ჟორა გვათუას ნალვაწ-ნაამაგარი მისი ნათელი ხსოვნის საწინდარია.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი.

უდროოც და მოულოდნელიც

ჩვენს ასაკში თანატოლის გარდაცვალებაზე უდროოდ დაილუპაო ვერ იტყვი, მაგრამ სიცოცხლით სავსე და დაუღეგარი ჟორა გვათუას ამ ქვეყნიდან წასვლა მისი ახლო მეგობრებისათვის უდროოც იყო და მოულოდნელიც. ულმობელმა ავადმყოფობამ ისე ძალუმად დარია თავისი მსახვრალი ხელი, რომ... გვიჭირს, ძალიან გვიჭირს ჩვენს შორის მის არყოფნასთან შეგუება.

რამდენი რამ გვაკავშირებდა ჩვენ ამ საინტერესო და აზრიან კაცთან, რამდენი სიკეთე და სითბო გვაკლდება ჩვენ, მეგობრებს, მის ოჯახს, ახლობლებს და ნათესავებს, რარიგ დიდი იყო მისი როლი ინსტიტუტის ცხოვრებაში, სადაც ის წლების მანძილზე მხურვალედ ილვწოდა.

ჟორა გვათუა ეროვნული კაცი იყო და როგორც კი იგრძნო სიკვდილის გარდუვალობა ერთ-ერთ ჩვენგანს ცრემლნარევი ხმით შემოჰჩივლა — „აფხაზეთი მიმყვება დარდად და ეს მიკლავს გულსო“... ასე წავიდა ჩვენი „ქათქათა ბიჭი“ (მაგვერმანი იყო და ახლო მეგობრები ასე ვაბრაზებდით ხოლმე) და დაგვიტოვა მძიმე ნაღველი და გულისტკივილი, რაც ამ გამოსათხოვარ წერილში გვინდოდა გამოგვეხატა.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

მეგობრები.

საქართველოს პარლამენტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პარლამენტის წევრის გია გაჩეჩილაძის დედის

თამარ გაჩეჩილაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„საქართველოს მწვანეები“ თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარეს გიორგი გაჩეჩილაძეს დედის

თამარ გაჩეჩილაძის

გარდაცვალების გამო.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს გია გაჩეჩილაძეს დედის

თამარ ვასილის ასულ გაჩეჩილაძის

გარდაცვალების გამო.

თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს გიორგი (გია) გაჩეჩილაძეს დედის

თამარ გაჩეჩილაძის

გარდაცვალების გამო.

გახსენება

როგორ მენატრებით!

ტრაგედიაც არის და ტრაგედიაც! დედ-მამის ერთ დღეს გარდაცვალება შვილებისთვის ხომ დიდზე დიდი უბედურებაა, მაგრამ გარდაცვლილ მეუღლეთათვის ერთმანეთის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების კიდევ ერთი გამოხატვაა.

ცხრა ნოემბრის მთვარიანი, მშვიდი ღამე გარიჟრაჟს ეგებებოდა, დედა კი შვილებს გვეთხოვებოდა. იმავე დღის ექვს საათზე, როცა დღეს ღამე ენაცვლებოდა, შვილებს მამაც გამოგვეთხოვა. ძნელად მისაგუებელია, ეს, მაგრამ რეალობაა.

„შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითაო!“ — უთქვამს პოეტს. თქვენი სიკვდილიც ლამაზი იყო, ჩემო დედა და მამა! ისეთივე ლამაზი, როგორიც თქვენი ამაღლებული ცხოვრება. ორივე ერთნაირად მოგმართავთ, ორივე ჩემი კერპები იყავით: დედა — თავმდაბალი, სათნო, მოყვარული, მწიგნობარი, ხოლო მამა, ყველა ამ თვისებასთან ერთად — ამაყი, ნამდვილი კოლხური ბუნების ვაჟკაცი. და, რაც მთავარია, იყავით ჭეშმარიტი ინტელიგენტები.

პროფესიაც ერთი გქონდათ. ათეული წლების მანძილზე უმწიკვლოდ ილვაწეთ მშობელი ქვეყნის სასიკეთოდ, რისთვისაც რესპუბლიკის დამსახურებული ექიმების წოდება დაიმსახურეთ. არ ივიწყებდით მეორე პროფესიასაც — ხელოვნებას. დედა — ვერიკო მენგელია შესანიშნავი მუსიკოსი და მომღერალი იყო, მამა — ოთარ დიხამინჯია კი ცნობილი ლოტბარი, კომპოზიტორი, მრავალი პოპულარული სიმღერის ავტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მიო მღვიმელის სახელობის პრემიის ლაურეატი. თქვენი ლამაზი ცხოვრება მაგალითია ჩემთვის. თქვენ პატიოსნად მოიხადეთ მამულიშვილური ვალი ქვეყნის წინაშე, ხოლო მშობლის ვალი — შვილების წინაშეც. თქვენი სიკვდილი ახლაც შემზარავი და დაუჯერებელია, ჩემო საამაყო მშობლებო. თუმცა ვიცი: მხოლოდ უფლის ნებაა, ვინ როდის აღესრულოსა!“

არც თქვენი დაკრძალვა ყოფილა ჩვეულებრივი. ის დღე იყო სულისშემძვრელი და რომანტიკული, ნათელი და სევდიანი. ბოლოს, მამა-პაპურ ეზოში თქვენი დარგული ნაძვებისა და კოწახურების ჩრდილში დასვენებულ ცხედრებთან გამოსამშვიდობებლად მოდიოდნენ დამწუხრებული მეგობრები, კოლეგები, პაციენტები, ახლობლები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ისმოდა ბახისა და ბეთჰოვენის დიდებული მუსიკა — დედა, ეს შენი ნება-სურვილი იყო, სიცოცხლეში დანაბარები, და ამას ენაცვლებოდა საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტიდან გამოგზავნილ აუდიო-კასეტაზე ჩაწერილი შენი ცნობილი ოცი სიმღერა, მამა: „სულ ყვაილო“, „გახსოვს, მერი“, „ბულბული“... მღეროდნენ დები იმნელები, ჰამლეტ გონაშვილი, ბათუ კრავეიშვილი, თენგიზ ზაალიშვილი, „თაიგული“, „ჰარმონია“... სულ ბოლოს თქვენს კუბოებთან ჩამომწკრივდნენ თითქოს სასცენოდ გამზადებული შენი ანსამბლის წევრები, მათ იმ დღეს პირველად არ ჰყავდათ დირიჟორი...

ჩონგური კვნესოდა, გუნდი უმღეროდა თავის უკანასკნელ მაესტროს მის მეგრულ სიმღერას — „მაფშალიას“ და იმ ძნელ წუთებში მომაგონდა თქვენს გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე როგორ ვიმღერეთ სამივემ ერთად. შემდეგ მამა წამოდგა და გავიდა, დედა უკრავდა და მღეროდა რაღაცნაირი, ახალგაზრდული თავდავიწყებით, ისე როგორც ოცი, ოცდაათი წლის უკან... „ეს რა ყვავ-ყორნები მომესია, ეს რა გოლგოთის ზარებია, ზეცას დავმკვიდრეთ, სულში გრიგალია, მერე კი სიკვდილის აღარ მეშინია“. სიმღერა რომ დაასრულა, წამოდგა, ხელი მომხვია, მაკოცა და მითხრა: „როგორ მასიამოვნე, ეს ჩემთვის ბოლო სიმღერააო“.

მამა! საყვარელ ქუჩაზე შენი „მერცხალი“ მიგაცილებდათ“... ოღონდ ამ სიმღერაში მერცხალი მხიარულად აღარ ჭიკჭიკებდა...

ახლაღა ვიჯერებ გარდაცვალებას, თქვენს მარადისობაში გადასვლას და პოეტის ნათქვამსაც — „აქიდან იქეთ რამხელა გზაა, იქიდან აქეთ — აღარაფერი“...

იქ დამკვიდრებისთვის ბოძებული ორმოცი დღეც მიილია. ზეცად ამაღლდებით!..

მერი დიხამინჯ

მეუღლე ნანული ბარათელი, შვილები მადინა, მამუკა, გიორგი, მ ლიშვილი გივიკო, ძმა შალვა, ძმისწულები ლალი, ზურაბ კარტოზი რძლები ტანია შელიაა, ია ბალაშვილი, სიდედრი თამარ ხაბურზანია, ცოლ ნანა ბარათელი ოჯახით, მეზობელი ლია სარალიძე, მამიდაშვილები, იდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი (ჟორა)
გრიგოლის ძე კარტოზია

პანაშვიდი 16, 17 XII 4 სთ. გამოსვენება 18 XII 2 სთ. მისამართ უზნაძის (ყოფილი კამოს) ქ. 107.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინო სახელმწიფო ინსტიტუტი თანაუგრძნობს დეკანს სოსო გობეჯიშვილ

დედის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯ

პრობლემა

ნუ უყიდით ბავშვებს „მაჭახელას!“

საზღვარგარეთიდან ვითომდა გასართობად შემოზიდული ეგრეთ წოდებული „ტკაცუნებით“ სარგებლობამ რამდენიმე სიცოცხლე შეიწირა. სკდომის ხმა და ეფექტი ცეცხლსასროლი იარაღისას არ ჩამოუვარდება, პირიქით, ბევრად უფრო სჭარბობს. ერთ „ტკაცუნაზე“ 5-6 ცალია ასხმული და როგორც ავტომატის ჯერი სკდომისას, ისე კაკანებს, „ნამდვილისაგან“ ვერც მოქალაქე და ვერც პოლიციელი ვერ გაარჩევს. აფეთქება კი ცრემლდენას იწვევს და, წარმოიდგინეთ, ახლო მანძილზე სხეულსაც აზიანებს, მითხრა თბილისის ადმინისტრაციული პოლიციის უფროსმა მიხეილ სალაძემ.

შარშან ხუთი ბავშვი ძლივს გადაურჩა დაბრმავებას, რამდენიმე ბავშვს გაუკეთდა რთული ოპერაცია, ორ ფეხმძიმე ქალს კი შიშისაგან ნაადრევი მშობიარობა დაეწყო, ერთ ბიჭუნას „სათამაშომ“ თითები წააცალა.

კიდევ რამდენი ფაქტი: წლეულს ქალაქის პოლიციამ 9 ათას 600 ცალი ასაფეთქებელი „ტკაცუნა“ ჩამოართვა ვაიბიზნესმენებს. ჩვენ კანონით ვერ ვსჯით მათ. მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს საბაჟოში, რომ რესპუბლიკაში მისი შემოტანა აიკრძალოს. მივმართეთ ქალაქის მერიას, მეგვპირდნენ, რომ მალე გამოვა განკარგულება, რომელიც უფლებას მოგვცემს, დავსაჯოთ მყიდველიც და გამყიდველიც.

ქალაქის პოლიცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ აღიკვეთოს ეს უმსგავსობა.

ყველაფრისაგან შედარებით, უვნებელი „მაჭახელას“ ტკაცუნი იქნება ეს, თუ ცეცხლსასროლი იარაღის ბათქა-ბუთქი, მოქალაქეს დაცვა სჭირდება. მარტო პოლიციის მიერ კი არა, — ნორმატიული აქტით! ხოლო თუ შესაბამისი გადაწყვეტილებაც გამოვა, მაშინ აღარც პოლიცია იქნება შებორკილი.

ისე კი, მთავარი მაინც მშობელია. ნუ უყიდით ბავშვს „მაჭახელას“!

ნანა სულავა.

დედა ქეთევან გაგოშიძე-ანჯაფარიძე, ძმა ალიკო, ძმისწულები ოთარი, გიორგი, რძალი ნათია ზარდიაშვილი, ბიძები მოთა გაგოშიძე, ვახტანგ ელისაშვილი, რეზო ვეფხვაძე, ნოდარ ტატიშვილი ოჯახებით, ბებია ელო ელისაშვილი, ნათესავები გიორგი, ეკატერინე ზარდიაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი გიორგის ძე ანჯაფარიძე

პანაშვიდი: 16, 17 XII, 4 სთ. ცაგარელის (ყოფილი კრონშტადტის) ქ. 46, გამოსვენება: 18 XII, 2 სთ. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატიდან, მარჯანიშვილის ქ 5.

გაერთიანება „საქწიგნის“ კოლექტივი ულრმესი მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ დირექტორი

ირაკლი ანჯაფარიძე

და გულწრფელად თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გამომცემლობა „საქართველოს“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ თავმჯდომარე

ირაკლი ანჯაფარიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გახსენება



გვარის სიამაყენი

ჩვენო საყვარელო და ძვირფასო ძმაო სტეფანე, ვერავითარი დრო ვერ განკურნავს გულის იმ ტკივილს, რასაც განვიცდით შენი დალუპვით. რა მწარე და აუტანელია ფიქრი მასზე, რომ აღარ გვყავხარ სულიერად და ფიზიკურად უნაკლო, მტკიცე, ფოლადის ვაჟკაცი. ველარ ვხედავთ შენს ლამაზ ცისფერ თვალებს, მუქი წარბ-წამწამით შემორკალულს. მოისპო ჩვენთვის შენი თავშეკავებული სიცილი და ჩამძიული ლამაზ კბილთა გამოჩენა.

ნათესავ-მეგობრებში ყველას მოსიყვარულე, კეთილმობილი, როგორც იურისტი კი მკაცრისა და მოუსყიდავის სახელს ატარებდი. გძულდა მანკიერი თვისების მქონე ადამიანები, შენი დევიზი იყო: „გიყვარდეს ადამიანი ფიზიკური ნაკლით, გძულდეს სულიერ-ზნეობრივად მახინჯი“.

შენი თვისება იყო უდიდესი, ფაქიზი სულიერი სიმაღლე, პატიოსანთადმი თავგამოდებული მხარდაჭერა, ნათესავთა პატივისცემა და სიყვარული.

განსაკუთრებული ნათესაური სიახლოვე გქონდა ჩვენს ბიძაშვილ ნატო ციგრომშვილ-ტყემელაშვილთან. ორივე წიგნიერი და დიდად ნაკითხი, საქართველოს ისტორიით გატაცებული იყავით. თითქოს მეჯიბრებულნი ერის სიყვარულში. თქვენი მსჯელობის მომსმენი იფიქრებდა: „ნეტავი ამათ, ერისთვის ამდენი სცალიათო“..

უცნაური და სასწაულია! შენ და ნატო — ორივე ერთ დღეს განემორეთ ამ წუთისოფელს...

ჩვენთვის მავ-ბნელად მოსაგონებელ გასული წლის 15 დეკემბერს ჩვენი საყვარელი ბიძაშვილი — ნატოც იმსხვერპლა მამულის აბედითობას შეწირული ვაჟიშვილების დარდმა. ორი მათგანი მშობლებმა დაკრძალეს, მესამე — მირიანი კი აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ჯერ მათი მამა შეეწირა შვილების დარდს, ხოლო 15 დეკემბერს მირიანის ცოცხლად ფიცილში ნატომაც განუტევა სული...

დაო ნატო და ძმაო სტეფანე, მარადიული ნათელი ეფინოს თქვენს უმანკო სულს!

ძმა, დები.

მერა კობახიძე, იური, ჯონი კობახიძეები, დოდო, იეტა, ეთერი მურუსიძეები, გიორგი, ნანა კობახიძეები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლოლა კობახიძე-ბელოვნიშვილისა

გამოსვენება 16 XII, 4 საათზე, აწყურის ქ. № 41.

გიორგი კობახიძე და თამარ ზაალიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლოლა კობახიძე-ბელოვნიშვილისა

„საქართველოს ბანკი“

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს სთავაზობს სახელმწიფო მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე ოპერაციების წარმოებას (ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, შენახვა, დაფარვა და დეპოზიტური საქმიანობა).

ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი, პუშკინის ქ. № 3. ტელ: 98-32-61.

ორგანიზაცია გთავაზობთ სატელეფონო კაბელებს

ТПП 100x2x0,4
1 მეტრის ფასი 3,50
ТПП 50x2x0,4
1 მეტრის ფასი — 1,80
დღგ-ს გარეშე.
ტელ: 95-28-06.

ორგანიზაცია შეიძენს საველე კავშირის სადენს П 274 — 400 კმ.
ფასი შეთანხმებით.
საკონტაქტო ტელ: 95-28-06.
10 სთ-დან 6 სთ-მდე.


ნამდვილი ბორჯომი
ერიდეთ სიყალბეს
1
შენახვის ვადა ბოთლის თავსახურზე
2
მოცისფრო შუშის ბოთლი
3
ბოთლზე ირევის ოთხი რელიეფური გამოსახულება
4
5
NON RETURNABLE
5
განმასხვავებელი ნიშანი
ნამდვილი ბორჯომი ჩამოსხმულია ბორჯომის ბუნებრივი წყლების წყაროებიდან. იმისათვის, რომ თქვენ დაცული იყოთ ფალსიფიკაციისაგან, შემუშავებულია დაცვის სისტემა, რომელიც შედგება ხუთი ხარისხისაგან.
BORJOMI
БОРЖОМИ
Georgian Glass & Mineral Water Co. N.V.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშტარიას 29.